# საარბიტრო

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 16 თებერვალი 2004 №33 (2052) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ხალხისთვის!

## ვისი ნაკრები აჯობებს: მინისტრების, მორაგბეების თუ ფეხბურთელების?



ბადრი კოთოლაშვილის ფოტო



საქართველო 14
პორტუგალია 19

შაბათს საქართველოს მინისტრთა ნაკრების წარდგენისას პრეზიდენტი სააკაშვილი ფეხბურთს პატრონაჟს დაჰპირდა, კვირას კი მორაგბეთა ნაკრებს ტრიბუნაზე ხალხში მჯდომმა უყურა

## ბიშოვეცი უკვე რეზერვზე ფიქრობს

*საქართველოს ნაკრების ახალი მწვრთნელი ანატოლი ბიშოვეცი ახალ სამსახურს დღეიდან შეუდგება: კვიპროსზე გუშინ შეკრებილი ჩვენი ეროვნული გუნდი დღეს უკვე მისი ხელმძღვანელობით ივარჯიშებს.*

*ფედერაციის პრეზიდენტმა მერაბ ჟორდანია და ანატოლი ბიშოვეცი გუშინ ლიმასოლში შეხვდნენ ერთმანეთს და დაახლოებით ერთი საათი ისაუბრეს. მოლაპარაკების დეტალები ჩვენთვის უცნობია, თუმც მთავარი ვიცით, ფინანსური შეთანხმება მიღწეულია და ბიშოვეცი წაყენებულ პირობაზე — საქართველო მსოფლიოს ჩემპიონატზე ათამაშოს — თანახმაა.*

*დღევანდელ, საბოლოო შეხვედრაზე კი სწორედაც რომ წვრილმანებია შესათანხმებელი. კონტრაქტი კვიპროსზევე თუ ვერ გაფორმდა, ესეც არ იქნება პრობლემა, ოფიციალური მხარე მალე მოგვარდება.*

*იქამდე კი, ანატოლი ბიშოვეცის პირველი კომენტარი კვიპროსზე გუშინ შეკრებილ საქართველოს ექსპერიმენტული ნაკრების თაობაზე:*

*— ქართველი ლეგიონერების შესაძლებლობები ჩემთვის კარგადაა ცნობილი, შესარჩევი ეტაპის დაწყებამდე მათ კიდევ დავაკვირდები. ამჟამად კი სწორედ ისეთი შემადგენლობა მაინტერესებს, რომელიც საქართველოს ნაკრების რეზერვად ითვლება. კარგი იქნება მათ თვალი გადავავლო...*

*დანარჩენი ხვალ იყოს.*

კობა ინასარიძე





ბადრი კოთოლაშვილის ფოტო

ანატოლი ბიშოვეცი და მერაბ ჟორდანია: პირისპირ მოლაპარაკების პირველი რაუნდი გუშინ იყო

# ჟორდანია — ბიშოვეცი
# საქართველო — რუმინეთამდე

*საქართველოს ნაკრები კვიპროსზეა. ჩვენები თბილისიდან ლარნაკას გუშინ გაფრინდნენ და ლიმასოლის სასტუმრო „მირამარეში" დაბინავდნენ. ჩვენები თბილისიდან გაფრინდნენო, კი ვთქვით, თუმც ეს ფედერაციის წარმომადგენლებზე უფრო ითქმის, ვინაიდან ფეხბურთელებიდან თვითმფრინავში მხოლოდ ვიტალი დარასელია იმყოფებოდა. სხვა ფეხბურთელები, რომლებიც ფედერაციამ კვიპროსზე სათამაშოდ გამოიძახა, ნაკრებს ლარნაკაში დახვდნენ*

ეროვნულ გუნდში თბილისის „დინამოს" 10 ფეხბურთელია: მეკარეები გვარამაძე და მამალაძე; მცველები: შაშიაშვილი და წერეთელი; ნახევარმცველები — ნემსაძე, კვირკველია, გოგობერიშვილი და ახალაია და თავდამსხმელები — სანდრო იაშვილი და მელქაძე. ნაკრებში დინამოელთა სიმრავლე გასაკვირი არ უნდა იყოს, თბილისელები ხომ იქვე ემზადებიან და მეორეც, ლეგიონერთა უმეტესობა ფედერაციის ნებართვით კლუბში დარჩა.

სულ ნაკრების შემადგენლობაში ოცი ფეხბურთელი იქნება. დინამოელთა გარდა კვიპროსზე არიან „თბილისის" მცველი ქემოკლიძე, რიგის „სკონტოს" ნახევარმცველი კორლალიძე, კიევის დინამოელი ამისულაშვილი, უგუნდო ქინქლაძე და კვიპროსის „აელში" მოთამაშე მაღრაძე. დღეს ნაკრებს უნდა შეუერთდნენ გიორგი დემეტრაძე, ალექსანდრე იაშვილი, სავარაუდოდ, ლევან კობიაშვილი და მეორე ბუნდესლიგის „უნიონში" ახლახან გადასული დავით სირაძე.

ლიმასოლში ნაკრებმა დაბინავებისთანავე საათნახევარი ივარჯიშა. ჯერჯერობით უმწვრთნელო გუნდს წინა შესარჩევ ციკლში ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელის თანაშემწეები გოჩა ტყებუჩავა და ნიკა ჩხეიძე ხელმძღვანელობდნენ. დღეიდან კი ქართველებს უკვე ანატოლი ბიშოვეცი დამოძღვრავს. გუშინ ის ფედერაციის პრეზიდენტ მერაბ ჟორდანიას შეხვდა.

ჩვენებს კვიპროსის ტურნირის პირველი მატჩი ოთხშაბათს, რუმინეთის ნაკრებთან აქვთ, მეორე — ხუთშაბათს, კვიპროს — ბელარუსის გამარჯვებულთან ან დამარცხებულთან. მესამე მატჩი 21 თებერვალსაა დანიშნული. რუმინეთთან შეხვედრა ლარნაკაში სამ საათზე დაიწყება.

**კობა ინასარიძე**

*ლადო ბურდული დღეს თბილისში ბრუნდება. ბრუნდება კოჭნატკენი და გულნატკენი. საკონტრაქტოდ გამზადებულ ფეხბურთელს კიევის „დინამომ" უგანა. შესაძლოა, იმათაც, ვისი დაბეჯითებული თხოვნითაც წავიდა კიევში. გუშინ ლადოს კონჩა ზასპას ბაზაზე შევეხმიანეთ...*



# არ დავიკარგები!
## კიევი დამთავრდა. ნატკენი გული ბურდულს როსტოვისკენ მიუწევს

— აქ წამოსვლა გულის სიღრმეში მაფიქრებდა და ძალიან არც მინდოდა, ვინაიდან კვიპროსზე „დინამოსთან" ერთად მშვენიერ მოსამზადებელ ეტაპს გავივლიდი, ნაკრებშიც ვითამაშებდი და სხვაგან გადასვლაზე უფრო კარგად დავფიქრდებოდი. კიეველებზე რეალურად დაინტერესებული კლუბებიც იყვნენ, თუმცა დამარწმუნეს, რომ კიევში ჩასვლა და კონტრაქტზე ხელის მოწერა ერთი იქნებოდა. ფეხზე თაბაშირდადებულს კიეველებმა დარჩენა, მკურნალობა და კიდევ ერთი მოსამზადებელი ეტაპის გავლა შემომთავაზეს, მაგრამ ამას უკვე მე აღარ დავთანხმდი, ერთხელ რომ რამეზე გული აგიცრუვდება... ახლა ის ვიცი, რომ გამოჯანმრთელებული გაორმაგებული ენერგიით ავთამაშდები და, მჯერა, არ დავიკარგები, ეს ტრავმაც რა უდროო დროს გამომეჩხირა, მაგრამ ხომ იცი, ზოგი ჭირი მარგებელიცაა.

— შენით რუსული პრემიერლიგის კლუბებიც იყვნენ დაინტერესებულნი...

— იყვნენ და კვლავაც არიან. ეს ის ვარიანტებია, რომლებიც ჩემი ყურით მაქვს მოსმენილი და კლუბების მესვეურებთან თავად მილაპარაკია. იქ ჩემი თანხმობის მეტი არაფერი იქნება საჭირო.

**— რომელ კლუბებს გულისხმობ?**

— „როსტოვს" და „შინიკს". ეს კლუბები ხვალ საღამოს შემეხმიანებიან, ჩემს პასუხს ელიან.

**— შენ უფრო საით მიგიწევს გული?**

— „როსტოვი" უფრო მესიმპათიურება. ჯერ ერთი, ალექსიძე იქაა, მეორეც, ამბიციური გუნდია, კონკურენციაც დიდია და მოტივაციაც მეტია. როგორც ვიცი, „როსტოვში" 12 მაღალი დონის ლეგიონერია. მოკლედ, ხვალ საღამოს საბოლოოდ ჩამოვყალიბდები.

**დავით ერაძე**

# ტორპედომ 0:2 დაისვენა

**თურქმენეთის** „პრეზიდენტის თასის" ჯგუფური ეტაპის ბოლო, მესამე მატჩში ქუთაისის „ტორპედო" ირანულ „აბუმუსლიმთან" 0:2 დამარცხდა. მართალია, რიონისპირელებისთვის ამ შეხვედრას სატურნირო აზრი დაკარგული ჰქონდა (ფინალი ადრევე გაინაღდეს), თუმც A ჯგუფის ერთ-ერთ აუტსაიდერთან ორბურთიანი წაგება მაინც დამაფიქრებელია.

ამ მატჩმა „ტორპედოს" თავკაც ოთარ გაბელიას ერთი თავსატეხიც დაუმატა — ზედმეტი ყვითელი ბარათების გამო ფინალში დავით გამეზარდაშვილი ვერ ითამაშებს.

ქუთათურთა საფინალო მეტოქეს „ნისა" — „ლოკომოტივის" ხვალინდელი მატჩი გაარკვევს. მასპინძლებს მოსკოველებთან შედარებით ერთი პლუსი აქვთ — ფინალში გასასვლელად ფრეც ჰყოფნით. ამ წყვილში წაგებული კი 17 თებერვალს მესამე ადგილისთვის მატჩში „ტორპედოს" თანაჯგუფელ „ვორსკლას" დაუპირისპირდება: უკრაინელებმა გუშინ „ნებიტჩი" დაამარცხეს.

შეგახსენებთ, რომ „პრეზიდენტის თასი" აქამდე მხოლოდ ორ გუნდს მოუგია — „ნისას" ჰეგემონია შარშანწინ სწორედ „ტორპედომ" დაამხო. წლევანდელ ფინალშიც, 19 თებერვალს, ალბათ ეს გუნდები შეხვდებიან ერთმანეთს.

**კახა შალამბერიძე**

# შუშაკი მარცხნივ უკმაყოფილოა

**თბილისის** „დინამომ" კვიპროსზე ბოლო ამხანაგური მატჩი იაროსლავლის „შინიკთან" გამართა და 2:4 დამარცხდა. კუნძულზე თბილისელებმა 4 მატჩი ითამაშეს, 2 ფრედ დაასრულეს და ორიც წააგეს, 8 გოლი გაუშვეს და 4 გაიტანეს. როგორც ჩანს, ეს საუკეთესოთა გასხვისების პირველი უსიამო შედეგებია. ახლა „დინამოს" ახალი და სულ სხვა თამაშის პოვნა მოუწევს. მით უმეტეს, საქმეს ისეთი პირი უჩანს, დინამოელებს კიდევ ორი ბრაზილიელი, ჯეფერსონი და ჰომერო შეემატებათ. „დინამოს" გუშინ შეუერთდა ექსლოკომოტიველი დავით ქოქიაშვილი, მისი გადინამოელებაც, ფაქტობრივად, გადაწყვეტილი ამბავია. ოფიციალურად ეს ამბავი კლუბის თბილისში დაბრუნების შემდეგ გაფორმდება.

ახლა ისევ „შინიკთან" მატჩს დავუბრუნდეთ, რომელიც „დინამომ" ასეთი შემადგენლობით ითამაშა: ზოიძე (გვარამაძე 46), წერეთელი, შაშიაშვილი, კანდელაკი, კარლოსი (კაშია 60), კვირკველია, გოგობერიშვილი (ჰომერო 46), ნემსაძე, ანჩაბაძე (ჯეფერსონი 46), იაშვილი (ხმალაძე 85), მელქაძე (ბობოხიძე 60)

პირველი ტაიმი დინამოელებმა 1:0 მოიგეს. გოლი ანჩაბაძემ გაიტანა. მეორე ტაიმის 71-ე წუთამდეც დინამოელები იგებდნენ — 2:1 „დინამო" იაშვილმა დააწინაურა. 74-ე წუთიდან 79-ემდე თბილისელთა კარში 3 გოლი გავიდა და საბოლოო ანგარიშიც დაფიქსირდა. *ივო შუშაკის* მატჩისშემდგომი კომენტარი ასეთია:

— თამაშის ხარისხით მთლიანობაში კმაყოფილი ვარ. მეტიც, კვიპროსზე ჩემმა გუნდმა საუკეთესო მატჩი ჩაატარა, ოღონდ შეხვედრის პირველ ტაიმში. გამოჩნდა, რომ ძირითადი ბირთვი საკმაოდ კარგადაა მომზადებული. ზოგიერთი ფეხბურთელის უხეშმა შეცდომამ საჩვენო შედეგი ვერ უზრუნველყო. განსაკუთრებით უკმაყოფილო ვარ მარცხენაფლანგელების თამაშით. შემიძლია ვთქვა, რომ ზოგიერთი ის ფეხბურთელი, ვინც მეორე ტაიმში გამოჩნდა, ძირითადის მოთამაშეებს კონკურენციასაც ვეღარ უწევს...

**დავით ერაძე**




# უქმეების ამბავი

შაბათს საქართველოს პრეზიდენტმა გამოაცხადა, რომ პირადი პატრონაჟის ქვეშ აიყვანს ფეხბურთს. კვირას ნაშუადღევს ის ვიხილეთ „ლოკომოტივზე", სადაც საქართველოს რაგბის ნაკრებმა წააგო ერთა თასის პირველი თამაში პორტუგალიასთან, რაც ძალიან სამწუხაროდ დაგვირჩა, რადგან ყველა ის ძველი სენი, რაიც ჩვენს რაგბის ჰქონდა მსოფლიო თასამდე, სულ ერთიანად გამოჩნდა. ჩვენი დეკალიტრობით ოფლი და ხაზთან მიწოლილი ბურთები შესახედად ულიმღამო პორტუგალიელების ცოდნამ ამაო დატოვა. ახალი ამბავი არ არის, ძველია — უბრალოდ, ბოლო წლებში მივიწყებული.

მე გული დამეწვა და ვინც იქ იყო, იმასაც დაეწვებოდა.

პრეზიდენტმა რომ თქვა პირადი პატრონაჟის ქვეშ ავიყვან ფეხბურთსო, ეგებ სასიხარულოც იყოს. ძველ დროს სპორტი სულ სახელმწიფოს პატრონაჟის ქვეშ იყო: ცეკას მდივნები სტადიონებზე დადიოდნენ (პატიაშვილს, მგონი, უფრო კალათბურთი უყვარდა). ბოლო თამაში, რომელზეც შევარდნაძე იყო სტადიონზე, უშუქობის გამო ჩაიშალა იმავე „ლოკომოტივზე". ახალ დროში „პატრონაჟი" ნიშნავს ალბათ იმას, რომ მიხეილ სააკაშვილისა ახლა გვარიანი სიფრთხილე და რიდი აქვთ არა მხოლოდ სახელმწიფო მოხელეებს, არამედ ყველას, ვინც რაიმე საჩვენებელ საქმეს უძღვება. სხვანაირად რომ ვთქვათ, „პატრონაჟიდან" „პატრონტაჟამდე" ერთი ნაბიჯია იმათ ფიქრში. ამ დროს კი, არ იქნება, არ გაიხსენო ხორვატიის განსვენებული მმართველი, გენერალი ფრანიო ტუჯმანი, ვინაც მართლაც რომ თავისი ეგებ არც მთლად ევროპული ხერხებით სახელი გაუგდო ხორვატიულ სპორტს, ამით კი ხორვატია სხვა კუთხით დაანახა მსოფლიოს.

ოღონდაც, მაინც უკეთესი იქნებოდა, რომ ჩვენთან რომელიმე სპორტის შენება დაიწყოს არა პრეზიდენტის პირადი ავტორიტეტით, და იმით, რომ, არიქა, პატრონაჟის ქვეშ ვართ და ვიომოთ, როგორც უკანასკნელ დღეს, არამედ ჭკუით და დინჯად. ფეხბურთს საქართველოში ფესვები აქვს — რაგბის, სამწუხაროდ, მხოლოდ ყლორტები. უცნაურობაა, რომ ის, რასაც ფესვები აქვს, უყლორტოდაა, ხოლო ის, რასაც ყლორტები — უფესვებოდაა. მთელი პატრონაჟობაც ამ უცნაურობის მოსაწესრიგებლადაა საჭირო.

მაგალითად, ბრიტების პრემიერს ტონი ბლერს არაერთხელ უთქვამს, „ჩელსი" და ფეხბურთი მიყვარსო. ამოქქეს, რომ გულისგულში რაგბის ქომაგია და ფეხბურთს, როგორც უფრო სახალხო რამეს, ისე აქებს. ჩვენ მოგვცა იმათი პრობლემები. მარკ ვიდუკა, ტომით ხორვატი, ხსენებულმა ტუჯმანმა ავსტრალიაში ყოფნისას იპოვნა და ზაგრების „დინამოში" წამოიყვანა. მგონი, ასეთი პატრონაჟი არ გამოგვადგება. ძველმოდურია უბრალოდ, ვასია სტალინის დროინდელ ამბავს გვახსენებს: „ვევეესში" ასე მიჰყავდა სპორტსმენები.

არც მგონია, ასე იყოს ჩვენს დროში, მაგრამ მაინც... აი, ბიშოვეცი მოდის. ჟოაო სალდანია კი იმიტომ მოხსნეს, რომ ნაკრებში რიოს გუბერნატორის ფავორიტი დარიო არ შეჰყავდა. აკი, ვთქვი, იმათი პრობლემები — სასაცილოა ფესვთან და ყლორტთან შედარებით.

## იტალია
**სერია A. XXI ტური**

**იუვენტუსი 1:0 რეჯინა**

1:0 მარესკა (51)

## ესპანეთი
**პრიმერადივიზიონი XXIV ტური**

**რეალი 1:1 ვალენსია**

0:1 რ. აიალა (74), 1:1 ფიგუ (90პ)

## საფრანგეთი
**I დივიზიონი. XXIV ტური**

**ოსერი 1:2 ლიონი**

0:1, 0:2 ლუინდულა (8, 67), 1:2 ბუმსონგი (75)

# თებერვალი დადგაო. თურქში წყალი ჩადგაო?

**მსოფლიოს** ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფთაგან დღესდღეობით მხოლოდ მეორე ჯგუფს არა აქვს კალენდარი. იანვრის ბოლოს გამართულმა კიევურმა შეხვედრამ თურქთა ახირების გამო საკალენდრო შეთანხმება შეუძლებელი გახადა. ამიტომაც გადაწყვიტა ფიფამ, თუ 18 თებერვლამდე ვერ გამონახავთ საერთო ენას, მატჩების განრიგს ჩვენ შევიდგენთო.

არც 18 თებერვლამდე დარჩა რამე და არც ვინმეს აქვს იმის იმედი, რომ თურქთა გამოისობით შეთანხმება შედგება, მაგრამ ზეგ ფიფა მაინც ვერ შეადგენს კალენდარს, რადგან მისმა მოხელეებმა კიევური ოქმების გაცნობისას აღმოაჩინეს, რომ 18 თებერვალს მეორე ჯგუფის წევრთა უმრავლესობა საკონტროლო მატჩებს თამაშობს, ამიტომ ამ დღეს ნაკრებთა ხელმძღვანელობის შეხვედრა შეუძლებელია. როგორც ჩანს, ფიფას ჯერ კიდევ აქვს იმედი, რომ თურქები ვირიდან ჩამოხდებიან და თანაჯგუფელებს კაცურად დაელაპარაკებიან. ამიტომაც ფიფამ კალენდარზე მოსალაპარაკებელ ბოლო დღედ 23 თებერვალი დათქვა. აქედანაც თუ არაფერი გამოვიდა, 23-შივე ფიფა „ბერგერისეულ ვარიანტს" აამოქმედებს და თავად გააწყობს კალენდარს.

**პაატა ძვანტალიანი**

# ვოტავა სირაძეს: მოითმინე

*გუშინ მეორე ბუნდესლიგაში ქართული დერბი იყო — დავით სირაძის „უნიონმა“ შინ ხვიჩა შუბითიძის აუე-ს 3:0 მოუგო. შუბითიძემ მატჩი სრულად ითამაშა, ხოლო სირაძე „უნიონის“ დამრიგებელმა მირკო ვოტავამ ბოლო წუთზე შეუშვა მოედანზე*

— თამაშის შემდეგ თანაგუნდელები მამშვიდებდნენ, ცოტაც მოითმინე და ვოტავა აუცილებლად მოგცემს თავის გამოჩენის შანსსო — გვითხრა გუშინ დათომ — შეხვედრას გოჩა თამაზაშვილი და ლუის ცაკარიასიც ესწრებოდნენ. ისინი ვოტავას ელაპარაკნენ და მას უთქვამს, სირაძეს მალე ვათამაშებ სასტარტოში, ნელ-ნელა უნდა მოერგოს აქაურობასო.

— შენ და ვოტავას ხომ არ გილაპარაკიათ?

— კი და ვოტავამ მეც იგივე მითხრა, ცოტა უნდა მოითმინოო.

— „უნიონის“ სტადიონზე პირველად ითამაშე...

— მინდორი ტრიბუნებთან ახლოსაა, რაღაცნაირი, მახრჩობელა სტადიონია, მაგრამ აქ თამაში ძალიან ადვილია.


დავით სირაძეს „უნიონს“ წუთ-წუთ აჩვევენ

— ადვილი, ვიდრე საქართველოს ჩემპიონატში?

— ეგრეა, რადგან ტრიბუნები სავსეა და თანაგუნდელები პასს არ გიგვიანებენ.

— კვიპროსზე მიდიხარ?

— რა თქმა უნდა, მაგრამ პირველ თამაშს ვითამაშებ და მერე ბერლინში დავბრუნდები.

**დავით თავართქილაძე**

# ჯამარაული და დემეტრაძე ბარსელონას ელაპარაკნენ

**დონეცკის „მეტალურგი“** რამდენიმე დღეა, ესპანურ პერელადაში ემზადება. გუშინწინ დონბასელებმა მორიგი ამხანაგური მატჩი გამართეს და უნგრული „ვაშაში“ 4:3 დაამარცხეს. არადა, 0:3 აგებდნენ...

გიორგი დემეტრაძე მოედანზე 46-ე წუთზე გამოჩნდა, გოჩა ჯამარაული კი რამდენიმე წუთით გვიან. უნგრელებმაც ანგარიში სწორედ მეორე ტაიმის დასაწყისში გაადიდეს — 50-ე და 57-ე წუთებზე პირველ ნახევარში გატანილს ორი გოლიც მიამატეს.

ჯამარაულიც ამის შემდეგ ჩაერთო თამაშში და მთელი გუნდი აიყოლია. „მეტალურგის“ კაპიტანი მოედნის ცენტრს დაეპატრონა და ბლომად მწვავე პასები არიგა. 75-ე წუთზე კი გოლიც გაიტანა, მაგრამ მსაჯმა გააუქმა — გოჩამ თავისუფალი დარტყმით ისე გაიტანა, რომ ბურთი არავის შეხებია, რაც, ცხადია, დარღვევაა.

ჩვენებურმა შვიდ წუთში მაინც იყოჩაღა — უნგრელთა კართან შექმნილი არეულობით ისარგებლა და ახლოდან აულებელი დაარტყა.

მატჩის მიწურულს კი დემეტრაძემაც ივარგა — მარცხენა ფლანგზე სამი მეურვე მოატყუა და კარში დაარტყა... გოლის ავტორობა „დემეს“ უნგრელმა დიერიმ არ დაანება, ბურთი საკუთარ კარში ჩაჭრა — 4:3.

ეს „მეტალურგისთვის“ ზედიზედ მესამე მოგებული მატჩია ესპანეთში. დონეცკელები ვარჯიშის გარდა გართობასაც ახერხებენ და ორიოდ დღის წინ „ბარსელონას“ ესტუმრნენ. ბარსელონელებმა სტუმრებთან ბლომად სურათები გადაიღეს, იმუსაიფეს და კეთილი სურვილებით დაშორდნენ.


გოჩა ჯამარაული მოწინავე მეტალურგია

**კახა შალამბერიძე**

# კარნევალიმ ვიტ ჯორჯიას აგენტით ჩააკითხა

**თურქულ** ბელეკში მოსამზადებლად მყოფმა თბილისის „ვიტ ჯორჯიამ“ გუშინ მეოთხე ამხანაგური მატჩი ჩაატარა, მეტოქე რუმინეთის მეორე ლიგის „ინტერგაზი“ იყო. ვიტელები 0:3 დამარცხდნენ. უგოლო პირველი ტაიმის შემდეგ თბილისელებს დაღლა დაეტყოთ, მწვრთნელმა ზურაბ ბერიძემ თითქმის მთელი გუნდი შეცვალა, რაც ანგარიშზეც აისახა.

„ვიტ ჯორჯიამ“ მატჩი ასეთი შემადგენლობით დაიწყო: მერლანი, კუპრეიშვილი, ლ. მერებაშვილი, იმედაშვილი, გველესიანი, ლ. ნოზაძე, დილმელაშვილი, დეკანოსიძე, მალიჩავა, გოჩაშვილი, მარცვალაძე. შეცვლაზე ბედიაშვილმა, დათუნაიშვილმა, ლაბაძემ, ბერელიძემ, ადამიამ, ერეკლე მერებაშვილმა და გოცირიძემ ითამაშეს.

თბილისელები შემდეგ შეხვედრას ოთხშაბათს გამართავენ, მეტოქე ჯერ უცნობია.

და კიდევ. გუშინ ბელეკში გუნდს ყოფილმა მწვრთნელმა ჯანი კარნევალიმ ფიფას ლიცენზირებულ აგენტ ნიკოლა ლოკატელისთან ერთად ჩააკითხა. რატომ, ჯერ არ უთქვამთ.

**ლუკა თალაკვაძე**

## 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის II შესარჩევი ჯგუფი
## ჩვენი მეტოქეები

# ბლოხინი შესარჩევამდე არჩევს და არჩევს

### უკრაინა

**გუშინ** უკრაინის ნაკრები აფრიკულ ტრიპოლიში გაემგზავრა და ზეგ ლიბიის ეროვნულ გუნდს შეხვდება. მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევში ჩვენი მეტოქე უკრაინელების თავკაცმა ოლეგ ბლოხინმა 22 ფეხბურთელი ჩაიყვანა ლიბიაში და ამათგან ყველაზე გამოცდილები სერგეი რებროვი და ალექსანდრ გოლოვკო არიან. პირველს 61 მატჩი უთამაშია ეროვნულში, მეორეს — 57. ბლოხინი სიტყვას ასრულებს. მან ჯერ კიდევ შარშან, მაკედონიასთან საკონტროლო მატჩის წინ განაცხადა, ამხანაგურებში ახალბედებს გამოვცდი, ოფიციალურ თამაშებში კი ექსპერიმენტებისგან თავს შევიკავებო.

ბლოხინმა მაკედონიასთან 8 დებიუტანტი მიიწვია და ამათგან ხუთს თავის გამოჩენის შანსი მისცა. ლიბიასაც ექსპერიმენტული შემადგენლობით ეწვია და ზეგინდელ მატჩში კიდევ ხუთ ახალბედას უპირებს გამოცდას: ბალაბანოვს, ბენოს, კაბანოვს, სიმონენკოს და ჩეჩერს. მათ გარდა ბლოხინმა სალიბიოდ ნაკრებში ბოლოს წლინახევრის წინ ნათამაშები შიშჩენკოც იხმო.

აქვე ისიც ვთქვათ, რომ ბლოხინს ტრიპოლიში ფიოდოროვის, ნესმაჩნის, სერებრენიკოვისა და ვორობეის ჩაყვანაც სურდა, მაგრამ ესენი ტრავმირებულები არიან. ლურჯ-ყვითლებს ბოლო მომენტში ვიქტორ სკრიპნიკიც გამოაკლდათ, რომელმაც კარიერის დასრულება გადაწყვიტა.

ბლოხინმა ნაკრების შარშანდელი ბირთვიდან მილანელი ანდრეი შევჩენკოს ჩათვლით 14 ფეხბურთელს მისცა დასვენების საშუალება. „დნიპროს“ უეფას თასზე მონაწილეობის გამო ბლოხინს არც ნაკრების კანდიდატები — რადჩენკო, ეზერსკი, როტანი, ნაზარენკო და ვენგლინსკი გამოუძახებია.

**პაატა ქვანტალიანი**

### უკრაინა ტრიპოლიში

***მეკარეები:*** *ალექსანდრ შოვკოვსკი (დინამო), დმიტრი შუტკოვი (შახტარი);*

***მცველები:*** *ალექსანდრ გოლოვკო, იური დმიტრულინი (დინამო), ალექსეი გაი (შახტარი), ბოგდან შერშუნი (ცსკა, რუსეთი), იური ბენო (კარპატი), სერგეი სიმონენკო (ჩერნომორეცი), ვიაჩესლავ ჩეჩერი (მეტალურგი დ.);*

***ნახევარმცველები:*** *ანატოლი ტიმოშჩუკი (შახტარი), სერგეი მიზინი (კარპატი), ოლეგ გუსევი, დენის ონიშჩენკო (დინამო), ევგენი ლუცენკო (შინიკი, რუსეთი), ადრიან პუკანიჩი (შახტარი), სერგეი შიშჩენკო, სერგეი ტკაჩენკო (მეტალურგი დ.)*

***თავდამსხმელები:*** *სერგეი რებროვი (ფენერბაჰჩე, თურქეთი), ანდრეი ვორონინი (კიოლნი, გერმანია), ალექსანდრ კოსირინი, კონსტანტინ ბალაბანოვი (ჩერნომორეცი), ტარას კაბანოვი (კარპატი)*

# ალბანეთმა ბრიგელს შვილებიც მიაბარა

### ალბანეთი

18 **თებერვალს** ჩვენი მეტოქე ალბანეთიც თამაშობს. ჰანს პეტერ ბრიგელის გუნდი შვედეთს ეთამაშება.

„არწივთა“ გერმანელ მწვრთნელს ალბანელებმა შარშან 2006 წლის ბოლომდე გაუფორმეს კონტრაქტი. იქაურებმა კიდევ ერთი გონივრული ნაბიჯი გადადგეს და ბრიგელს 21 წლამდელთა და 15 წლამდელთა ნაკრებებიც ჩააბარეს. მოკლედ, ალბანელებმა ევროპულ ყაიდას აუწყვეს ფეხი. ამ გადაწყვეტილებით, ბუნებრივია, კმაყოფილია თავად ბრიგელიც, რომელსაც საკუთრივ მომზადებული მოთამაშეები ეყოლება ეროვნული გუნდისთვის.

შვედეთთან საკონტროლო შეხვედრისთვის ბრიგელმა ჟურნალისტებს ეს უთხრა:


ჰანს პეტერ ბრიგელი და ოლეგ ბლოხინი

— ჩვენ შეგნებულად ვარჩიეთ შვედებთან სპარინგი. თანაც ზამთარში. ეს გუნდი ძლიერი მეტოქეა და ბევრით ჩამოჰგავს მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე ჩვენს მეტოქე დანიას, ამიტომაც შვედებთან თამაში დიდი სკოლა იქნება ჩვენთვის.

ბრიგელმა ალბანელთა სამსოფლიო შანსზეც თქვა — ჩვენ მიზნად უნდა დავისახოთ ყველა საშინაო მატჩის მოგება. ეს აუცილებელია. სტუმრად კი შეძლებისდაგვარად მეტი ქულა უნდა ავიღოთ.

**პაატა ქვანტალიანი**

### თურქეთი

2006 **წლის** მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში საქართველოს ნაკრების მეტოქეები, თურქეთი და დანია 18 თებერვალს ამხანაგურად გაეჯიბრებიან ერთმანეთს. მატჩი ადანაში ჩატარდება.

თურქების თავკაცმა შენოლ გიუნეშმა საამმატჩოდ 25 ფეხბურთელი მიიწვია, რომელთაგან ნახევარზე მეტი ბევრისთვის უცნობი ახალბედაა. გიუნეში სანაკრებო ახალ სისხლს ისეთ გუნდებშიც კი ეძებს, „მანისასფორი“ და „ქონია“ რომ არიან...

***მეკარეები:*** *რუშთუ რეჩბერი (ბარსელონა, ესპანეთი), ომერ ჩატკიჩი (გაზიანთეფი), ვოლქან დემირელი (ფენერბაჰჩე);*

***მცველები:*** *დენიზ ბარისი (გენჩლერი), გიოქდენიზ კარადენიზი, თოლგა სეიჰანი (ორივე ტრაბზონი), იბრაჰიმ უზულმეზი (ბეშიქთაში), უმით ოზატი (ფენერბაჰჩე), ფათიჰ სონქაია (როდა, ჰოლანდია), კაგდას ატანი (დენიზლი), კორაი ავჩი (რიზე), ორჰან აკი (გალათასარაი);*

***ნახევარმცველები:*** *ემრე ბელოზოღლუ (ინტერი, იტალია), ფარუკ ბაიარი (ისთანბული), უგურ ინჩემანი (მანისასფორი), ჰამიტ ალტინტოპი (შალკე, გერმანია), სელჩუკ საჰინი (ფენერბაჰჩე), იბრაჰიმ ტორამანი (გაზიანთეფი), სერქან ბალჩი (გენჩლერი);*

***თავდამსხმელები:*** *ნიჰათ კაჰვეჩი (სოსიედადი, ესპანეთი), თუნჩაი სანლი (ფენერბაჰჩე), ფათიჰ ტეკე (ტრაბზონი), ოკან ილმაზი (ბურსა), ზაფერ ბირიოლი (ქონია), მურატ ჰაჩიოღლუ (დიარბაქირი)*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ზაურ სვანაძე რკინის გზაზე

## ახალი ლოკომოტივი ჩამთავრებით იწყებს



*თბილისი „ლოკომოტივის" მთავარ მწვრთნელად ზაურ სვანაძე დაინიშნა – გუნდში ერთი საკითხი კი გადაწყდა, მაგრამ „ლოკომოტივში" ბევრი რამ კვლავაც გაურკვეველია და სვანაძეს რთული სამუშაო ელის – „ლოკომოტივის" ახალ დამრიგებელს რამდენიმე შეკითხვით მივმართეთ*

— რა ეტაპზეა გუნდის მზადება სეზონის განახლებისთვის?

— „ლოკომოტივი" ჩამოყალიბების სტადიაშია — არ ვიცი, ვინ დარჩება და ვინ მოვა გუნდში. ერთი სიტყვით, რთული მდგომარეობაა.

— **როდის გაირკვევა წამსვლელ-დამრჩენთა საკითხი?**

— უახლოეს დღეებში. ისე, გამოცდილი მოთამაშეები „ლოკომოტივში" ალბათ არ მოვლენ, რადგან ჩვენთან მათ მაღალი ხელფასი არ ექნებათ.

— „ლოკომოტივი" დატოვა გუნდის პირველმა მეკარე სოსო გრიშიკაშვილმა — რა ვითარებაა დაცვის ხაზში?

— ორბელაძე და სალუქვაძე ალბათ წავლენ „ლოკომოტივიდან", როინ ონიანი კი ჯერჯერობით ჩვენთანაა, მაგრამ ვნახოთ...

— ნახევარდაცვაში რა ხდება?

— სიჭინავა და უგრეხელიძე წავიდნენ, ქოქიაშვილი არც დამხვედრია აქ, არ გამოჩენილა ბურნაძეც, სოსელია კი კვლავაც „ლოკომოტივშია".

— „ლოკომოტივი" ფორვარდებმაც დატოვეს?

— რეხვიაშვილი წავიდა, ხომერიკი ჯერჯერობით არა, რაც შეეხება მიქაძეს, ალბათ მას დავიბრუნებთ. „ლოკომოტივში" დაიწყო ვარჯიში ზირაქიშვილმა — ის გამოცდილი ფორვარდია და მსურს, ჩვენთან ითამაშოს — მგონი, ეს საკითხი დადებითად გადაწყდება. ზირაქიშვილსა და მიქაძეს ერთად „დინამოშიც" უთამაშიათ და წარმატებითაც.

— **რკინიგზის ხელმძღვანელობამ ასეთი სიტუაციიდან გამომდინარე რა გეგმები დაგისახათ?**

— შევხვდი ლაშა გოცირიძეს, ვისაც რკინიგზის ხელმძღვანელობამ „ლოკომოტივი" ჩააბარა — სეზონი როგორმე ჩავამთავროთ და მერე ვნახოთო — ასეთი საუბარი იყო. მოკლედ, ყველა ხვდება, რომ ასეთ ვითარებაში დიდი მიზნების მიღწევა შეუძლებელია, მაგრამ ყველანაირად ვეცდებით, ღირსეულად ჩავამთავროთ სეზონი.

— **გუნდს ელემენტარული პირობები მაინც თუ ექნება?**

— იქნება ხელფასი და პრემია, მაგრამ მაღალი არა და რაც იქნება, ის არ დაგვიანდება — ასეთია რკინიგზის ხელმძღვანელობის დაპირება.

**დავით თავართქილაძე**

# შავი ზღვა თეთრად ვის უნდა...

„**ბათუმი**" სამეორეეტაპო სამზადისშია. ზღვისპირელები ასლან ბალაძის გარეშე იწვრთნებიან. მთავარ მწვრთნელს პირადი პრობლემები აქვს და ორი კვირაა, გუნდს ჩამოშორებულია.

საშუასეზონოდ „ბათუმი" ოთხმა ფეხბურთელმა დატოვა. გეგეშიძე, კაჭარავა და ირაკლი შენგელია გაუშვეს, კაკალაძეს კი „ქობულეთიდან" ნათხოვრობის ვადა დაუმთავრდა. ახალგაზრდული ნაკრების წევრთან „ბათუმს" კვლავაც სურდა თანამშრომლობა, მაგრამ მას კარიერის რუსეთში გაგრძელების შანსი გაუჩნდა და ახლა მახაჩყალურ „ანჟის" ახლავს თურქულ შეკრებაზე.

„ბათუმი", ტრადიციულად, მოსამზადებელ ეტაპზე უცხოურ შეკრებასაც ახერხებდა, თუმც წლეულს ეს ვერ შეძლო.

— სამი წელი ბულგარეთში ვემზადებოდით. შარშან იქ ცუდი ამინდი დაგვხვდა. ახლაც გვსურდა ბულგარეთში გამგზავრება, მაგრამ რომ დავრეკეთ, გვითხრეს, თოვლიაო, ამიტომაც გადავიფიქრეთ ბულგარეთში წასვლა — გვითხრა კლუბის პრეზიდენტმა თემურ ბეჟანიძემ.

მისი თქმით, „ბათუმს" ორმატჩიანი გასვლა აქვს დაგეგმილი თურქეთში, სავარაუდოდ, ხოფაში.

ბეჟანიძემ „ბათუმის" ბოლო, ჯერჯერობით ერთადერთ ტრანსფერზეც გვითხრა: ფაქტობრივად, გადაწყვეტილი ამბავია, ავთანდილ გვიანიძესთან კონტრაქტის გაფორმებას წინ არაფერი უდგასო. ეს ფეხბურთელი შარშან უკრაინულ ჩემპიონატში თამაშობდა, ბოლოს კი ბულგარულ „ბოტევში" იყო და „ბათუმსაც" ამ გუნდიდან შეუერთდა.

**პაატა ქვანტალიანი**

# ერთი კარგი შატაკა და...

**გუშინ** თენგიზ სულაქველიძის საფეხბურთო აკადემიის მოედანზე თბილისურმა „სპარტაკმა" მორიგი ამხანაგური მატჩი გამართა გორის „დილასთან". სხვადასხვა მიზნებისთვის მებრძოლთა სპარინგი საინტერესო სანახავი გამოდგა, თუმც წიდის საფარზე თამაშს უჩვევი ფეხბურთელები მთლად თავდაჯერებით ვერ იყვნენ და გადამწყვეტ მომენტებში სიზუსტე ღალატობდათ. ამის გამო იყო, მეკარეებს ბევრი საქმე რომ არ ჰქონდათ.

აშკარა რომ ეთქმის, ისეთ უპირატესობას ვერც ერთმა მიაღწია — მეტოქეები მოედნის ცენტრში ცდილობდნენ ერთმანეთის მოგუდვას. რაც შეეხება სიახლეებს, მნიშვნელოვანი არაფერი. ერთადერთი გორის „დილაში" ზაზა ლაცაბიძის დაბრუნებაა, რომელიც ტრავმის გამო გუნდს რამდენიმე მატჩში ვერ დაეხმარა.

შეხვედრის ერთადერთი გოლი ქრისტეფორე შატაკიშვილმა გაიტანა, რომელიც „დილას" მოსამზადებელ ეტაპზე შეუერთდა. ბელარუსმოვლილმა თავდამსხმელმა ბოლო წუთებზე ცხრიანში გაიტანა — 1:0.

იქამდე კი ანგარიშის გახსნა „სპარტაკს" შეეძლო, მაგრამ პირველ ტაიმში ორი მეტრიდან დარტყმული ბურთი ძელს მოხვდა, მეორე ნახევარში კი მურთაზ ხურცილავას ბიჭებმა ერთი-ორი მწვავე მომენტიც გაანიავეს.

**ქახა შალამბერიძე**

# ბევრი გოლი. ოღონდ ჩვენს კარში

**თურქეთში** შეკრებაზე მყოფმა თბილისის „ამერმა" გუშინ კიდევ ერთი საკონტროლო მატჩი გამართა. თამაზ კოსტავამ „ამერის" 17-წლამდელთა შემადგენლობა ბუდაპეშტის მტკ-ს 19-წლამდელთა გუნდს დაუპირისპირა. უნგრელთა მეკარე ფოროში კი სხვებზე უფროსიც იყო.

შეხვედრა თბილისელთათვის უიღბლო გამოდგა — 2:6 წააგეს. უნგრელებმა ქართველები უკეთესი ფიზიკური გამძლეობის და მცველთა შეცდომების ხარჯზე დაამარცხეს.

„ამერმა" თამაში კარგად დაიწყო და 20-25 წუთი უპირატესობას ფლობდა, მაგრამ მცველთა შეცდომების გამო თბილისელებმა ორი გოლი გაუშვეს და, მართალია, ბექა გოცირიძემ ერთი ბურთის გაქვითვა მალევე შეძლო, მეტოქეს წინააღმდეგობა ველარ გაუწიეს.

თბილისელთა მეორე გოლიც, მატჩის მიწურულს, გოცირიძემ გაიტანა. რამდენიმე სახიფათო მომენტი შეცვლაზე შესულმა ბესიკ ჩიმაკაძემაც შექმნა.

„ამერმა" ასეთი შემადგენლობით ითამაშა: *თევდორაძე (ჩაფიძე 46), ფირანიშვილი (აბაშიძე 52), გვაძაბია, ელბაქიძე, მჭედლიშვილი, ბერიანიძე, განუგრავა, კუსრაშვილი (შონია 46), ნიკოლაიშვილი (სილაგავა 46), გოცირიძე, წინამძღვრიშვილი (ჩიმაკაძე 52)*

**გაჟა ხუციშვილი** *ანთალიიდან*

# EXCLUSIVE




მოგესალმებით, ახალგაზრდებო. აღარ მახსოვს, პირველ ლექციაზე გითხარით თუ არა, რომ მაისში ჩვენს საგანში ჩათვლაა, ივნისში კი გამოცდა... ბატონო? წინა ლექციაზე პირველი სექტემბერი იყო და დღეს ლოგიკით 8 სექტემბერი გამოდის? ჰმ, მაშინ სწორედ ეგ დავიდოთ ამოსავალ წერტილად და ჩვენი დღევანდელი ლექციის თემასაც მანდედან მივყვეთ: ადამიანთა ლოგიკა და ჟურნალისტიკა, უფრო სწორად, ქართული ჟურნალისტიკა, კიდევ უფრო სწორად, ქართული სპორტული ჟურნალისტიკა და მთლად სწორად, ქართული საგაზეთო სპორტული ჟურნალისტიკა, ვინაიდან ქართულ სატელევიზიო სპორტულ ჟურნალისტიკაზე საუბარს მე ნამდვილად ვერ გავბედავ... ბატონო? რატომ? იმიტომ, ჩემო კარგებო, რომ ეგ სხვა სიმაღლეა და... აი, ხომ ხედავთ, ცრემლიც კი მომადგა: „ეტა სლიოზი გორდოსნი!"

ამიტომ, დავუბრუნდეთ ცოდვილ მიწას და ქართულ საგაზეთო სპორტულ ჟურნალისტიკაზე ჩავფიქრდეთ, სადაც, მინდა, სიამაყით მოგახსენოთ, რომ ერთ-ერთი მთავარი — მე ვიტყოდი — ჟანრი გახლავთ **EXCLUSIVE**, რაც, როგორც იცით, ჩვენი ფაკულტეტ-ინსტიტუტის სახელწოდებაცაა.

ნუ, რა არის **EXCLUSIVE** — მაპატიეთ, ამ დიდებულ სიტყვას ქართულად ვერც კი გამოვთქვამ — წინა ლექციაზე მოგახსენეთ, დღეს კი მისი შექმნის ერთ-ერთ უძნელეს ხერხს აგიხსნით.

ხომ არ გეშინიათ? არა? თქვენ გაოცებენ ლამპიონები?

კეთილი, ნუ, ცოტა თუ გეშინიათ, არა უშავს, მთავარია, არ დაიზაროთ და ბევრი იშრომოთ, დანარჩენი კი თავისით მოვა.

მაშ ასე: **EXCLUSIVE**, როგორც წესი, ინტერვიუა. მე არასდროს მინახავს, ეს ჩინებული სიტყვა ვინმეს იტალიის თასის მესამე ეტაპის მეორე მატჩის, რეჯანა-რეჯინას წინა ღამის ანგარიშისთვის ეწოდებინოს. და, როგორ კეთდება ინტერვიუ? კომპიუტერთან მივაჩოჩებთ სკამს, გადავიტყლარჭებით და კურსორს მივიტანთ იქ, სადაც **L**-ს ნაირი რაღაც ხატია. დავაწკაპუნებთ. ამოვარდება ჩარჩო. ჩარჩოს კარგად თუ დავაკვირდებით, ზემოთ ვნახავთ ადგილს, სადაც რაღაც წერია და იმ რაღაცის გადასხვაფერება შეგვიძლია. იქ ჩავწერთ: **WWW**. ინტერვიუპარუსკი.**COM**-ს და ენთერს დავკრავთ მარჯვენა ხელის საჩვენებელ თითს. ამის შემდეგ ეკრანზე დაიწერება თქვენთვის, წესით, ნაცნობ გვარ-სახელთა ჩამონათვალი: გერდ მიულერი, ული შტილიკე, ფრანც ბეკენბაუერი, ბობი ჩარლტონი, მიშელ პლატინი, ალენ ჟირესი და სხვა. აი, აქ უკვე ჩასუნთქვა, შემდეგ ამოსუნთქვა და ძალიან ძნელი ილეთის შესრულება: უნდა დაფიქრდეთ — რა არის დღეს ჩვენი მკითხველისთვის აქტუალური? ვთქვათ, გახსენდებათ, რომ აქტუალურია ვერტყვიჭალაში სტადიონის მშენებლობა, რომელსაც სერ ბობი ჩარლტონი აფინანსებს. კურსორი მიგაქვთ იმ ადგილთან, სადაც ეს გვარ-სახელი წერია და ისარი ხელად რომ გადიქცევა, დააჭერთ. აქ ეკრანი ჩაქრება და რომ აინთება, თქვენს წინაშე გადაიშლება ლეგენდარული ლეგენდის ინტერვიუ თავის კითხვებით და პასუხებით. შავად რომ დაინახავთ, ის იქნება კითხვები, ხოლო თეთრად პასუხები.

და იცით, ახალგაზრდებო, როგორი კითხვები და პასუხები ეწერება ინტერვიუპარუსკი.**COM**-ში? რა თქმა უნდა, ზოგადი ანუ ისეთი, ვერტყვიჭალის სტადიონთან საერთო არაფერი რომ აქვს. მაშ, რაღა **EXCLUSIVE** გამოვა ტკბილქართულად ნათარგმნი ინტერვიუ? — იკითხავთ თქვენ, რადგან ჯერ გამოუცდელები ხართ. მე კი გიპასუხებთ: ეეე, შვილებო! და საბოლოოდ თქვენს გაზეთში ასეთი პუბლიკაცია დაიბეჭდება

ოთხმოციათასიანი? იყოს!
ამბობს ლეგენდარული ლეგენდა.

გუშინ სერ ბობი ჩარლტონს სწორედ მაშინ დავუკავშირდით, აბაზანიდან ცალი ფეხი შლიოპანცში რომ ჰქონდა გადმოყოფილი, ხელში დიდი თეთრი ვაფლის პირსახოცი ეჭირა და ტანს იმშრალებდა.

„რომელი გაზეთიდან ხართ? ა, „მიუთითეთ გაზეთი"-დან? ძალიან კარგი, თქვენ და ქართველ მკითხველს უარს ვერაფრით გეტყვით. აბა, გისმენთ.

— სერ ბობი, რას იტყოდით ვერტყვიჭალის სტადიონის მშენებლობაზე? პროექტი უკვე მზადაა?

— დიახ, დიახ. სწორედ დღეს ველაპარკე თურქ არქიტექტორ თითლიბაზუს და მან მითხრა, რომ მაკეტი საშაბათისთვის მზად იქნება.

— თქვენ როდისღა ჩამოხვალთ ვერტყვიჭალაში?

— გპირდებით, ყველაფერი მალე იქნება.

— იმედით ვიყოთ?

— რა თქმა უნდა.

და, აი, აქ, ახალგაზრდებო, უნდა იგრძნოთ, რომ ინტერვიუ უკვე **EXCLUSIVE**-ა და გადახვიდეთ იმ კითხვა-პასუხზე, რომელიც ინტერვიუპარუსკი.**COM**-ში ამოიკითხეთ.

— კეთილი, მაშ მართლაც დიდი კაცი იყო მატ ბასბი, არა?

აქ, წკრრრრ — აი, ასეთი ზარი ისმის.

ფრთხილად, ახალგაზრდებო, იატაკი ჩატეხილია.

*როხელიო კალანდაძე*
*რექტორი და დეკანი, კათედრის და გამგე*

EXCLUSIVE + EXCLUSIVE

## გერმანია

**ბუნდესლიგა. XX ტური**

**კიოლნი 0:2 შალკე**

0:1 ვან კერკჰოვენი (25), 0:2 დელურა (81)

**კიოლნი:** ვესელსი, დოგანი (შერცი 77), ჩიკონი, სიხონე, ო. შრიოდერი, გრუიჩი, კრინგე, ლოტნერი, ვოიგტი (ჰაინრიხი 62), პოდოლსკი, ვორონინი

მწვრთნელი: მარსელ კოლერი

**შალკე:** ფ. როსტი, კ. პოულსენი, კლასენერი, ვან კერკჰოვენი, **კობიაშვილი**, ჰამიტ ალტინტოპი, უდე კამპუისი, ვერმანტი, ასამოა (ზაიცი 46), სანდი (დ. როდრიგესი 70), ჰანკე (დელურა 64)

მწვრთნელი: იუპ ჰაინკესი

გაფრთხილება: დოგანი, შერცი

მსაჯი: ტრაუტმანი

51 000 მაყურებელი

**ფრაიბურგი 2:3 ჰერტა**

0:1 ფრიდრიხი (24), 0:2 ნოინდორფი (44), 0:3 რეინა (63), 1:3 ჰარტმანი (76ს.კ.), 2:3 **ცქიტიშვილი** (87პ)

**ფრაიბურგი:** გოლცი, ვილი, შ. მიულერი, ბ. დიარა, ბერნერი, ს. რაიტერი (გუიე-მიენი 78), ბაირამოვიჩი, ანტარი, კაირო (**ცქიტიშვილი** 78), იაშვილი, სანუ (ტანკო 63)

მწვრთნელი: ფოლკერ ფინკე

**ჰერტა:** ფიდლერი, ჩაპედი, ა. ფრიდრიხი, ვან ბურიკი, ფატი (ჰარტმანი 46), დარდაი, შიმუნიჩი, ჯ. რეინა, მარსელინიო (ნ. კოვაჩი 80), ნოინდორფი (რაფაელი 63), ბობიჩი

მწვრთნელი: ჰანს მაიერი

გაფრთხილება: სანუ, ფრიდრიხი, ნოინდორფი, რეინა, რაფაელი

მსაჯი: ვაინერი

22 950 მაყურებელი

**ბოხუმი 1:0 ბაიერნი**

1:0 მადსენი (8)

**ბოხუმი:** ვან დუინჰოვენი, კოლდინგი, კალა, ფარენჰორსტი, ედუ, ოლისე, ცდებელი, ვოში (ტ. გუდიონსონი 71), ფრაიერი (მაიხელბეკი 88), ჰაშემიანი, პ. მადსენი (დიაბანგი 61)

მწვრთნელი: პეტერ ნოირურერი

**ბაიერნი:** კანი, სანიოლი (სანტა კრუზი 46), რ. კოვაჩი, კუფური, ლიზარაზუ, სალიჰამიჯიჩი, ჰარგრივსი, შვაინსტაიგერი (ტროხოვსკი 75), ზე რობერტო, მაკაი, კ. პიზარო

მწვრთნელი: ოტმარ ჰიცფელდი

გაფრთხილება: ჰაშემიანი, ვოში, ედუ, შვაინსტაიგერი

მსაჯი: ვაგნერი

32 645 მაყურებელი

**შტუტგარტი 1:1 მიონხენგლადბახი**

1:0 საბიჩი (5), 1:1 სვერკოში (84)

**შტუტგარტი:** ჰილდებრანდი, ჰინკელი, ბ. ჟივკოვიჩი, ბორდონი, ლამი, მეირა, სოლდო, გლები, ჰელდტი (ვრანიეში 46), კურანი (ტიფერტი 79), საბიჩი (სტრელერი 46)

მწვრთნელი: ფელიქს მაგათი

**მიონხენგლადბახი:** შტილი, ასანინი (დემო 79), რუბენი, შტრასერი, კორზინეცი, კარნელი, გაედე, ულიხი (ვან ჰუტი 79), ბროიხი, სვერკოში, ვან ლენტი (ტ. მარიჩი 69)

მწვრთნელი: ჰოლგერ ფახი

გაფრთხილება: გაედე, ჰინკელი, ვრანიეში, გაედე, სოლდო, ულიხი

გაძევება: ჟივკოვიჩი (34), გაედე (43)

მსაჯი: კესლერი

32 000 მაყურებელი

**ჰანოვერი 2:2 ლევერკუზენი**

1:0 მატისი (40), 2:0 კონსტანტინიდისი (48), 2:1 ბერბატოვი (65), 2:2 ფრანცა (71)

**ჰანოვერი:** ციგლერი, ჩერუნდოლო (იდრისუ 75), შავიერი, ვინიციუსი, კლებერი, შტენდელი, კრუპნიკოვიჩი (დაბროვსკი 90), კონსტანტინიდისი, შრიოტერი, მატისი (ხაიმე 74), ბრდარიჩი

მწვრთნელი: რალფ რანგნიკი

**ლევერკუზენი:** ჰ. ბუტი, ჟუანი, ლუსიო, ნოვოტნი, პლასენტე (ბალიტჩი 46), რამელო, კ. ფრიცი, ბ. შნაიდერი (ფრანცა 57), ბაბიჩი, ნოივილი, ბერბატოვი

მწვრთნელი: კლაუს აუგენტალერი

გაფრთხილება: ვინიციუსი, კრუპნიკოვიჩი, ბრდარიჩი, ნოვოტნი, ნოივილი, რამელო, ბუტი

მსაჯი: მერკი

22 000 მაყურებელი

**ჰამბურგი 2:0 ვოლფსბურგი**

1:0 ბარბარესი (18), 2:0 რანი (88)

**ჰამბურგი:** ვიახტერი, ვიკი, ჰოოგმა, რაინჰარდტი, ჰოლერბახი, მაჰდავიკია, ბარბარესი, იაროლიმი, ბაინლიხი, ტაკაჰარა (რანი 67), რომეო (შლიკე 82)

მწვრთნელი: კლაუს ტოპმიოლერი

**ვოლფსბურგი:** იენჩი, ფრანცი (პრგოვიჩი 65), ბილიშკოვი, შნოორი, ვაიზერი, შარპეი (პონტე 87), კარჰანი, დალესანდრო (მენსეგეში 76), მ. პეტროვი, კლიმოვიჩი, ტოპიჩი

მწვრთნელი: იურგენ რიობერი

გაფრთხილება: ჰოლერბახი, ბაინლიხი, ტოპიჩი, შნოორი, ფრანცი

მსაჯი: შტარკი

41 017 მაყურებელი

**აინტრახტი 1:1 ჰანზა**

1:0 კრისი (39), 1:1 არვიდსონი (82)

**აინტრახტი:** ნიკოლოვი, ამანატიდისი, ბაიერლე (ლექსა 82), შკელა, პროისი, კროიცი (ფრომერი 85), შური, ბიურგერი, კრისი, ჰერჩი, გიუნტერი

მწვრთნელი: ვილი რაიმანი

**ჰანზა:** შობერი, ტიკუზუ, ჰილი, პერსონი, მიორლე, პლასნეგერი (პრიკა 74), მაული, ლანცი, რასმუსენი, დი სალვო (არვიდსონი 67), მაქსი (კ. მადსენი 86)

მწვრთნელი: ფრიდჰელმ ფუნკელი

გაფრთხილება: შური, ამანატიდისი, დი სალვო, მაული, პერსონი

მსაჯი: ფანდელი

21 000 მაყურებელი

**ვერდერი 1:0 კაიზერსლაუტერნი**

1:0 აილტონი (90პ)

**ვერდერი:** რაინკე, უმითი, ისმაელი, ფ. ბაუმანი, შულცი, ფ. ერნსტი, ლისტეში, მიკუ, ბოროვსკი (დ. ვალდესი 71), აილტონი, კლასნიჩი

მწვრთნელი: თომას შააფი

**კაიზერსლაუტერნი:** ვიზე, კნავსი, ვენცელი, მიხაილ ლემანი, მალცი (ნურმელა 82), რიდლი, ბიელიცა, მ. ხრისტოვი, დომინგეში (კოსოვსკი 55), ლოკვენცი, კლოზე

მწვრთნელი: კურტ იარა

გაფრთხილება: ლემანი, მალცი, რიდლი, ბიელიცა, ხრისტოვი, კნავსი

მსაჯი: კირხერი

34 000 მაყურებელი

**მიუნხენი 0:2 დორტმუნდი**

0:1, 0:2 ევერტონი (41პ, 60)

**მიუნხენი:** მ. ჰოფმანი, შტრანცლი, ტ. ჰოფმანი, როდრიგო კოშტა, ბაიერი (საარინენი 46), გიორლიცი (აგოსტინო 82), მათიას ლემანი, პოშნერი, ვაისენბერგერი (ჩერნი 69), ლაუტი, კიოიო

მწვრთნელი: ფალკო გიოტცი

**დორტმუნდი:** ვარმუზი, შ. როიტერი, ვიორნსი, დემელი, ნ. იენსენი, კელი, ფლავიო კონსეისაო, ფრინგსი, როსიცკი (რიკენი 89), კოლერი, ევერტონი (ოდონკორი 85)

მწვრთნელი: მათიას ზამერი

გაფრთხილება: ფლავიო კონსეისაო, იენსენი, როიტერი, ფრინგსი

გაძევება: შტრანცლი (40)

მსაჯი: მაიერი

25 000 მაყურებელი

# ბაიერნიდან ბაიერნამდე

## ბოხუმმა ოცი წელი გატეხა



REUTERS ბოხუმიდან

ბოხუმი — ბაიერნი. სამუელ კუფურმა მასპინძელთა ირანელს, ვაჰიდ ჰაშემიანს ისე დაქაჩა, ლამის თავი მოაძრო

გერმანიაში ამ უქმეების მთავარი ამბავი, რა თქმა უნდა, „ბაიერნის“ დამარცხება იყო. „ბოხუმმა“, რომელსაც შინ ლამის ერთი წელია, არ წაუგია, „ბაიერნი“ როგორც იქნა გატეხა. როგორც იქნაო, იმიტომ ვამბობთ, რომ ბოხუმელებმა შინ ბოლოს სწორედ „ბაიერნთან“ წააგეს და თან მიუნხენურ გუნდს ბოხუმში ბარე ოცი წელი არ წაეგო.

ერთადერთი გოლი სწრაფად გავიდა. დანიელი ფორვარდი პეტერ მადსენი სტუმართა საჯარიმოში შეიჭრა, მცველები გააბითურა და გაიტანა. ეს მერვე წუთზე მოხდა, ანუ „ბაიერნს“ გასათანაბრებლად საკმაო დრო ჰქონდა. სტუმრები უტევდნენ კიდეც და მომენტებიც შექმნეს — განსაკუთრებით მეორე ტაიმში — მაგრამ მასპინძელთა მეკარე რეინ ვან დუინჰოვენთან ვერაფერს გახდნენ. მეკარეს იმ საღამოს ბრწყინვალე ნახტომ-მოგერიებები მოეპრიანა.

„დაცვაში დაშვებულმა შეცდომებმა და ადრეულმა გოლმა მეტოქეს ფრთები შეასხა — თქვა ნამატჩევს მიუნხენელთა მწვრთნელმა ოტმარ ჰიცფელდმა — თუმცა მხოლოდ ჩვენს შეცდომებზე ლაპარაკი უსამართლობა იქნებოდა, „ბოხუმმა“ ძალიან კარგად ითამაშა.“

ამ მატჩში „ბაიერნს“ წამატებულ დროში სალიჰამიჯიჩის გოლიც გაუუქმეს ოფსაიდის გამო.

შარშანწინდელი ვიცე-ჩემპიონი „ლევერკუზენი“ კი ჰანოვერში ფრეს დააჯერეს.

ლევერკუზენელებს კიდევ გაუმართლათ, რაკი ორი ბურთით აგებდნენ და მერელა გაათანაბრეს.

ფრედ ითამაშა შარშანდელმა მეორეადგილოსანმა „შტუტგარტმაც“, ოღონდ აქ პირიქით მოხდა — „შტუტგარტმა“ ძალიან სწრაფად გაიტანა და ძალიან გვიან გაუშვა. თუმცა შტუტგარტელებმა უიღბლობაზე არ უნდა იწუწუნონ, რადგან დაწინაურების მერე თამაშის სადავეები გლადბახელებს გადააბარეს და ალბათ ამიტომაც დაისაჯნენ. ეს შეხვედრა ფელიქს მაგათის მესამე მატჩი იყო „შტუტგარტის“ მწვრთნელად და ბიჭებმა საჩუქარი ვერ მიართვეს. არადა, რომ მოეგოთ, „ბაიერნს“ [illegible] მოიტოვებდნენ.

ამ ტურში [illegible] გავიდა, ოღონდ ამ გოლმა „ფრაიბურგს“ შვება ვერ მოჰგვარა. „ფრაიბურგი“ 0:3 აგებდა შინ „ჰერტასთან“ და ბერლინელებმა ბოლოსკენლა აჩუქეს ორი გოლი. ჯერ მიხაელ ჰარტმანი წაეშველათ ავტოგოლით, მერე კი ლევან ცქიტიშვილმა გაიტანა პენალტი.

თუ გახსოვთ, ზამთრის არდადეგებამდე „ჰერტა“ ბოლო ადგილზე იყო და ახლა ზედიზედ ორი გამარჯვებით გასავარდნთა ზონასაც კი ასცდა.

„ფრაიბურგისგან“ განსხვავებით მოიგო მეორე ქართულმა გუნდმა. ლევან კობიაშვილის „შალკემ“ ის „კიოლნი“ დაამარცხა, რომელიც ახლა „ჰერტას“ ადგილასაა ცხრილში.

კიოლნელებს პირველი გოლი ბელგიელმა მცველმა ნიკო ვან კერკჰოვენმა გაუტანა საჯარიმო დარტყმით, მეორე კი, ასევე საჯარიმოთი, შეცვლაზე შესულმა მიხაელ დელურამ გაიტანა.

ამგვარად, „შალკემ“ ზედიზედ მეოთხე თამაში მოიგო სტუმრად და ცხრილშიც „დორტმუნდის“ სწორადაა, რომელმაც ასევე სტუმრად „მიუნხენს“ სძლია. ვინძლოა, კობიაშვილმა გაისად უეფას თასზე ითამაშოს.

ლიდერი კი ისევ „ვერდერია“ და რაკი მდევრებმა ქულები დაკარგეს, ცხრა ქულით გაიჭრა წინ.

**ირაკლი ნინიძე**

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 ვერდერი | 20 | 15 | 3 | 2 | 52:21 | 31 | 48 | 11 | 8 | 2 | 1 | 28:12 | 16 | 26 | 9 | 7 | 1 | 1 | 24:9 | 15 | 22 |
| 2 ბაიერნი | 20 | 11 | 6 | 3 | 44:22 | 22 | 39 | 9 | 7 | 2 | 0 | 26:10 | 16 | 23 | 11 | 4 | 4 | 3 | 18:12 | 6 | 16 |
| 3 შტუტგარტი | 20 | 11 | 6 | 3 | 27:9 | 18 | 39 | 11 | 6 | 4 | 1 | 16:6 | 10 | 22 | 9 | 5 | 2 | 2 | 11:3 | 8 | 17 |
| 4 ლევერკუზენი | 20 | 10 | 6 | 4 | 37:22 | 15 | 36 | 9 | 6 | 1 | 2 | 20:9 | 11 | 19 | 11 | 4 | 5 | 2 | 17:13 | 4 | 17 |
| 5 ბოხუმი | 20 | 9 | 6 | 5 | 33:23 | 10 | 33 | 10 | 7 | 3 | 0 | 18:3 | 15 | 24 | 10 | 2 | 3 | 5 | 15:20 | -5 | 9 |
| 6 დორტმუნდი | 20 | 9 | 4 | 7 | 35:28 | 7 | 31 | 10 | 6 | 3 | 1 | 23:11 | 12 | 21 | 10 | 3 | 1 | 6 | 12:17 | -5 | 10 |
| 7 შალკე | 20 | 8 | 7 | 5 | 26:23 | 3 | 31 | 10 | 3 | 5 | 2 | 10:9 | 1 | 14 | 10 | 5 | 2 | 3 | 16:14 | 2 | 17 |
| 8 ჰამბურგი | 20 | 7 | 6 | 7 | 28:33 | -5 | 27 | 10 | 5 | 3 | 2 | 17:13 | 4 | 18 | 10 | 2 | 3 | 5 | 11:20 | -9 | 9 |
| 9 ვოლფსბურგი | 20 | 8 | 1 | 11 | 37:39 | -2 | 25 | 10 | 7 | 0 | 3 | 26:16 | 10 | 21 | 10 | 1 | 1 | 8 | 11:23 | -12 | 4 |
| 10 ჰანოვერი | 20 | 6 | 6 | 8 | 36:44 | -8 | 24 | 10 | 3 | 5 | 2 | 21:20 | 1 | 14 | 10 | 3 | 1 | 6 | 15:24 | -9 | 10 |
| 11 ფრაიბურგი | 20 | 7 | 3 | 10 | 28:44 | -16 | 24 | 11 | 7 | 1 | 3 | 22:21 | 1 | 22 | 9 | 0 | 2 | 7 | 6:23 | -17 | 2 |
| 12 ჰანზა | 20 | 6 | 5 | 9 | 29:31 | -2 | 23 | 9 | 4 | 1 | 4 | 15:10 | 5 | 13 | 11 | 2 | 4 | 5 | 14:21 | -7 | 10 |
| 13 მიუნხენი | 20 | 6 | 5 | 9 | 20:29 | -9 | 23 | 11 | 5 | 1 | 5 | 12:16 | -4 | 16 | 9 | 1 | 4 | 4 | 8:13 | -5 | 7 |
| 14 გლადბახი | 20 | 5 | 5 | 10 | 20:28 | -8 | 20 | 9 | 3 | 3 | 3 | 9:10 | -1 | 12 | 11 | 2 | 2 | 7 | 11:18 | -7 | 8 |
| 15 ჰერტა | 20 | 4 | 7 | 9 | 19:39 | -20 | 19 | 9 | 2 | 3 | 4 | 9:16 | -7 | 9 | 11 | 2 | 4 | 5 | 10:23 | -13 | 10 |
| 16 ლაუტერნი | 20 | 6 | 3 | 11 | 22:34 | -12 | 18 | 9 | 4 | 2 | 3 | 12:8 | 4 | 14 | 11 | 2 | 1 | 8 | 10:26 | -16 | 7 |
| 17 აინტრახტი | 20 | 4 | 5 | 11 | 20:31 | -11 | 17 | 11 | 2 | 4 | 5 | 13:17 | -4 | 10 | 9 | 2 | 1 | 6 | 7:14 | -7 | 7 |
| 18 კიოლნი | 20 | 4 | 4 | 12 | 16:29 | -13 | 16 | 11 | 4 | 1 | 6 | 11:14 | -3 | 13 | 9 | 0 | 3 | 6 | 5:15 | -10 | 3 |

*„კაიზერსლაუტერნს“ დაკლებული აქვს 3 ქულა*

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| აილტონი (ვერდერი) | 19 |
| მაქსი (ჰანზა) | 12 |
| მაკაი (ბაიერნი) | 12 |
| ჰაშემიანი (ბოხუმი) | 11 |
| კოლერი (დორტმუნდი) | 10 |

**XXI ტური**

21 თებერვალი

ჰანზა — ჰანოვერი
ჰერტა — აინტრახტი
გლადბახი — ფრაიბურგი
ლაუტერნი — შტუტგარტი
შალკე — ვერდერი
დორტმუნდი — კიოლნი
ვოლფსბურგი — მიუნხენი
ბაიერნი — ჰამბურგი
ლევერკუზენი — ბოხუმი

## მეორე ბუნდესლიგა

**XX ტური**

**უნიონი 3:0 აუე**

1:0 ბაუმგარტი (35), 2:0 ბრუნსი (80), 3:0 ბრუსკო (88)

**უნიონი:** ვულნიკოვსკი, სანდმანი (სირაძე 90), კოზაკი, პაგე, დაბაჩი, მორლატა, პეცი, სობოტჩიკი (ერნემანი 87), ბრუნსი, ბაუმგარტი, პოპოვი (ბრუსკო 75)

**აუე:** ჰანელი, ფ. ბერგერი, ემერიხი, ნოვესკი, კურტი (გ. ბერგერი 63), ტომმიოლერი, მ. ჰაიდრიხი (ბრუმი 77), ტრეკოფი, კური (იანკი 63), შუბითიძე, იუსკოვიაკი

მსაჯი: შიპელი

8 941 მაყურებელი

**აინტრახტი 2:0 ფიურტი**

1:0 კელერი (54), 2:0 რაკანელი (75)

**ობერჰაუზენი 1:0 კარლსრუე**

1:0 დ. მონტერო (69)

**ოსნაბრიუკი 3:0 ბურგჰაუზენი**

1:0 გლედსონი (42), 2:0 ენოხსი (48), 3:0 შიდი (65)

**ალენი 0:0 არმინია**

**ალემანია 0:2 კოტბუსი**

0:1 სილვა (41), 0:2 რ. ვაგნერი (45)

**რეგენსბურგი 0:5 დუისბურგი**

0:1 ბუგერა (31), 0:2 დრსეკი (47), 0:3 აჰანფუფი (65), 0:4 დრსეკი (85), 0:5 ვოში (90)

**უნტერჰახინგი 0:1 ლიუბეკი**

0:1 შარპინგი (35)

**ნიურნბერგი — მაინცი**

*დღეს გაიმართება*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ობერჰაუზენი | 20 | 11 | 5 | 4 | 35:21 | 38 |
| კოტბუსი | 20 | 10 | 5 | 5 | 33:26 | 35 |
| ნიურნბერგი | 19 | 9 | 5 | 5 | 33:23 | 32 |
| მაინცი | 19 | 8 | 7 | 4 | 30:23 | 31 |
| ალემანია | 20 | 9 | 4 | 7 | 32:32 | 31 |
| ლიუბეკი | 20 | 7 | 8 | 5 | 32:27 | 29 |
| უნტერჰახინგი | 20 | 8 | 5 | 7 | 30:29 | 29 |
| არმინია | 20 | 8 | 4 | 8 | 29:24 | 28 |
| კარლსრუე | 20 | 8 | 4 | 8 | 22:25 | 28 |
| ბურგჰაუზენი | 20 | 7 | 6 | 7 | 24:24 | 27 |
| დუისბურგი | 20 | 6 | 8 | 6 | 29:27 | 26 |
| ფიურტი | 20 | 5 | 8 | 7 | 33:33 | 23 |
| აუე | 20 | 5 | 8 | 7 | 21:25 | 23 |
| რეგენსბურგი | 20 | 5 | 8 | 7 | 25:31 | 23 |
| ტრირი | 20 | 6 | 5 | 9 | 24:33 | 23 |
| ალენი | 20 | 6 | 3 | 11 | 20:32 | 21 |
| უნიონი | 20 | 5 | 5 | 10 | 22:25 | 20 |
| ოსნაბრიუკი | 20 | 5 | 4 | 11 | 21:35 | 19 |

# უდინე... სან სიროს ზეთი

## იტალია

### სერია A. XXI ტური

**ლეჩე 1:1 მილანი**

1:0 ჩევანტონი (19), 1:1 შევჩენკო (52)
ლეჩე: სიჩინიანო, სივილია, ბოვო, სტოვინი, ტონეტო, კასეტი, ბოლანო, ლედესმა, დ. ფრანჩესკინი (აბრუცეზე 79), ჩევანტონი (ვუჩინიჩი 82), ბოჟინოვი (კონანი 56)
მწვრთნელი: დელიო როსი
მილანი: დიდა, კაფუ, ნესტა, მალდინი, კალაძე, გატუზო (ბროკი 68), პირლო, ზეედორფი, რუი კოშტა (ტომასონი 46), კაკა (სერჟინიო 87), შევჩენკო
მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი
გაფრთხილება: ბოლანო, ბოვო, მალდინი, სიჩინიანო
მსაჯი: პიერი
31 427 მაყურებელი

**ანკონა 0:0 რომა**

ანკონა: მარკონი, ლ. ელგერა, ბოლიჩი, დ. ბაჯო (ბილიკა 42), მილანეზე, სომეზე, დ. ანდერსონი, მაინი, გრაბი, ჟარდელი (განცი 82), პანდევი (გორეტი 72)
მწვრთნელი: ჯოვანი გალეონე
რომა: პელიცოლი, ძებინა, ვ. სამუელი, დელასი, პანუჩი (დე როსი 71), ტომაზი (კარეუ 46), დაკური, ემერსონი, ფ. ლიმა, ტოტი, ა. კასანო (დელვეკიო 86)
მწვრთნელი: ფაბიო კაპელო
გაფრთხილება: პანუჩი, ძებინა, გორეტი
მსაჯი: პაპარესტა
20 000 მაყურებელი

**ლაციო 3:0 ემპოლი**

1:0 კოუტუ (4), 2:0 ძაური (45), 3:0 სტამი (70)
ლაციო: პერუცი, სტამი, ფ. კოუტუ, მიხაილოვიჩი, ფავალი (ძაური 19), ფიორე (ს. ინძაგი 79), ჯანიკედა, ლივერანი, სეზარი, კორადი (მუცი 75), კ. ლოპესი
მწვრთნელი: რობერტო მანჩინი
ემპოლი: ბალი, ბელერი, კრიბარი, ვარგასი, ლუკინი, პ. ძანეტი, ფიჩინი (ჯამპიერეტი 58), ბუშე, ვანუკი (ფოჯა 66), დი ნატალე, როკი (ტავანო 72)
მწვრთნელი: ატილიო პეროტი
გაფრთხილება: მიხაილოვიჩი, ვარგასი
მსაჯი: რაკალბუტო
45 000 მაყურებელი

**ინტერი 1:2 უდინეზე**

0:1 პინცი (52), 0:2 ფავა (66), 1:2 კრუზი (70)
ინტერი: ტოლდო, ჰელვეგი, ადანი, ი. კორდობა, ხ. ძანეტი, ფარინოსი (კარაგუნისი 69), დ. სტანკოვიჩი, პასკუალე, ადრიანო (ვიერი 53), ხ. კრუზი, რეკობა (ლამუში 46)
მწვრთნელი: ალბერტო ძაკერონი
უდინეზე: დე სანტისი, ბერტოტო, სენსინი, კროლდრუპი, იანკულოვსკი, პინცი, მუნტარი, პიერი (ფელიპე 87), დ. პიზარო (პაზიენცა 78), იორგენსენი, ფავა (იაკინტა 74)
მწვრთნელი: ლუჩანო სპალეტი
მსაჯი: პალანკა
55 000 მაყურებელი

**სიენა 1:2 პარმა**

1:0 კიეზა (43), 1:1 ჯილარდინო (58), 1:2 ბრეშიანო (90)
სიენა: ჯ. როსი, კუფრე, როკე ჟუნიორი, მინანი (ფერნანდო 87), ჟუნიორი, ლაზეტიჩი, დავერსა, ვერგასოლა, გიგუ (არჯილი 71), ტ. ფლო, კიეზა
მწვრთნელი: ჯუზეპე პაპადოპულო
პარმა: ს. ფრეი, ბონერა, მ. ფერარი, მ. კასტელინი, სერიჩი (პოტენცა 46), ბარონე, დონადელი, მარკიონი (როზინა 79), ბრეშიანო, დეგანო (კამარატა 57), ჯილარდინო
მწვრთნელი: ჩეზარე პრანდელი
გაფრთხილება: დეგანო, სერიჩი, მინანი, მარკიონი, ჯილარდინო, კიეზა, დავერსა
მსაჯი: როზეტი
10 000 მაყურებელი

**ბრეშა 1:1 სამპდორია**

1:0 კარაჩოლო (6), 1:1 დონი (57)
ბრეშა: ალიარდი, ჟ. მარტინესი, დი ბიაჯო, დაინელი, პ. კასტელინი, ბაკინი (დელ ნერო 70), ჯ. კოლუჩი (მარეკო 52), მატუზალემი, მაური, რ. ბაჯო, კარაჩოლო (მანიერო 48)
მწვრთნელი: ჯოვანი დე ბიაზი
სამპდორია: ანტონიოლი, კ. ძენონი, საკეტი, კაროციერი, ბეტარინი, დიანა, პალომბო, დონატი, დონი (პედონე 84), ბაცანი, ჩიპრიანი (ვალტოლინა 90)
მწვრთნელი: ვალტერ ნოველინო
გაფრთხილება: დონი, საკეტი, კოლუჩი, ბეტარინი
გაძევება: ჯოვანი დე ბიაზი (88, „ბრეშას" მწვრთნელი)
მსაჯი: გაბრიელე
15 000 მაყურებელი

**პერუჯა 0:2 კიევო**

0:1 ბარძალი (67), 0:2 კოსატო (90)
პერუჯა: კალაჩი, დი ლორეტო, ფრეზი, ინოფო, ზე მარია, დი ფრანჩესკო (რავანელი 60), კოდრია (ფუზანი 49), ობოდო, კ. მანფრედინი, უბნერი (ბოტროიდი 73), ზალაიეტა
მწვრთნელი: სერსე კოზმი
კიევო: მარკეჯანი, მორო, ბარძალი, დანა, ს. ლანა, ლუსიანო (სემიოლი 50; სალა 85), პეროტა, ძანკეტა, მალაგო, ამაური (პელისიერი 61), ფ. კოსატო
მწვრთნელი: ლუიჯი დელ ნერი
გაფრთხილება: ამაური, კოდრია, რავანელი, ლანა, პელისიერი, ფრეზი
მსაჯი: პრესკერნი
11 000 მაყურებელი

**ბოლონია 1:1 მოდენა**

1:0 ლოკატელი (34), 1:1 ამორუზო (64)
ბოლონია: პალიუკა, გამბერინი, ნატალი, მორეტი (ტერცი 66), ბელუჩი (ძაკარდო 56), ნაკატა, ლ. კოლუჩი, პეკია, სუსი, ლოკატელი (ლოვიზო 80), ტარე
მწვრთნელი: კარლო მაცონე
მოდენა: ძანკოპე, მ. მაიერი, გრანდონი, დომიცი, კამპედელი, მარასკო (ნ. ამორუზო 58), მილანეტო, ბალესტრი, ვინიაროლი (სკოპონი 71), მაკინვა (დ. კამარა 77), მარაცინა
მწვრთნელი: ალბერტო მალეზანი
გაფრთხილება: პეკია, მილანეტო, კოლუჩი, მარასკო, კოლუჩი, ბალესტრი, ლოკატელი, ვინიაროლი, გამბერინი
გაძევება: კოლუჩი (32)
მსაჯი: დე სანტისი
25 000 მაყურებელი

***იუვენტუსი — რეჯინა***

*წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მე-2 გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა*

კახა კალაძე მოედანს დაუბრუნდა და შეუცვლელად ითამაშა. ვფიქრობთ, ქართველ ფეხბურთელს ცუდი ნამდვილად არაფერი გაუკეთებია, დაცვაშიც ცდილობდა და შეტევაშიც, ხოლო გუნდმა რომ ვერ მოიგო, ეს სხვა საქმეა. მატჩს წინ წუთიერი დუმილი უძღოდა, ხოლო მილანელებს შავი სამკლავურები ეკეთათ — ასე გამოხატეს გლოვა ერთგული ქომაგის, ტურ დე ფრანსის ყოფილი ჩემპიონის, ცნობილი ველომრბოლის მარკო პანტანის გარდაცვალების გამო, შემდეგ კი დაიწყო. და თუ ვინმეს ამ მატჩში გოლის გატანა უნდოდა, ეს ლეჩელი ბულგარელი ვალერი ბოჟინოვი იყო. საამისოდ მას ორი მიზეზი ჰქონდა: 18 წლისაც სწორედ გუშინ გახდა და დღეობაზე მაინცდამაინც მომავალ გუნდს შეხვდა. კიდევ თვალშისაცემი გახლდათ მილანელი ჯენარო გატუზოს შეხვეული თავი. გატუზო შეხვედრის დასაწყისშივე შეასკდა კრისტიან ლედესმას და სისხლიც ბლომად დაკარგა, მაგრამ დაიჟინა, მინდვრიდან ფეხს არ მოვიცვლიო და 70 წუთი ირბინა.

ანგარიში „ლეჩეს" ჩინებულმა ურუგვაელმა ფეხბურთელმა, ხავიერ ერნესტო ჩევანტონმა საჯარიმო დარტყმით გახსნა. ეს მე-19 წუთზე მოხდა. ჩევანტონისთვის ეს გოლი სეზონში მე-11 იყო. რაც შეეხებათ მილანელებს, მათ შესვენებაზე რუი კოშტა იონ დალ ტომასონით შეცვალეს, ანუ კლასიკური 4-4-2 განლაგებით გავიდნენ მეორე ტაიმის სათამაშოდ და მართლებიც გამოდგნენ — ტომასონმა 52-ე წუთზე თავით დაუგდო ბურთი საჯარიმოს გარეთ მყოფ ანდრეი შევჩენკოს, რომელმაც ძლიერი და ზუსტი დარტყმით გაათანაბრა ანგარიში. საინტერესოა, რომ 1999 წელს უკრაინელმა სერია A-ში თავისი პირველი გოლი სწორედ აქ, „სტადიო ვია დელ მარეზე" გაიტანა.

ამრიგად, ლიდერმა ორი ქულა დაკარგა, მაგრამ ვაი, „რომას", რომელმაც ასევე დაკარგა ორი ქულა — „იუვენტუსის" დიდი ხმაურითა და ზარ-ზეიმით 4:0 დამარცხებიდან ერთი კვირის თავზე ამანტინო მანსინი და ვინსენტ კანდელა გრიპით ჩაწვნენ. ასე რომ, მოედანზე შესვლა დამიანო ტომაზის მოუწია, თუმც ეს მთავარი არ არის. განა „ანკონას" არ ჰყავდა კრისტიან ბუკი დისკვალიფიცირებული და მილან რაპაიჩი დაშავებული? ანკონელთა შემადგენლობაში მოედანზე ტრიალი მარიო ჟარდელს და მისებრ პრემიერლიგაგამოვლილ კორადო გრაბის მოუხდათ.

„რომა", ცხადია, პირველივე წუთიდან მოსაგებად თამაშობდა. მე-5 წუთზე ანტონიო კასანომ სცადა კიდეც ანგარიშის გახსნა, ხოლო შემდეგ ფრანჩესკო ტოტის ჩაწოდებულს თავი გაჰკრა და ძელს მოარტყა. საკუთრივ ტოტიმაც დაარტყა ეფექტური ჯარიმა, ოღონდ ბურთი მეკარე სერჯო მარკონიმ მოიგერია.

შესვენების შემდეგ თავდასხმის გასაძლიერებლად „რომამ" ტომაზის ნაცვლად მოედანზე იონ კარეუ შეიყვანა, ხოლო „ანკონას" რამდენიმე ბრწყინვალე საგოლე მომენტი ჰქონდა. თუმცა მატჩის გმირად, ალბათ, მაინც მეკარე მარკონი უნდა გამოცხადებულიყო, განსაკუთრებით კი იმ მომენტებისთვის, როდესაც კარეუს და კასანოს შეუშალა ხელი.

„ინტერმა" კი შინ, „სან სიროზე", ვაი, სირცხვილო და „უდინეზესთან" წააგო. ისე, აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ მილანელთა მწვრთნელს, ალბერტო ძაკერონის არ ჰყავდნენ ფაბიო კანავარო, კარლოს გამარა, ფრანჩესკო კოკო და მარკო მატერაცი. საგულისხმოა, რომ ძაკერონიმ ამ მატჩში არ მიმართა თასის შეხვედრებში ასე კარგად ამუშავებულ კრისტიან ვიერისა და ადრიანოს წყვილს და მაინცდამაინც ვერც წინა ტურებში გალაღებულმა ალვარო რეკობამ გაიბრწყინა.

გოლები მეორე ტაიმში გავიდა: ჯამპიერო პინცომ 30 მეტრიდან დააქუხა ბურთი ფრანჩესკო ტოლდოს კარში და შეაგდო, ამ წარმატებიდან თორმეტ წუთში კი უდინელებმა დამუშავებული კომბინაცია გაითამაშეს — იორგენსენის და იანკულოვსკის დაწყებული საქმე ფავამ ახლოდან დაასრულა. „ინტერმა" 70-ე წუთზე ხულიო კრუზის ერთობ საეჭვო გოლით უპასუხა — კრუზამდე ვიერიმ ბურთი მკლავით გაისწორა.

დაბოლოს, ინფორმაცია განსჯისთვის: „უდინეზემ" ამ სეზონში „სან სიროზე" მის ორივე პატრონს მოუგო.

**პაპუნა ძედია**



ინტერი — უდინეზე. ნიკოლა პაზიენცამ კრისტიან ვიერი ბურთს არ გააკარა

|  | სულ |  |  |  |  |  |  | შინ |  |  |  |  |  |  | სტუმრად |  |  |  |  |  |  |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 მილანი | 21 | 16 | 4 | 1 | 40:11 | 29 | 52 | 10 | 8 | 1 | 1 | 22:7 | 15 | 25 | 11 | 8 | 3 | 0 | 18:4 | 14 | 27 |
| 2 რომა | 21 | 14 | 5 | 2 | 41:9 | 32 | 47 | 11 | 9 | 1 | 1 | 27:5 | 22 | 28 | 10 | 5 | 4 | 1 | 14:4 | 10 | 19 |
| 3 იუვენტუსი | 20 | 13 | 4 | 3 | 42:25 | 17 | 43 | 10 | 8 | 1 | 1 | 26:10 | 16 | 25 | 10 | 5 | 3 | 2 | 16:15 | 1 | 18 |
| 4 ლაციო | 21 | 12 | 3 | 6 | 33:22 | 11 | 39 | 10 | 7 | 1 | 2 | 20:9 | 11 | 22 | 11 | 5 | 2 | 4 | 13:13 | 0 | 17 |
| 5 ინტერი | 21 | 10 | 6 | 5 | 36:17 | 19 | 36 | 11 | 6 | 2 | 3 | 22:8 | 14 | 20 | 10 | 4 | 4 | 2 | 14:9 | 5 | 16 |
| 6 პარმა | 21 | 10 | 6 | 5 | 30:25 | 5 | 36 | 10 | 5 | 3 | 2 | 13:7 | 6 | 18 | 11 | 5 | 3 | 3 | 17:18 | -1 | 18 |
| 7 უდინეზე | 21 | 9 | 6 | 6 | 25:23 | 2 | 33 | 11 | 4 | 3 | 4 | 10:10 | 0 | 15 | 10 | 5 | 3 | 2 | 15:13 | 2 | 18 |
| 8 სამპდორია | 21 | 7 | 9 | 5 | 26:24 | 2 | 30 | 10 | 5 | 2 | 3 | 15:12 | 3 | 17 | 11 | 2 | 7 | 2 | 11:12 | -1 | 13 |
| 9 კიევო | 21 | 8 | 4 | 9 | 25:26 | -1 | 28 | 10 | 3 | 2 | 5 | 12:15 | -3 | 11 | 11 | 5 | 2 | 4 | 13:11 | 2 | 17 |
| 10 ბოლონია | 21 | 6 | 7 | 8 | 23:28 | -5 | 25 | 11 | 4 | 3 | 4 | 15:18 | -3 | 15 | 10 | 2 | 4 | 4 | 8:10 | -2 | 10 |
| 11 ბრეშა | 21 | 5 | 9 | 7 | 29:33 | -4 | 24 | 11 | 3 | 5 | 3 | 18:16 | 2 | 14 | 10 | 2 | 4 | 4 | 11:17 | -6 | 10 |
| 12 მოდენა | 21 | 5 | 7 | 9 | 17:27 | -10 | 22 | 10 | 4 | 3 | 3 | 10:10 | 0 | 15 | 11 | 1 | 4 | 6 | 7:17 | -10 | 7 |
| 13 სიენა | 21 | 5 | 6 | 10 | 28:30 | -2 | 21 | 10 | 5 | 2 | 3 | 17:7 | 10 | 17 | 11 | 0 | 4 | 7 | 11:23 | -12 | 4 |
| 14 რეჯინა | 20 | 4 | 9 | 7 | 18:30 | -12 | 21 | 11 | 3 | 6 | 2 | 10:10 | 0 | 15 | 9 | 1 | 3 | 5 | 8:20 | -12 | 6 |
| 15 ლეჩე | 21 | 5 | 4 | 12 | 25:38 | -13 | 19 | 10 | 2 | 3 | 5 | 11:15 | -4 | 9 | 11 | 3 | 1 | 7 | 14:23 | -9 | 10 |
| 16 ემპოლი | 21 | 4 | 4 | 13 | 15:38 | -23 | 16 | 10 | 3 | 3 | 4 | 10:13 | -3 | 12 | 11 | 1 | 1 | 9 | 5:25 | -20 | 4 |
| 17 პერუჯა | 21 | 0 | 11 | 10 | 23:39 | -16 | 11 | 11 | 0 | 9 | 2 | 16:19 | -3 | 9 | 10 | 0 | 2 | 8 | 7:20 | -13 | 2 |
| 18 ანკონა | 21 | 0 | 6 | 15 | 8:39 | -31 | 6 | 11 | 0 | 5 | 6 | 4:15 | -11 | 5 | 10 | 0 | 1 | 9 | 4:24 | -20 | 1 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| შევჩენკო (მილანი) | 17 |
| ტრეზეგე (იუვენტუსი) | 12 |
| ტოტი (რომა) | 12 |
| ვიერი (ინტერი) | 11 |
| ჩევანტონი (ლეჩე) | 11 |
| ბაცანი (სამპდორია) | 11 |

### XXII ტური

22 თებერვალი

უდინეზე — ანკონა
მოდენა — ემპოლი
მილანი — ინტერი
ბოლონია — იუვენტუსი
კიევო — ლაციო
ბრეშა — ლეჩე
სამპდორია — პარმა
რეჯინა — პერუჯა
რომა — სიენა

### სერია B

#### XXVII ტური

**ალბინოლეფე 0:4 ატალანტა**

0:1 პინარდი (4), 0:2 მონტოლივო (45), 0:3 გაუტიერი (50), 0:4 მარკოლინი (55)

**აველინო 1:1 ლივორნო**

0:1 დანილევიჩუსი (36), 1:1 მორეტი (55)

**ბარი 0:0 ტრევიზო**

**კალიარი 3:2 პალერმო**

1:0 აბეიონი (42), 1:1, 1:2 გასპარონი (48, 66), 2:2 ე. ფილიპინი (78ს.კ.), 3:2 ლანგელა (86)

**კომო 2:1 ასკოლი**

0:1 ინაჩიო პია (5), 1:1 როსეტი (80), 2:1 კარპარელი (86)

**ფიორენტინა 1:1 ვიჩენცა**

0:1 მარჯოტა (37), 1:1 რიგანო (52პ)

**ჯენოა 2:1 ტორინო**

0:1 ტირიბოკი (5), 1:1 ფოლიო (29), 2:1 მ. როსი (70)

**მესინა 1:1 ტერნანა**

0:1 ა. ხიმენესი (29), 1:1 პარიზი (34პ)

**პიაჩენცა 2:3 ნაპოლი**

0:1 ტოსტო (42), 1:1 ბეგეტო (45პ), 2:1 კაჩა (78), 2:2 ტოსტო (81), 2:3 ძანინი (86)

**ვენეცია 2:0 პესკარა**

1:0 სავერინო (30), 2:0 ა. როსი (89)

**ვერონა 0:0 კატანია**

**სალერნიტანა — ტრიესტინა**

*დღეს გაიმართება*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ატალანტა | 27 | 12 | 13 | 2 | 37:18 | 49 |
| ტერნანა | 27 | 13 | 8 | 6 | 39:26 | 47 |
| კალიარი | 27 | 12 | 8 | 7 | 46:31 | 44 |
| პალერმო | 27 | 11 | 11 | 5 | 37:24 | 44 |
| პიაჩენცა | 27 | 12 | 8 | 7 | 29:24 | 44 |
| მესინა | 27 | 10 | 12 | 5 | 35:27 | 42 |
| ლივორნო | 27 | 9 | 13 | 5 | 33:26 | 40 |
| ტორინო | 27 | 9 | 10 | 8 | 37:31 | 37 |
| სალერნიტანა | 26 | 10 | 7 | 9 | 24:24 | 37 |
| კატანია | 27 | 9 | 9 | 9 | 33:28 | 36 |
| ტრიესტინა | 26 | 9 | 9 | 8 | 34:34 | 36 |
| ტრევიზო | 27 | 8 | 11 | 8 | 28:28 | 35 |
| ასკოლი | 27 | 8 | 10 | 9 | 32:33 | 34 |
| ნაპოლი | 27 | 6 | 16 | 5 | 23:24 | 34 |
| ფიორენტინა | 27 | 7 | 13 | 7 | 30:34 | 34 |
| ვერონა | 27 | 7 | 11 | 9 | 33:35 | 32 |
| ალბინოლეფე | 27 | 8 | 8 | 11 | 23:35 | 32 |
| პესკარა | 27 | 7 | 10 | 10 | 21:31 | 31 |
| ვიჩენცა | 27 | 6 | 12 | 9 | 25:27 | 30 |
| ვენეცია | 27 | 6 | 11 | 10 | 23:30 | 29 |
| ბარი | 27 | 6 | 9 | 12 | 28:36 | 27 |
| კომო | 27 | 6 | 9 | 12 | 21:32 | 27 |
| ჯენოა | 27 | 5 | 12 | 10 | 23:35 | 27 |
| აველინო | 27 | 1 | 12 | 14 | 21:42 | 15 |

### სერია C1/A

#### XXII ტური

არეცო — პისტოიეზე 1:0; ლუკეზე — ლუმეცანი 3:1; პადოვა — ვარეზე 1:1; პრატო — ჩეზენა 0:0; პრო პატრია — პიზა 1:2; რეჯანა — სპალ 1:0; რიმინი — ნოვარა 0:0; ს. ტორესი — პავია 3:0; სპეცია — ჩიტადელა 1:0

### სერია C1/B

#### XXII ტური

აკირეალე — კროტონე 0:1; ბენევენტო — ჯულიანოვა 1:0; კატანძარო — ვიტერბეზე 1:1; კიეტი — პატერნო 1:0; ფერმანა — სორა 2:0; ფოჯა — სამბენედეტეზე 0:2; ლანჩანო — აკილა 2:1; მარტინა — ტარანტო 2:0. ტერამო — პეზარო დღეს გაიმართება

# ხუთში ოთხი და ოთხში სამი

## ესპანეთი
### პრიმერადივიზიონი XXIV ტური

**დეპორტივო 2:0 ოსასუნა**

1:0, 2:0 ვიქტორი (22, 37)
დეპორტივო: მოლინა, სკალონი, ჟორჟე ანდრადე, რომერო, კაპდევილა, მაურო სილვა (სერხიო 67), ვიქტორი, ვალერონი (მუნიტისი 78), ფრანი, ლუკე (პანდიანი 81), ტრისტანი
მწვრთნელი: ხავიერ ირურეტა
ოსასუნა: სანსოლი, ისკიერდო, კრუჩაგა, ხოსეჩო, ანტონიო ლოპესი, მუნიოსი, რივერო (პალასიოსი 73), პაბლო გარსია, ალოიზი (ივან როსადო 62), ვალდო, ბაკაიოკო (ვებო 62)
მწვრთნელი: ხავიერ აგირე
გაფრთხილება: კრუჩაგა, მაურო სილვა, მოლინა
გაძევება: პაბლო გარსია (64)
მსაჯი: ლოსანტოს ომარი
24 000 მაყურებელი

**ბარსელონა 3:1 ატლეტიკო**

1:0 სავიოლა (10), 1:1 ნიკოლაიდისი (22), 2:1 რონალდინიო (25), 3:1 ლუის გარსია (44)
ბარსელონა: ხორკერა, რაიციგერი (ოლეგერი 55), პუიოლი, მარკესი, ვან ბრონკჰორსტი, კოკუ, ხავი, დავიდსი, ლუის გარსია (ოვერმარსი 90), რონალდინიო, სავიოლა (მოტა 71)
მწვრთნელი: ფრანკ რაიკარდი
ატლეტიკო: არაგონესესი, კონტრა, გასპარი, ლეკი, რომერო (არისმენდი 75), ნოვო (ხორხე 61), დე ლოს სანტოსი (მუსამპა 79), ნანო, იბაგასა, ფ. ტორესი, ნიკოლაიდისი
მწვრთნელი: გრეგორიო მანსანო
გაფრთხილება: დე ლოს სანტოსი, ნოვო, იბაგასა, გასპარი, დავიდსი, დავიდსი, ლეკი, რომერო, ტორესი, ხორხე
გაძევება: დავიდსი (68)
მსაჯი: პერეს ბურული
98 000 მაყურებელი

**სოსიედადი 1:1 ბილბაო**

0:1 იესტე (14), 1:1 ნიჰათი (39)
სოსიედადი: ვესტერფელდი, არანსაბალი, კვარმე, შურერი, ლოპეს რეკარტე, ხაბი ალონსო, კარპინი, გაბილონდო (ხაბი პრიეტო 75), ალკისა (არანბურუ 67), კოვაჩევიჩი, ნიჰათი (დე პაულა 85)
მწვრთნელი: რეინალდ დენიო
ბილბაო: არანსუბია, ხავი გონსალესი (ლაკრუსი 62), ლუის პრიეტო, ა. კარანკა, ლარასაბალი, ტიკო, გურპეგი, იესტე, ესკერო, ხ. ეჩებერია (გურენდესი 89), ურსაისი (ორბაისი 56)
მწვრთნელი: ერნესტო ვალვერდე
გაფრთხილება: ხაბი ალონსო, ლოპეს რეკარტე, გურპეგი, ნიჰათი, გურპეგი, ალკისა, ლაკრუსი, ლარასაბალი, ლუის პრიეტო
გაძევება: გურპეგი (52)
მსაჯი: როდრიგეს სანტიაგო
28 871 მაყურებელი

**მურსია 1:3 სევილია**

0:1, 0:2 ბაპტისტა (43, 72პ), 1:2 ლუის გარსია (90პ), 1:3 ბაპტისტა (90)
მურსია: ბონანო, ხუანმა, კუადრადო, ურტადო (დ. კარანკა 61), კლავერო (კინტანა 61), აკიარი, რიჩი (პედრო ლარგო 35), განსედო, ლუის გარსია, მიჩელი, ესნაიდერი
მწვრთნელი: ჯონ ტოშაკი
სევილია: ესტებანი, დანიელ ალვესი (სერხიო რამოსი 74), ხავი ნავარო, პაბლო ალფარო, მარანიონი, ტორადო, ოსკარი, ხ. რედონდო, ანტონიო ლოპესი (მაგალიანესი 81), ბაპტისტა, კარლიტოსი (ანტონიტო 62)
მწვრთნელი: ხოაკინ კაპაროსი
გაფრთხილება: ხუანმა, რიჩი, კუადრადო, ტორადო, ესნაიდერი, დანიელ ალვესი, რედონდო, ტორადო
გაძევება: ესნაიდერი (5), ტორადო (80)
მსაჯი: ლიზონდო კორტესი
12 000 მაყურებელი

**ვალიადოლიდი 0:2 სელტა**

0:1 მოსტოვოი (46), 0:2 ხესული (87)
ვალიადოლიდი: ბიზარი, ტორეს გომესი, პენია, ჟულიო სეზარი, ხონათანი, მორე (კარდეტი 55), რიკეტი (ოსკარ სანჩესი 75), ხესუსი, საპატა (დ. ჩირიჩი 70), ოსკარი, ლოსადა
მწვრთნელი: ფერნანდო ვასკესი
სელტა: კავალიერო, ველასკო, სერხიო, ბერიზო, მენდესი (ისრაელი 30), ანხელი (ხესული 60), ლუქსენი, ჯოვანელა, მოსტოვოი, ილიჩი, მილოშევიჩი
მწვრთნელი: რადომირ ანტიჩი
გაფრთხილება: ხესუსი, ჟულიო სეზარი, პენია, ილიჩი, ჯოვანელა
მსაჯი: მეხუტო გონსალესი
12 500 მაყურებელი

**მალიორკა 0:0 ალბასეტე**

მალიორკა: ლეო ფრანკო, კორტესი, რამისი, ნადალი, პოლი, კამპანო (ფინიდი 64), პერეირა, კოლსა (კორეა 79), ნენე, ეტოო, დელიბაშიჩი (პერერა 67)
მწვრთნელი: ლუის არაგონესი
ალბასეტე: ალმუნია, ოსკარი, პაბლო, ბუადესი, პენია, პარი, ვიაუდი, ალვარო (დავიდ სანჩესი 65), კ. მუნტიანუ (დელპორტი 65), პაჩეკო (ა. რედონდო 77), არანდა
მწვრთნელი: სეზარ ფერანდო
გაფრთხილება: კამპანო, ეტოო, პერეირა, პარი, მუნტიანუ, პაბლო, დელპორტი
მსაჯი: ტეიშეირა ვიტიენესი
18 000 მაყურებელი

**ბეტისი 2:1 სარაგოსა**

0:1 ჩანი (2), 1:1 დენილსონი (33), 2:1 ალფონსო (38)
ბეტისი: პრატსი, ვარელა, ხუანიტო, ლემბო, მინგო, ხოაკინი (ისმაელი 67), იტო (არზუ 34), ბენხამინი, დენილსონი, ფერნანდო (კაპი 83), ალფონსო
მწვრთნელი: ვიქტორ ფერნანდესი
სარაგოსა: ლაინესი, რებოსიო, ალვარო, მილიტო, ტოლედო (დავიდ პირი 65), გალეტი (კუარტერო 66), პონციო, მოვილია, ჩანი, ვილა, დანი (იორდი 59)
მწვრთნელი: ვიქტორ მუნიოსი
გაფრთხილება: იტო, ლემბო, ალვარო, რებოსიო, ჩანი
მსაჯი: იტურალდე გონსალესი
35 000 მაყურებელი

**ვილიარეალი 6:3 რასინგი**

1:0 ბელეტი (3), 2:0 რიკელმე (32პ), 2:1 ბენაიუნი (34), 3:1 ბელეტი (36), 3:2 ალვარესი (56პ), 4:2 ხოსე მარი (68), 5:2 ანდერსონი (72), 5:3 ბენაიუნი (84), 6:3 ხუანმა (90)
ვილიარეალი: რეინა, მარტი, ბალესტეროსი, კიკე ალვარესი, არუაბარენა, ბელეტი, ხოსიკო (ვიქტორ ფერნანდესი 78), რიკელმე, გიარე (კოლოჩინი 90), ხოსე მარი (ხავი ვენტა 84), ს. ანდერსონი
მწვრთნელი: ბენიტო ფლორო
რასინგი: რიკარდო, კ. ალვარესი, პაბლო კასარი, ხუანმა, აიოზე, მორანი (დ. ანდერსონი 75), აფეკი (ხონათანი 70), მატაბუენა (პაბლო ლაგო 87), ბენაიუნი, ხავი გერერო, ბოდიპო
მწვრთნელი: ლუკას ალკარასი
გაფრთხილება: მარტი, არუაბარენა, მორანი
მსაჯი: უნდიანო მალენკო
18 000 მაყურებელი

**მალაგა 5:2 ესპანიოლი**

1:0 მიგელ ანხელი (36), 2:0 მანუ (39), 2:1 ლოპო (45), 3:1 ხუანიტო (45), 4:1 სალვა (61), 4:2 ტამუდო (76), 5:2 ინსუა (83)
მალაგა: არნაუ, ხოსემი, ხუანიტო, ფ. სანსი, ვალკარსე, მანუ (ალექსი 82), მიგელ ანხელი, ლეკო, დუდა (ლუკე 71), სალვა, ედგარი (ინსუა 77)
მწვრთნელი: ხაუნდე რამოსი
ესპანიოლი: ლემენსი, პოჩეტინიო, დომორო, ლოპო, დავიდ გარსია (ვინალი 66), მაქსი, მ. ჰაჯი (რადუჩანუ 55), კრუიფი (ტაიფუნი 62), ფრედსონი, დე ლა პენია, ტამუდო
მწვრთნელი: ლუის ფერნანდესი
გაფრთხილება: სანსი, ხუანიტო, მანუ, ლოპო, დომორო
მსაჯი: ესკინას ტორესი
23 000 მაყურებელი

**რეალი — ვალენსია**

*წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მე-2 გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა*

მადრიდის „ატლეტიკოს" დამარცხებით „ბარსელონამ" შვება იგრძნო. უეჭველია, რომ კატალონიელები ჩემპიონობაზე ვერ იოცნებებენ, მაგრამ ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრა, რაც ერთ ხანს ფრიად საეჭვოდ ჩანდა, ახლა იოლ ამოცანად უნდა ჩავთვალოთ.

„ბარსამ" მოგება დაიწყო. ბოლო ხუთი თამაშიდან ოთხში გაიმარჯვა. რონალდინიოს გამოჯანმრთელებამ და ედგარ დავიდსის გადაბირებამ გუნდს ხელი აშკარად დაატყო. თუმცა „ატლეტიკოსთან" შეხვედრაში დავიდსი გააძევეს, ვისი არყოფნაც მომდევნო თამაშში „ბარსას" ვინძლო ძიდად დაეტყოს.

შაბათს კი ბასკურ დერბიში ბილბაოელებმა „რეალ სოსიედადის" ზეწოლას გაუძლეს და ქულა მოიხვეჭეს. თუმცა მეორე მხრივ, „ბილბაოს" საჩემპიონთალიგო შანსი ფრიად ბუნდოვანი გახდა.

არადა, „სოსიედადმა" თამაში დიდი მონდომებით დაიწყო და თითქოს მოგება არ უნდა გასჭირვებოდა. მეექვსე წუთზე დარკო კოვაჩევიჩმა თავურით ძელს გაარტყა, მომდევნო შეტევისას კი ხაბი ალონსომ ხარიხა შეაზანზარა.

ამის მერე კი ალოგიკური რამ მოხდა — ბილბაოელმა ფრანსისკო იესტემ ანგარიში გახსნა.

საქმის ამგვარად შემობრუნებამ მასპინძლები ერთ ხანს დააბნია, მაგრამ გონს რომ მოეგნენ, იერიშები განაახლეს და პირველი ტაიმის მიწურულს შედეგიც მოიმკეს — ნიჰათმა და ვალერი კარპინმა პასები გაცვალეს, ბოლოს კი თურქმა გაიტანა.

შესვენების მერე უფრო აქტიური „ბილბაო" ჩანდა, მაგრამ სტუმართა აქტიურობამ სულ რაღაც შვიდ წუთს გასტანა, ანუ კარლოს გურპეგის გაძევებამდე. გურპეგიმ ორი გაფრთხილებით დატოვა მოედანი.

კაცნაკლულ „ბილბაოს" შეტევებისთვის ნაკლებად ეცალა და უფრო საკუთარი კარის უსაფრთხოებაზე ზრუნავდა, რის გამოც სანსებასტიანელთა წნეხის ქვეშ მოექცა. მაგრამ ბოლო ბილბაოელთათვის კეთილი აღმოჩნდა.

შაბათსვე „სევილიამ" მურსიაში მოიგო.

უცნაური თამაში გამოდგა — ოთხიდან სამი გოლი პენალტით გავიდა, ამასთანავე, მესამე წამატებული წუთისთვის ორი გოლი კიდევ გასატანი იყო.

მატჩის გმირი სევილიელი ხულიო ბაპტისტა [illegible] სამი გოლის გატანის წყალობით, ერთი რამ კი უცნობი დარჩა — რისთვის გააძევეს მეხუთე წუთზე მურსიელი ხუან ედუარდო ესნაიდერი. ოფიციალური ვერსია გვაუწყებს, რომ ბაპტისტამ მეოთხე წუთზე პენალტი რომ გაიტანა, ესნაიდერი არბიტრთან მიიჭრა და რაღაც ისეთი უთხრა, რისთვისაც მსაჯმა ის უყოყმანოდ გასახდელში გაისტუმრა. ჩვენ კი ვხვდებით დაახლოებით რასაც ეტყოდა, მაგრამ ზუსტი ციტატის ოქმში ჩაწერა მსაჯსაც მოერიდა.

საჩემპიონო ბრძოლას არა და არ სცილდება „დეპორტივო". ლაკორუნიელებმა ერთ ხანს ყინჩად მყოფი, ახლა კი ქვევით დაშვებული „ოსასუნა" დაამარცხეს ვიქტორის პირველ ტაიმში გატანილი დუბლით და რაკი ამ ტურში „რეალი" და „ვალენსია" ერთმანეთში არკვევდნენ ურთიერთობას, „დეპორტივო" ცხადია, ორმაგად კმაყოფილი დარჩა.

ეს ტური გოლთაცვენის ტურადაც შეგვიძლია მოვიხსენიოთ. „მალაგამ" ზედიზედ მეექვსე წაუგებელ შეხვედრაში თავი გაიგიჟა და საცოდავ „ესპანიოლს" 5:2 მოუგო. „ვილიარეალისგან" „რასინგის" 6:3 ძლევა კი მასპინძელი კლუბის ისტორიაში ჩაიწერება — „ვილიარეალისთვის" ეს დაარსებიდან ყველაზე უხვგოლიანი მატჩი იყო.

**კოტე ძიძელია**




ბარსელონა — ატლეტიკო. მსაჯმა პერეს ბურულმა ყვითლები უხვად არიგა, წითელი კი მხოლოდ ედგარ დავიდსს შეხვდა

| № | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | რეალი | 23 | 16 | 4 | 3 | 45:24 | 21 | 52 | 11 | 11 | 0 | 0 | 28:9 | 19 | 33 | 12 | 5 | 4 | 3 | 17:15 | 2 | 19 |
| 2 | ვალენსია | 23 | 15 | 5 | 3 | 45:16 | 29 | 50 | 12 | 8 | 2 | 2 | 24:11 | 13 | 26 | 11 | 7 | 3 | 1 | 21:5 | 16 | 24 |
| 3 | დეპორტივო | 24 | 15 | 4 | 5 | 41:17 | 24 | 49 | 13 | 10 | 1 | 2 | 25:9 | 16 | 31 | 11 | 5 | 3 | 3 | 16:8 | 8 | 18 |
| 4 | ბარსელონა | 24 | 11 | 7 | 6 | 38:28 | 10 | 40 | 13 | 5 | 5 | 3 | 21:11 | 10 | 20 | 11 | 6 | 2 | 3 | 17:17 | 0 | 20 |
| 5 | ბილბაო | 24 | 10 | 7 | 7 | 31:28 | 3 | 37 | 11 | 8 | 1 | 2 | 17:7 | 10 | 25 | 13 | 2 | 6 | 5 | 14:21 | -7 | 12 |
| 6 | ვილიარეალი | 24 | 10 | 6 | 8 | 35:30 | 5 | 36 | 12 | 6 | 4 | 2 | 22:14 | 8 | 22 | 12 | 4 | 2 | 6 | 13:16 | -3 | 14 |
| 7 | ატლეტიკო | 24 | 10 | 6 | 8 | 31:31 | 0 | 36 | 12 | 8 | 3 | 1 | 20:8 | 12 | 27 | 12 | 2 | 3 | 7 | 11:23 | -12 | 9 |
| 8 | ბეტისი | 24 | 9 | 8 | 7 | 32:26 | 6 | 35 | 13 | 4 | 6 | 3 | 16:14 | 2 | 18 | 11 | 5 | 2 | 4 | 16:12 | 4 | 17 |
| 9 | ოსასუნა | 24 | 8 | 10 | 6 | 24:21 | 3 | 34 | 12 | 5 | 4 | 3 | 16:13 | 3 | 19 | 12 | 3 | 6 | 3 | 8:8 | 0 | 15 |
| 10 | სევილია | 24 | 8 | 7 | 9 | 34:27 | 7 | 31 | 11 | 6 | 2 | 3 | 18:10 | 8 | 20 | 13 | 2 | 5 | 6 | 16:17 | -1 | 11 |
| 11 | სოსიედადი | 24 | 8 | 7 | 9 | 30:35 | -5 | 31 | 13 | 5 | 5 | 3 | 16:15 | 1 | 20 | 11 | 3 | 2 | 6 | 14:20 | -6 | 11 |
| 12 | რასინგი | 24 | 8 | 6 | 10 | 32:38 | -6 | 30 | 11 | 4 | 1 | 6 | 14:17 | -3 | 13 | 13 | 4 | 5 | 4 | 18:21 | -3 | 17 |
| 13 | მალაგა | 24 | 9 | 2 | 13 | 33:40 | -7 | 29 | 12 | 6 | 2 | 4 | 24:20 | 4 | 20 | 12 | 3 | 0 | 9 | 9:20 | -11 | 9 |
| 14 | ვალიადოლიდი | 24 | 7 | 8 | 9 | 28:35 | -7 | 29 | 12 | 5 | 4 | 3 | 14:12 | 2 | 19 | 12 | 2 | 4 | 6 | 14:23 | -9 | 10 |
| 15 | მალიორკა | 24 | 8 | 4 | 12 | 28:42 | -14 | 28 | 13 | 4 | 4 | 5 | 17:23 | -6 | 16 | 11 | 4 | 0 | 7 | 11:19 | -8 | 12 |
| 16 | სელტა | 24 | 6 | 9 | 9 | 34:41 | -7 | 27 | 11 | 2 | 3 | 6 | 12:25 | -13 | 9 | 13 | 4 | 6 | 3 | 22:16 | 6 | 18 |
| 17 | ალბასეტე | 24 | 6 | 5 | 13 | 23:34 | -11 | 23 | 12 | 5 | 2 | 5 | 16:12 | 4 | 17 | 12 | 1 | 3 | 8 | 7:22 | -15 | 6 |
| 18 | სარაგოსა | 24 | 6 | 5 | 13 | 23:35 | -12 | 23 | 11 | 3 | 4 | 4 | 10:10 | 0 | 13 | 13 | 3 | 1 | 9 | 13:25 | -12 | 10 |
| 19 | ესპანიოლი | 24 | 6 | 2 | 16 | 22:43 | -21 | 20 | 11 | 3 | 1 | 7 | 10:17 | -7 | 10 | 13 | 3 | 1 | 9 | 12:26 | -14 | 10 |
| 20 | მურსია | 24 | 2 | 10 | 12 | 22:40 | -18 | 16 | 13 | 2 | 7 | 4 | 15:19 | -4 | 13 | 11 | 0 | 3 | 8 | 7:21 | -14 | 3 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| რონალდო (რეალი) | 19 |
| მისტა (ვალენსია) | 13 |
| სალვა (მალაგა) | 13 |
| ტორესი (ატლეტიკო) | 12 |

**XXV ტური**
22 თებერვალი

ალბასეტე — მურსია
ბილბაო — ბეტისი
ატლეტიკო — დეპორტივო
სელტა — მალაგა
ესპანიოლი — რეალი
რასინგი — ვალიადოლიდი
სევილია — სოსიედადი
ვალენსია — ბარსელონა
სარაგოსა — ვილიარეალი
ოსასუნა — მალიორკა

### სეგუნდადივიზიონი
### XXIV ტური

**უელვა 0:0 ტენერიფე**

**პოლი ეხიდო 1:0 რაიო ვალეკანო**
1:0 პაკო გარსია (33)

**ლას პალმასი 2:1 ნუმანსია**
1:0 ჯაიჩი (30), 1:1 როსუ (47პ), 2:1 ჯაიჩი (69)

**ხეტაფე 2:1 მალაგა B**
0:1 გეიხო (49), 1:1 მიჩელი (63), 2:1 ალბერტო (84)

**კორდობა 1:0 ეიბარი**
1:0 მონტენეგრო (70)

**სალამანკა 1:2 სიუდად მურსია**
1:0 რაულ სანჩესი (21), 1:1 კრისტიან დიასი (29), 1:2 აგილარი (45პ)

**ალხესირასი 0:3 სპორტინგი**
0:1, 0:2 ბილიჩი (9, 45), 0:3 რუბენი (73)

**ლევანტე 1:0 ლეგანესი**
1:0 რივერა (86)

**ტერასა 1:0 კადისი**
1:0 ხუან კარლოსი (51პ)

**ალავესი 2:0 ალმერია**
1:0 რუბენ ნავარო (63), 2:0 კიკო (90)

**ხერესი 2:1 ელჩე**
0:1 ნინიო (21), 1:1 მენა (63), 2:1 კაჩორო (75)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპორტინგი | 24 | 14 | 5 | 5 | 35:17 | 47 |
| ლევანტე | 24 | 12 | 8 | 4 | 26:13 | 44 |
| ხეტაფე | 24 | 9 | 12 | 3 | 27:22 | 39 |
| ალავესი | 24 | 10 | 8 | 6 | 22:18 | 38 |
| ნუმანსია | 24 | 10 | 7 | 7 | 31:19 | 37 |
| ეიბარი | 24 | 9 | 9 | 6 | 23:16 | 36 |
| კადისი | 24 | 10 | 4 | 10 | 28:23 | 34 |
| ტერასა | 24 | 9 | 6 | 9 | 26:27 | 33 |
| სალამანკა | 24 | 7 | 11 | 6 | 29:23 | 32 |
| უელვა | 24 | 6 | 14 | 4 | 24:20 | 32 |
| ელჩე | 24 | 8 | 8 | 8 | 30:35 | 32 |
| კორდობა | 24 | 7 | 10 | 7 | 21:21 | 31 |
| ლას პალმასი | 24 | 6 | 11 | 7 | 32:34 | 29 |
| სიუდად მურსია | 24 | 6 | 11 | 7 | 32:40 | 29 |
| ალმერია | 24 | 6 | 10 | 8 | 25:29 | 28 |
| ხერესი | 24 | 5 | 13 | 6 | 24:29 | 28 |
| ლეგანესი | 24 | 6 | 9 | 9 | 22:29 | 27 |
| პოლი ეხიდო | 24 | 7 | 6 | 11 | 20:29 | 27 |
| რაიო | 24 | 7 | 4 | 13 | 28:38 | 25 |
| ტენერიფე | 24 | 3 | 14 | 7 | 14:21 | 23 |
| მალაგა B | 24 | 5 | 8 | 11 | 25:33 | 23 |
| ალხესირასი | 24 | 3 | 10 | 11 | 22:30 | 19 |

## ინგლისი

**ასოციაციის თასი. 1/8 ფინალი**

**მანჩესტერ იუნ. 4:2 მანჩესტერ სიტი**

1:0 სქოულზი (34), 2:0 ვან ნისტელროი (71), 3:0 რონალდო (73), 3:1 ტარნატი (78), 4:1 ვან ნისტელროი (80), 4:2 ფაულერი (86)

მანჩესტერ იუნ: ჰოვარდი, გ. ნევილი, ოში, მ. სილვესტრი, კ. ფორჩუნი, კ. რონალდო, ფ. ნევილი (ვ. ბრაუნი 90), როი კინი, გიგზი (ბათი 88), სქოულზი, ვან ნისტელროი

მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი

მანჩესტერ სიტი: არასონი, ვან ბუიტენი, რ. დანი, დისტინი, ტარნატი, რაიტ-ფილიპსი, მაკმანამანი, კ. რეინა, ჯ. ბარტონი, სიბიერსკი, ფაულერი

მწვრთნელი: კევინ კიგანი

გაფრთხილება: გ. ნევილი, ტარნატი, გ. ნევილი, ბარტონი

გაძევება: გ. ნევილი (39)

მსაჯი: უინტერი

67 228 მაყურებელი

**ფულემი 0:0 ვესტ ჰემი**

*გადათამაშება 24 თებერვალს*

**მილუოლი 1:0 ბარნლი**

1:0 დიჩიო (70)

გაძევება: ველერი (73, „ბარნლი")

**სანდერლენდი 1:1 ბირმინგემი**

0:1 ფორსელი (28), 1:1 კილი (39)

გაძევება: ა. სისე (90, „ბირმინგემი")

*გადათამაშება 25 თებერვალს*

**ტრანმერი 2:1 სუონსი**

0:1 ე. რობინსონი (16), 1:1 რ. ტეილორი (24პ), 2:1 ჰამი (59)

გაძევება: ტეიტი (83, „სუონსი")

**არსენალი 2:1 ჩელსი**

0:1 მუტუ (40), 1:1, 2:1 რეიესი (56, 61)

არსენალი: ი. ლემანი, ლორენი, ს. კემპბელი, კ. ტურე, ეშლი კოული, პარლოუ (ედუ 51), ვიეირა, ჟილბერტო სილვა, პირესი, ბერხკამპი, რეიესი (კლიჩი 82)

მწვრთნელი: არსენ ვენგერი

ჩელსი: კუდიჩინი (სალივანი 60), მელხიოტი, გალასი, ტერი, ბრიჯი, პარკერი, მაკელელე, ლამპარდი, გრონკიაერი (ჯ. კოული 69), ჰასელბაინკი, მუტუ (გუდიონსენი 64)

მწვრთნელი: კლაუდიო რანიერი

გაფრთხილება: კემპბელი, ვიეირა, ჟილბერტო სილვა, მელხიოტი, მაკელელე, ჰასელბაინკი, მუტუ

მსაჯი: დარკინი

38 136 მაყურებელი

**ლივერპული 1:1 პორტსმუთი**

1:0 ოუენი (2), 1:1 ტეილორი (77)

ლივერპული: დუდეკი, ფინანი, ჰიიპია, ანშო, კარაგერი, შეირუ (სინამა-პონგოლე 82), ჯერარდი, ჰამანი, კიუელი (ლე ტალეკი 84), ოუენი, ჰესკი

მწვრთნელი: ჟერარ ულიე

პორტსმუთი: ჰისლოპი, პრიმუსი, პასანენი, დე ზეუვი, სტეფანოვიჩი, სმერტინი, ფეიე, ბერკოვიჩი (მეთიუ ტეილორი 70), ქვოში, იაკუბუ, მორნარი (ოლშარი 56)

მწვრთნელი: ჰარი რედნაპი

გაფრთხილება: პასანენი, სმერტინი, სინამა-პონგოლე

მსაჯი: ჰალსი

34 666 მაყურებელი

*გადათამაშება 22 თებერვალს*

**შეფილდ იუნ. 1:0 კოლჩესტერი**

1:0 პეშისოლიდო (61)

# ახალი თოფი კარგად ისვრის

## ვენგერმა აბრამოვიჩს რეიესი დაუმიზნა





ხოსე ანტონიო რეიესმა რომან და ირინა აბრამოვიჩებს ხასიათი წაუხდინა

„არსენალიც" და „მანჩესტერ იუნაიტედიც" გავიდნენ ასოციაციის თასის მეოთხედფინალში, „ჩელსი" კი გარეთ დარჩა. „მეთოფეთა" და აბრამოვიჩის ბიჭების თამაშში თავისი პირველი ინგლისური გოლები გაიტანა ხოსე ანტონიო რეიესმა და ამ გოლებმა „არსენალს" გაამარჯვებინა. „ჩელსი" ადრიდანვე იგებდა ადრიან მუტუს დარტყმით: მეკარე ლემანმა ცუდად შეიყვანა ბურთი თამაშში. „ჩელსის" გვარიანად ეჭირა თამაში — იყო სიმშვიდის გრძელი პერიოდები პირველ ტაიმში, თუმც მეხი უცებ გავარდა და რეიესმა ოთხწუთიან მონაკვეთში ორჯერ შეაგდო: ჯერ კარლო კუდიჩინის გაუტანა, მერე კი მის შემცვლელ ნილ სალივანს, რომელიც იტალიელის დაშავების შემდეგ ერთი წუთის შესული იყო მინდორზე. ამ უიღბლობამ დარჩენილი დროსაც გასტანა. რეიესის ორივე გოლი საუცხოო იყო, პირველში დარტყმა გამოვიდა ბრწყინვალე, მეორეში პატრიკ ვიეირას პასი. ჰო, „არსენალს" არ ჰყავდა ტრავმირებული ტიერი ანრი, „მეთოფენი" კი რჩებიან თასის ფავორიტებად: ბოლო ორჯერ იგი სწორედ მათ ასწიეს.

მაგარი თამაში გახურდა მანჩესტერში, სადაც „იუნაიტედი" და „სიტი" შეხვდნენ ერთმანეთს მორიგ დერბიში. „იუნაიტედმა" თამაშის უმეტესი დრო ათი კაცით ირბინა და მაინც მოიგო 4:2. „პირველი ტაიმი ფანტასტიკურად ვითამაშეთ, მაგრამ გაძევებამ თამაშის ხასიათი შეცვალა" — თქვა ალექს ფერგიუსონმა მატჩის შემდეგ.

პირველ ნახევარში გოლი ერთი გავიდა: პოლ სქოულზმა მახვილი კუთხიდან შეაგდო. მალევე „იუნაიტედი" ათი კაცით დარჩა — გარი ნევილმა თავი ჩაჰკრა საჯარიმოში ტყუილად წაქცეულ სტივ მაკმანამანს, შე მატყუარაო. „გარისგან გამიკვირდა" — განმარტა მერე ფერგიუსონმა.

„სიტი", რომელმაც ზღაპრულ თამაშში სძლია „ტოტენჰემს" და ისე გავიდა მერვედფინალში, ამ გაძევებამ გამოაცოცხლა და ტიმ ჰოვარდმაც ბრწყინვალედ აული იმავ მაკმანამანს და ჯოი ბარტანს. თამაშის მთავარი ამბები კი ბოლო 20 წუთში დატრიალდა: 71-ე წუთზე შორეულ ძელთან ჩასაფრებულმა რუუდ ვან ნისტელროიმ რონალდოს ჩაწოდებული ჩასვა კარში, ორიოდ წუთის შემდეგ კი იმავ რონალდომ მიუსწრო გადმოვარდნილ ბურთს, რომელიც მეკარემ მოუგერია რაიან გიგზს და ანგარიში სამამდე აიყვანა. „სიტი" მაინც არ გაჩერებულა და მიხაელ ტარნატმა ერთი ბურთი გაქვითა ძალმოსილი დარტყმით, რასაც ვან ნისტელროის კიდევ ერთი მოჰყვა. შეხვედრის ბოლო გოლი რობი ფაულერმა შეაგდო საჯარიმო დარტყმით. „სიტი" კი გავარდა და ახლა მხოლოდ პრემიერლიგაში დასარჩენად იბრძოლებს. ხოლო „იუნაიტედი", რომელიც 5 ქულით მოსწყდა პრემიერლიგის ლიდერს, 1999 წლის შემდეგ პირველადაა თასის მეოთხედფინალში.

ამ დროს კი პირველი დივიზიონის ორმა ბინადარმა გადათამაშებებს მიაღწია პრემიერლიგელებთან ჭიდილში. „ფულემი" — „ვესტ ჰემი" უგოლოდ დასრულდა, რაშიც ედვინ ვან დერ სარის გვარიანი დამსახურებაა. „ბირმინგემი" კი დაწინაურდა სანდერლენდში მიკაელ ფორსელის გოლით, მაგრამ კევინ კილმა გაათანაბრა. გადათამაშება მოუწევს ჟერარ ულიეს „ლივერპულსაც", რომელიც „პორტსმუთთან" მაიკლ ოუენის გოლით დაწინაურდა, მაგრამ მაინც ვერ შესძლო გამარჯვების შენარჩუნება — მატჩის დამთავრებამდე 13 წუთით ადრე მეთიუ ტეილორმა გადათამაშება ინება.

მეოთხედფინალში არიან პირველი დივიზიონის „მილუოლი", რომელმაც თანამელიგე „ბარნლის" სძლია დანიელე დიჩიოს გოლით და მეორე დივიზიონის „ტრანმერი", რომელმაც მესამე დივიზიონის „სუონსი" სძლია.

**ირაკლი გამყრელიძე**



მანჩესტერ იუნაიტედი — მანჩესტერ სიტი. რუუდ ვან ნისტელროომ სტუმართა კარი ორჯერ დაბომბა

**I დივიზიონი. XXXI ტური**

**ქოვენთრი 0:2 ნორვიჩი**

0:1 ჰოლტი (88), 0:2 ბრენანი (85)

**კრისტალ პალასი 6:3 სტოკი**

1:0 ჯონსონი (5), 1:1 რუსტიჩი (26), 2:1, 3:1 ჯონსონი (9, 33), 4:1 მიუზი (45), 4:2 კლარკი (45), 5:2 შიპერლი (55), 5:3 ასაბა (83პ), 6:3 რუტლეჯი (90)

**იფსვიჩი 3:1 ბრედფორდი**

1:0 კუქი (28), 1:1 უინდასი (45), 2:1 ვესტლაიკი (45), 3:1 დ. ბენტი (52)

**ნოტინგემი 3:3 უოლსოლი**

1:0 იმპი (3), 1:1 ლეიტაუ (5), 1:2 ლოურენსი (24), 1:3 უოლესი (39), 2:3 კინგი (56), 3:3 ტეილორი (90)

**უოტფორდი 2:0 პრესტონი**

1:0 ბუაზა (36), 2:0 დევლინი (80)

**ვესტ ბრომვიჩი 2:1 კარდიფი**

1:0 კლემენტი (55), 1:1 ლი (80), 2:1 ჰიუზი (85)

**უიგანი 2:0 დერბი ქაუნთი**

1:0 ელინგტონი (45), 2:0 მაკკალოხი (78)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნორვიჩი | 31 | 18 | 8 | 5 | 49:26 | 62 |
| ვესტ ბრომვიჩი | 31 | 16 | 9 | 6 | 44:28 | 57 |
| უიგანი | 31 | 14 | 11 | 6 | 44:31 | 53 |
| იფსვიჩი | 31 | 14 | 8 | 9 | 58:48 | 50 |
| შეფილდი | 30 | 14 | 7 | 9 | 45:36 | 49 |
| ვესტ ჰემი | 30 | 12 | 12 | 6 | 43:30 | 48 |
| სანდერლენდი | 29 | 13 | 9 | 7 | 38:26 | 48 |
| კრ. პალასი | 32 | 13 | 8 | 11 | 51:46 | 47 |
| პრესტონი | 30 | 13 | 7 | 10 | 46:37 | 46 |
| რედინგი | 30 | 13 | 6 | 11 | 36:40 | 45 |
| მილუოლი | 30 | 11 | 11 | 8 | 34:29 | 44 |
| კარდიფი | 31 | 11 | 10 | 10 | 49:41 | 43 |
| სტოკი | 31 | 12 | 7 | 12 | 43:44 | 43 |
| ქოვენთრი | 31 | 9 | 13 | 9 | 38:36 | 40 |
| ქრიუ | 30 | 11 | 7 | 12 | 39:41 | 40 |
| როტერჰემი | 30 | 9 | 10 | 11 | 36:42 | 37 |
| უოლსოლი | 31 | 9 | 10 | 12 | 35:42 | 37 |
| ჯილინგემი | 29 | 10 | 6 | 13 | 33:43 | 36 |
| ბარნლი | 30 | 8 | 10 | 12 | 39:48 | 34 |
| უოტფორდი | 31 | 8 | 10 | 13 | 34:44 | 34 |
| დერბი | 31 | 7 | 10 | 14 | 33:51 | 31 |
| ნოტინგემი | 30 | 7 | 9 | 14 | 37:41 | 30 |
| ბრედფორდი | 32 | 6 | 5 | 21 | 24:48 | 23 |
| უიმბლდონი | 30 | 5 | 3 | 22 | 28:58 | 18 |

**II დივიზიონი. XXXI ტური**

ბორნმუთი — ნოტსი 1:0; ბრენტფორდი — ქუინზ პარკი 1:1; ჩესტერფილდი — რაშდენი 2:0; გრიმსბი — ბრაიტონი 2:1; პიტერბრო — ბრისტოლი 0:1; პორტ ვეილი — ოლდემი 1:0; შეფილდ უენსდი — ჰარტლპული 1:0; სტოკპორტი — სუინდონი 2:4; რექსემი — ბარნსლი 1:0; უიკომბი — ლუტონი 0:0

**III დივიზიონი. XXXI ტური**

როვერსი — დარლინგტონი 0:3; ბერი — კემბრიჯი 1:0; კარლაილი — ჰალი 1:1; ჩელტენემი — ბოსტონი 1:0; დონკასტერი — მაკლსფილდი 1:0; ლინკოლნი — სკანთორპი 1:1; ნორთჰემპტონი — როჩდეილი 3:1; საუთენდი — კიდერმინსტერი 3:0; ტორკი — ჰადერსფილდი 0:1; იოვილი — ოქსფორდი 1:0; იორკი — მენსფილდი 1:2

**კონფერენსლიგა. XXXI ტური**

ფარნბორო — მორეკემბი 2:4; გრეივსენდი — ჰერეფორდი 2:5; ლეიფი — სტივენეიჯი 1:3; ნორსვიჩი — მარგეიტი 0:3; უოქინგი — აკრინგტონი 2:2. ჰალიფაქსი — ფორესტ გრინი გადაიდო

## თურქეთი

**სუპერლიგა. XXI ტური**

ადანა — ელაზიგი 1:2; სამსუნი — მალათია 1:0; ბურსა — ანკარაგიუჯიუ 1:0; ბეშიქთაში — დენიზლი 3:1; სებათი — ტრაბზონი 0:0; ქონია — გაზიანთეფი 0:3; გენჩლერი — გალათასარაი 2:2; ფენერბაჰჩე — დიარბაქირი 2:2. რიზე — ისთანბული *დღეს გაიმართება*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბეშიქთაში | 20 | 15 | 5 | 0 | 47:17 | 50 |
| ფენერბაჰჩე | 21 | 13 | 6 | 2 | 47:25 | 45 |
| დენიზლი | 21 | 11 | 3 | 7 | 36:26 | 36 |
| გალათასარაი | 21 | 9 | 8 | 4 | 32:25 | 35 |
| გაზიანთეფი | 21 | 11 | 2 | 8 | 31:27 | 35 |
| ტრაბზონი | 21 | 10 | 5 | 6 | 29:27 | 35 |
| მალათია | 21 | 8 | 7 | 6 | 31:23 | 31 |
| დიარბაქირი | 21 | 8 | 7 | 6 | 32:28 | 31 |
| სამსუნი | 20 | 8 | 5 | 7 | 29:31 | 29 |
| გენჩლერი | 21 | 8 | 4 | 9 | 37:29 | 28 |
| კონია | 21 | 5 | 10 | 6 | 29:33 | 25 |
| ანკარაგიუჯიუ | 21 | 6 | 5 | 10 | 29:36 | 23 |
| ისთანბული | 20 | 6 | 4 | 10 | 29:30 | 22 |
| სებათი | 21 | 5 | 7 | 9 | 25:32 | 22 |
| რიზე | 20 | 6 | 3 | 11 | 19:33 | 21 |
| ბურსა | 21 | 3 | 8 | 10 | 17:26 | 17 |
| ელაზიგსფორი | 21 | 3 | 6 | 12 | 22:47 | 15 |
| ადანა | 21 | 3 | 3 | 15 | 18:44 | 12 |

## საფრანგეთი

### I დივიზიონი. XXIV ტური

**სოშო 1:1 ბორდო**

0:1 ფრანსია (86), 1:1 ორუმა (90)

**ლე მანი 0:0 მარსელი**

**გენგამი 1:0 ბასტია**

1:0 შერენი (16)

**მონაკო 0:1 ლილი**

0:1 მასილუ (79)

**მონპელიე 0:1 მეცი**

0:1 ლეცა (5)

**ნანტი 3:1 ნიცა**

1:0 გ. პუიოლი (6), 2:0 მოლდოვანი (32), 2:1 მესლინი (37), 3:1 მოლდოვანი (81პ)

**ტულუზი 0:1 პსჟ**

0:1 ლიუბოია (28)

**ლანსი 2:1 რენი**

1:0 ტომერი (21), 1:1 პიკიონი (81), 2:1 კორიდონი (85)

**აიაჩო 0:0 სტრასბური**

**ოსერი — ლიონი**

*წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მე-2 გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არა*

# ლიდერს ლუდოვიკის სტილი აკლდა

„მონაკოს“ ცუდი ამბავი შეემთხვა — მოგეხსენებათ, საფრანგეთის ჩემპიონატის ლიდერია და ამ დროს შინ დამარცხდა. ეს ამბავი შაბათს, „ლილთან“ შეხვედრაში მოხდა, სტუმრებმა 1:0 მოიგეს.

მატჩის ერთადერთი გოლი 79-ე წუთზე მატ მუსილუმ იტალიელი მეკარის, ფლავიო რომას შეცდომის წყალობით გაიტანა. არადა, „მონაკო“ მეტოქეზე უკეთ თამაშობდა, თუმცა ნაპერწკალი მაინც აკლდა, რაც, ალბათ, დაშავებული გამთამაშებლის, ლუდოვიკ ჟიულის არყოფნის ბრალი იყო.

და, თითქოს, ჟიულის ნაკლებობა არ ეყოფოდაო, თამაში რომ დაიწყო, მცველ სებასტიან სკილაჩისაც მალე მოუწია მოედნის დატოვებამ.

„პარი სენ ჟერმენმა“ სუსტ „ტულუზს“ 1:0 მოუგო. ეს გოლი პირველ ტაიმში, 28-ე წუთზე, სერბმა დანიელ ლიუბოიამ გაიტანა. ეს ფეხბურთელი პარიზის გუნდმა ამ ზამთარს „სტრასბურიდან“ გადაიყვანა. ასე და ამგვარად, „პარი სენ ჟერმენი“ მეთორმეტე მატჩში დაუმარცხებელი დარჩა და „მონაკოს“ ხუთი ქულით ჩამორჩება.

„სოშომ“ „ბორდოსთან“ ითამაშა ფრე, ხოლო „მარსელმა“ „ლე მანთან“, რაც იმას ნიშნავს, რომ როგორც ერთმა, ასევე მეორემ საჩემპიონოდ პოზიციები დათმეს. აღსანიშნავია, რომ „ლე მანი“ ამ დღეს ახალი მწვრთნელის, შვეიცარიელი დანიელ ჟეანდუპოს ხელმძღვანელობით თამაშობდა. თუ გახსოვთ, ორშაბათს ამ გუნდს ძველი ხელმძღვანელი, ტიერი გუდე წაუვიდა, რადგან კლუბის ხელმძღვანელობას მასთან ცუდი შედეგების გამო ჰქონდა პრეტენზია.

ახალი მწვრთნელი ჰყავს კიდევ ერთ აუტსაიდერს, „მონპელიეს“. ეს გუნდი სპილოს ძვლის ნაპირის ნაკრების ყოფილმა მწვრთნელმა, რობერ ნუზარემ ჩაიბარა, მაგრამ ზემოხსენებული შვეიცარიელისგან განსხვავებით, უკეთეს გუნდთან ფრედ ვერ ითამაშა და შინ „მეცთან“ 0:1 წააგო. „მონპელიემ“ ბოლო 10 თამაშში მხოლოდ ერთი ქულა მოიპოვა.

**პაპუნა ქედია**



მონაკო — ლილი. სათავადოს გუნდს ვერც ფერნანდო მორიენტესის ყოჩაღობამ უშველა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მონაკო | 24 | 15 | 6 | 3 | 39:17 | 51 |
| პსჟ | 24 | 13 | 7 | 4 | 34:18 | 46 |
| ოსერი | 23 | 14 | 2 | 7 | 41:18 | 44 |
| ლიონი | 23 | 13 | 5 | 5 | 39:18 | 44 |
| სოშო | 24 | 12 | 6 | 6 | 35:27 | 42 |
| მარსელი | 24 | 13 | 2 | 9 | 32:25 | 41 |
| ნანტი | 24 | 11 | 4 | 9 | 27:21 | 37 |
| ბორდო | 24 | 10 | 6 | 8 | 25:26 | 36 |
| ნიცა | 24 | 8 | 11 | 5 | 25:21 | 35 |
| ლანსი | 24 | 11 | 2 | 11 | 22:37 | 35 |
| ლილი | 24 | 8 | 7 | 9 | 25:26 | 31 |
| სტრასბური | 24 | 8 | 6 | 10 | 36:34 | 30 |
| რენი | 24 | 7 | 8 | 9 | 27:25 | 29 |
| ბასტია | 23 | 6 | 7 | 10 | 24:33 | 25 |
| მეცი | 24 | 6 | 6 | 12 | 17:25 | 24 |
| აიაჩო | 24 | 6 | 6 | 12 | 21:33 | 24 |
| გენგამი | 24 | 7 | 3 | 14 | 21:36 | 24 |
| მონპელიე | 24 | 6 | 4 | 14 | 29:45 | 22 |
| ლე მანი | 24 | 4 | 8 | 12 | 18:36 | 20 |
| ტულუზი | 23 | 4 | 6 | 13 | 16:32 | 18 |

### II დივიზიონი. XXIV ტური

ნანსი — ვალანსი 1:1; ანჟერი — კაენი 0:1; შატორუ — ბეზანსონი 0:0; გენიონი — გრენობლი 0:2; ისტრი — ტრუა 0:0; ლავალი — კლერმონი 2:3; ლორიანი — კრეტეი 0:3; ნიორი — რუანი 2:1; სენტ ეტიენი — სედანი 0:2; ლე ავრი — ამიენი 0:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ისტრი | 24 | 14 | 5 | 5 | 28:11 | 47 |
| ამიენი | 24 | 12 | 6 | 6 | 26:17 | 42 |
| სენტ ეტიენი | 24 | 13 | 3 | 8 | 25:21 | 42 |
| ნიორი | 24 | 11 | 8 | 5 | 34:23 | 41 |
| კაენი | 24 | 11 | 8 | 5 | 32:21 | 41 |
| ლორიანი | 24 | 11 | 5 | 8 | 38:26 | 38 |
| სედანი | 24 | 9 | 10 | 5 | 19:16 | 37 |
| ლე ავრი | 24 | 10 | 6 | 8 | 27:24 | 36 |
| ტრუა | 24 | 8 | 9 | 7 | 24:25 | 33 |
| ნანსი | 24 | 7 | 11 | 6 | 26:22 | 32 |
| შატორუ | 24 | 8 | 8 | 8 | 27:31 | 32 |
| კრეტეი | 24 | 7 | 10 | 7 | 30:26 | 31 |
| კლერმონი | 24 | 7 | 9 | 8 | 28:38 | 30 |
| გრენობლი | 24 | 6 | 9 | 9 | 21:23 | 27 |
| ვალანსი | 24 | 6 | 9 | 9 | 26:31 | 27 |
| ლავალი | 24 | 5 | 9 | 10 | 31:37 | 24 |
| ბეზანსონი | 24 | 4 | 9 | 11 | 19:30 | 21 |
| გენიონი | 24 | 4 | 9 | 11 | 21:33 | 21 |
| ანჟერი | 24 | 4 | 8 | 12 | 19:30 | 20 |
| რუანი | 24 | 3 | 9 | 12 | 18:34 | 18 |

### თასის 1/4 ფინალის წილისყრა

მონაკო — შატორუ; ბრივი — პსჟ; ნანტი — რენი; ამიენი — დიჟონი

## შოტლანდია

### პრემიერლიგა. XXIV ტური

**აბერდინი 1:1 რეინჯერსი**

1:0 დაიმონდი (2), 1:1 ფ. დე ბური (87)

**რეინჯერსი:** შ. კლოსი, მორის როსი, კ. მური, ფ. დე ბური, ბოლი (ვანოლი 46), რიკსენი, ემერსონი, რ. დე ბური (მოლსი 75), ნერლინგერი (ნამუში 26), ნუნუ კაპუშუ, არველაძე

***ზურაბ ხიზანიშვილი** ტრავმირებულია*

მწვრთნელი: ალექს მაკლიში

მსაჯი: იანგი

15 815 მაყურებელი

**სელტიკი 2:1 დანდი იუნ.**

0:1 არჩიბალდი (61), 1:1 მელოუნი (81), 2:1 სატონი (83პ)

**დანდი 0:1 დანფერმლაინი**

0:1 ჰანტი (32)

**კილმარნოკი 2:1 პარტიკი**

0:1 ბონსი (52), 1:1 ს. ლილეი (55), 2:1 ბოიდი (58)

**ლივინგსტონი 3:1 მოზერუელი**

1:0 მაკალისტერი (3), 2:0 ა. ლილეი (29), 3:0 დ. ფერნანდესი (45), 3:1 ადამსი (90)

**ჰიბერნიანი 1:1 ჰართსი**

1:0 რიორდანი (24), 1:1 პრესლი (47პ)

# სელტიკმა ხასიათს მოუგო

„დანდი იუნაიტედის“ დამარცხება „სელტიკმა“ ორი გვიანი გოლის წყალობით შეძლო და ზედიზედ მოგებული თამაშების რაოდენობით ბრიტანეთის რეკორდი გაიმეორა. რეკორდი, რომელიც ვახსენეთ, 40 წლის წინანდელია (1963-64 წლების სეზონშია დამყარებული), იგი შოტლანდიის მეორე დივიზიონის გუნდს, „მორტონს“ ეკუთვნის და 23-ის ტოლია. რაც შეეხება შინ არ დამარცხებას, „სელტიკი“ აქაც ყოჩაღობს — 70 შეხვედრაა მხოლოდ იგებს ან ფრედ თამაშობს.

„ჩინებულ გამარჯვებას მივაღწიეთ და ძალიან ბედნიერი ვარ — განაცხადა მატჩის შემდეგ „სელტიკის“ მწვრთნელმა მარტინ ონილმა — ჩვენ ვალდებულნი ვიყავით, „დანდი იუნაიტედის“ ძლევა გვეცადა და მგონი, კარგი შთაბეჭდილება მოვახდინეთ. ვერასოდეს იტყვი, რომ „დანდი იუნაიტედს“ მოუგებ. ეს ამ გუნდის ცუდი თამაშის დროსაც არ გაქვს გარანტირებული, რადგან მას სხვა ხასიათი, სხვა სულისკვეთება აქვს“.



სელტიკი — დანდი იუნაიტედი. მატჩმა ისე ჩაიარა, გლაზგოელთა უპირველესი მეგოლე ჰენრიკ ლარსონი (მარცხნივ) თავისიანებს გოლით ვერ შეეწია

ანგარიში 61-ე წუთზე გაიხსნა, გოლი ალან არჩიბალდმა შეაგდო, მაგრამ შეცვლაზე შესულმა შონ მელოუნიმ საფინალო სასტვენამდე ცხრა წუთით ადრე საპასუხო გოლის გატანა მოახერხა. გამარჯვების გოლი მოგვიანებით, პენალტით გავიდა — სტილიან პეტროვი საჯარიმოში სტიუარტ დაფმა წააქცია და თერთმეტმეტრიანი კრის სატონმა შეაგდო.

„იუნაიტედს“ ბოლოს ცუდად იმიტომაც წაუვიდა საქმე, რომ მეორე ყვითლით თავდამსხმელი ბილი დოდსი დაუსაჯეს.

„რეინჯერსმა“ კი „აბერდინთან“ 1:1 ითამაშა და ანგარიშის გვიან გათანაბრება დასჭირდა. თავდაპირველად გოლი „აბერდინმა“ შეაგდო, ეს მეორე წუთზე მოხდა, საგოლედ ალექსანდერ დიამონდმა დაარტყა და თავის გუნდს „რეინჯერსის“ 1998 წლის შემდეგ პირველად დამარცხების იმედი გაუღვივა, მაგრამ თამაშის დამთავრებამდე სამი წუთით ადრე ფრანკ დე ბურის თავურმა „აბერდინის“ იმედი მოსპო.

„რეინჯერსის“ მწვრთნელი ალექს მაკლიში: „ეს ერთი ქულა დიდად კი არაფერში გამოგვადგება, მაგრამ ის კარგი იყო, მეორე ტაიმში თამაში რომ გამოვასწორეთ და ანგარიში გავათანაბრეთ. პირველ ტაიმში „აბერდინი“ გვჯობდა და შესვენებამდე ვერაფერი გავაწყეთ, სრული უსუსურები ვიყავით, რაც შოკი გახლდათ. გუნდი თავიდანვე კარგად სათამაშოდ უნდა იყოს მზად“.

**პაპუნა ქედია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სელტიკი | 24 | 23 | 1 | 0 | 77:11 | 70 |
| რეინჯერსი | 24 | 18 | 3 | 3 | 49:19 | 57 |
| ჰართსი | 23 | 12 | 4 | 7 | 32:25 | 40 |
| დანფერმლაინი | 24 | 10 | 7 | 7 | 29:33 | 37 |
| ჰიბერნიანი | 24 | 7 | 7 | 10 | 24:36 | 28 |
| მოზერუელი | 22 | 7 | 6 | 9 | 25:27 | 27 |
| დანდი იუნ. | 24 | 7 | 6 | 11 | 24:38 | 27 |
| ლივინგსტონი | 22 | 6 | 8 | 8 | 24:28 | 26 |
| დანდი | 24 | 6 | 7 | 11 | 29:36 | 25 |
| კილმარნოკი | 24 | 7 | 3 | 14 | 28:52 | 24 |
| აბერდინი | 23 | 5 | 5 | 13 | 27:42 | 20 |
| პარტიკ თისლი | 24 | 3 | 3 | 18 | 26:47 | 12 |

### I დივიზიონი. XXIV ტური

ბრეჩინი — ქუინი 2:1; კლაიდი — როსი 1:0; ინვერნესი — რეითი 3:0; სენტ ჯონსტონი — ეარი 3:0; სენტ მირენი — ფოლკირკი 1:1

### II დივიზიონი. XXIII ტური

ერდრი — დამბარტონი 1:1; არბროთი — ჰამილტონი 0:2; ბერვიკი — ალოა 3:1; მორტონი — ისტ ფაიფი 1:1; სტენჰაუზმური — ფორფარი 0:2

### III დივიზიონი. XXIII ტური

ისტ სტირლინგი — კოუდენბითი 0:1; გრეტნა — ალბიონი 3:0; მონტროუზი — ელგინი 4:3; პიტერჰედი — სტრანრარი 2:0; ქუინზ პარკი — სტირლინგი 1:4

## მალტის ტურნირი 2004

### I ტური

**ბელარუსი 1:2 ესტონეთი**

0:1 მ. როობა (13), 0:2 ლემსალუ (45), 1:2 ტარასენკა (90)

**მალტა 0:0 მოლდოვა**

გაძევება: შიბერაში (90, მალტა)

# აფრიკის ერთვნებათა თასი 2004
## ტუნისი. 24 იანვარი — 14 თებერვალი

# საკონტინენტთაშორისო ლემერი
## ტუნისმა აფრიკა სახლში დაიტოვა



**თითქმის** ორმოცი წელი გავიდა მას მერე, რაც ტუნისის ნაკრები პირველად გავიდა აფრიკის თასის ფინალში. მაშინ ტუნისელები დამარცხდნენ, ისევე როგორც რვა წლის წინ. და მხოლოდ ახლა, ტუნისი პირველად დაეუფლა კონტინენტის ჩემპიონის ტიტულს.

მაროკოელებს გამარჯვების გოლი ზიად ჯაზირიმ გაუტანა, თუმცა ეს გოლი უფრო მაროკოელთა მეკარის, ხალიდ ფუამის „დამსახურება" გახლდათ, ვისაც კლეიტონის დარტყმული არცთუ აუღებელი ბურთი ხელიდან გაუვარდა და ჯაზირის ლანგრით მიართვა, აჰა, გაიტანეო. ასეთ საჩუქარზე კი ვინ ოხერი იტყოდა უარს.

სტადიონზე თავშეყრილ 60 ათას კაცს, რომელთა შორის, ცხადია, აბსოლუტური უმრავლესობა ტუნისელები იყვნენ, მოსაწყენად არ ეცალათ და სიხარულის ყიჟინა პირველად მეხუთე წუთზე დასცეს. დაბადებით ბრაზილიელმა, პასპორტით კი ტუნისელმა ფრანშილეუდო დუშ სანტუშმა მაროკოელთა დაცვაში ნაპრალი აღმოაჩინა და თავური უთავაზა.

ამის მერე თამაში შეიძლებოდა მალე ჩამკვდარიყო, რაკი იმავ დუშ სანტუშს და ჯაზირის ორი ჩინებული მომენტი ჰქონდათ და რომ გამოეყენებინათ, მაროკო პირველ ტაიმშივე საბოლოოდ წახდებოდა. დუშ სანტუშმა იოლი პოზიციიდან ვერ იხეირა, ჯაზირის გარღვევა კი თანამსაჯის ალამმა შეაჩერა, თუმცა მსაჯი იმ ეპიზოდში აშკარად შეცდა.

წახდენილ მომენტებს კი, მოგეხსენებათ, საპასუხო იერიშები მოსდევს ხოლმე და ერთ-ერთი ასეთი იერიშისას მაროკომ ანგარიში გაქვითა. იუსუფ ჰაჯის ფლანგურ პასს, იუსუფ მოხტარიმ ძირს დაშვება არ აცალა, ძალუმ დაარტყა და გაიტანა.

უნდა ითქვას, რომ აფრიკის თასს აქამდე სამი თანაბომბარდირი ჰყავდა, რომელთა გუნდებიც უკვე გავარდნილიყვნენ შეჯიბრიდან. იმ სამს შეუერთდნენ დუშ სანტუში და მოხტარი და საბოლოოდ, ბომბარდირობაც ყველამ ერთად გაინაწილა.

მეორე გოლის მერე კი ტუნისელებმა დაცვას მიხედეს და შიგადაშიგ — რაკი მაროკოელები იძულებულნი შეიქნენ, ზურგი მოეშიშვლებინათ — მწარედ იკბინებოდნენ.

და როცა ოთხი წამატებული წუთიც გაილია, მაროკომ კი ვეღარაფერი გააწყო, ტუნისელთა ფრანგმა თავკაცმა როჟე ლემერმა თქვა: „ჩვენმა ბიჭებმა ისტორია შექმნეს. არა მარტო მათ — ეს ისტორია მთელმა ტუნისელმა ხალხმა ერთად დაწერა."

როჟე ლემერი ის კაცია, ვინაც ორი კონტინენტის ჩემპიონია. მოგეხსენებათ, ოთხი წლის წინ მან საფრანგეთი ევროპის ჩემპიონი გახადა.

თასი კი ორმა კაპიტანმა ერთად აღმართა. ნაღდი კაპიტანი ხალედ ბადრა საფინალოდ დისკვლიფიცირებული იყო და ფინალის კაპიტან რიად ბუაზიზთან ერთად ავიდა პოდიუმზე. ბუაზიზი კი შეუცვლელი გახლდათ ნახევარდაცვაში.

ტუნისელთა მეკარე ალი ბუმნიჟელმა, ძალა ერთობაშიაო და, კრიტიკოსებს გაჰკრა კბილი: „ორი წელია, რაც ეს შემადგენლობა ერთად ვართ. ამ ხნის მანძილზე ყველა სიხარული და ტკივილი ერთად გამოვცადეთ, რამაც გაგვაძლიერა. მწარე და უსამართლო კრიტიკასაც გავუძელით და აი, რას მივაღწიეთ."

**კოტე კეკელია**

### ფინალი

**ტუნისი 2:1 მაროკო**

1:0 დუშ სანტუში (5), 1:1 მოხტარი (38), 2:1 ჯაზირი (52)
ტუნისი: ბუმნიჟელი, ჰაგუი, ჯაიდი, ტრაბელსი, კლეიტონი, ნაფტი (მნარი 46), ბენაშური (გოდბენე 57), ბუაზიზი, ჩედლი, ჯაზირი (მჰევჯები 71), დუშ სანტუში
მწვრთნელი: როჟე ლემერი
მაროკო: ფუამი, რუმანი (ზაირი 74), უადუ, ელ კარკური, ნაიბეტი, რეგრაგი, კისი, საფრი (იაკუბი 64), ი. ჰაჯი (ბაჰა 87), შამახი, მოხტარი
მწვრთნელი: ბადუ ეზაკი
მსაჯი: ფალა ნდოიე (სენეგალი)
60 000 მაყურებელი

| ბომბარდირები | |
|---|---|
| მბომა (კამერუნი) | 4 |
| კანუტი (მალი) | 4 |
| ოკოჩა (ნიგერია) | 4 |
| მოხტარი (მაროკო) | 4 |
| დუშ სანტუში (ტუნისი) | 4 |



აფრიკის ეროვნებათა თასი ტუნისელთა ორმა კაპიტანმა, ხალედ ბადრამ და რიად ბუაზიზმა აღმართეს

# მეთოფე მუჰამედ ალი
## კლაუდიო რანიერი ტიერი ანრის მისტირის



**ლონდონის** „ჩელსის" იტალიელმა მწვრთნელმა კლაუდიო რანიერიმ „დეილი მირორის" კორესპონდენტთან საუბრისას „არსენალის" ფრანგი ვარსკვლავის, ტიერი ანრის საფეხბურთო გენიალურობა შეაქო და აღიარა, რომ ფრანგის კარიერას ჯერ კიდევ ყრმობის ასაკიდან აკვირდებოდა. „მაშინ „ფიორენტინას" მწვრთნელი ვიყავი და უკვე ვიცოდი, საფრანგეთის 21-წლამდელთა ნაკრების წევრი რა ფანტასტიკური ფეხბურთელიც დადგებოდა. ფლორენციული კლუბის პრეზიდენტს დაბეჯითებით ვურჩიე, ანრი ჩვენთან მოეყვანა, თუმც, სამწუხაროდ, ამის გაკეთება არ მოისურვა" — დანანებით იხსენებს აპენინურ ისტორიებს ლონდონელ არისტოკრატთა მაესტრო.

რანიერი არც ანრისთვის შერქმეულ მეტსახელს მალავს: „მსოფლიო ფეხბურთის მუჰამედ ალის ვეძახდი და ახლაც ამ აზრზე ვრჩები. მსგავსი ელეგანტურობა, რითაც ტიერი მოწინააღმდეგეებს უსწორდება, სხვაგან არსად მინახავს. შეიძლება ამქვეყნად ფრანგზე უკეთესი თავდამსხმელებიც არსებობენ, მაგრამ ანრისეული სტილი მაინც ყველასგან განსხვავებული და ორიგინალურია".

**ლადო ხომერიკი**

### პორტუგალია

**სუპერლიგა. XXII ტური**

**აკადემიკა 1:0 ბოავიშტა**
1:0 პაულუ სერჟიუ (65)
**სპორტინგი 1:0 მორეირენსე**
1:0 როჩემბაკი (35)
**ამადორა 1:1 ჟილ ვისენტე**
1:0 სიმოეში (10), 1:1 მაურო (48)
**ფერეირა 2:1 ბეირა მარი**
1:0 მანდუკა (2), 2:0 ფ. გაუჩო (14), 2:1 ჟოაუ პაულუ (73)
**ლეირია 0:1 ნასიონალი**
0:1 ლუზადა (56)
**ბრაგა 0:0 მარიტიმუ**
**ბენფიკა 1:1 პორტუ**
0:1 კოშტინია (17), 1:1 სიმაო (51)
*გიმარაეში — ბელენენსეში*
*დღეს გაიმართება*
*რიუ ავე — ალვერკა*
*დღეს გაიმართება*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 22 | 17 | 5 | 0 | 48:14 | 56 |
| სპორტინგი | 22 | 16 | 3 | 3 | 43:22 | 51 |
| ბენფიკა | 22 | 14 | 5 | 3 | 43:20 | 47 |
| ბეირა მარი | 22 | 10 | 5 | 7 | 32:27 | 35 |
| ბრაგა | 22 | 10 | 5 | 7 | 22:26 | 35 |
| ნასიონალი | 22 | 10 | 4 | 8 | 37:23 | 34 |
| მარიტიმუ | 22 | 8 | 10 | 4 | 24:20 | 34 |
| ბოავიშტა | 22 | 9 | 7 | 6 | 21:17 | 34 |
| რიუ ავე | 21 | 7 | 8 | 6 | 24:19 | 29 |
| მორეირენსე | 22 | 7 | 6 | 9 | 18:25 | 27 |
| ჟილ ვისენტე | 22 | 6 | 8 | 8 | 30:27 | 26 |
| ლეირია | 22 | 6 | 5 | 11 | 25:35 | 23 |
| ბელენენსეში | 21 | 4 | 8 | 9 | 25:37 | 20 |
| ფერეირა | 22 | 6 | 2 | 14 | 15:34 | 20 |
| ალვერკა | 21 | 5 | 4 | 12 | 21:29 | 19 |
| აკადემიკა | 22 | 5 | 4 | 13 | 17:28 | 19 |
| გიმარაეში | 21 | 3 | 8 | 10 | 20:28 | 17 |
| ამადორა | 22 | 3 | 3 | 16 | 15:49 | 12 |

### შვეიცარია

**სუპერლიგა. XIX ტური**

**აარაუ 2:4 ციურიხი**
1:0 ოპანგო (1), 1:1 ფილიპესკუ (8), 1:2 პეტროსიანი (11), 1:3 მუფი (54), 2:3 მენეზესი (85), 2:4 ჯემაილი (90)
**გრასჰოპერი 1:0 ქსამაქსი**
1:0 ნუნიესი (65)
**სერვეტი 3:1 სენტ გალენი**
1:0 კადერი (50), 2:0, 3:0 ძამბრელა (70, 85), 3:1 სუტერი (90)
**ვილი 0:2 თუნი**
0:1 აეგერტერი (38), 0:2 ლუსტრინელი (60)
**იანგ ბოისი 0:1 ბაზელი**
0:1 კ. ხიმენესი (54)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაზელი | 19 | 18 | 1 | 0 | 57:16 | 55 |
| იანგ ბოისი | 19 | 12 | 2 | 5 | 39:26 | 38 |
| სერვეტი | 19 | 10 | 4 | 5 | 36:30 | 34 |
| თუნი | 19 | 6 | 6 | 7 | 22:32 | 24 |
| გრასჰოპერი | 19 | 7 | 2 | 10 | 33:41 | 23 |
| აარაუ | 19 | 5 | 7 | 7 | 31:36 | 22 |
| სენტ გალენი | 19 | 5 | 5 | 9 | 25:35 | 20 |
| ციურიხი | 19 | 5 | 2 | 12 | 29:33 | 17 |
| ვილი | 19 | 4 | 5 | 10 | 23:37 | 17 |
| ქსამაქსი | 19 | 4 | 4 | 11 | 19:28 | 16 |

**ჩელენჯლიგა. XVII ტური**

მეირინი — დელემონი 2:2; ვოლენი — ანიო 0:2; ვინტერთური — სიონი 0:3; კონკორდია — შაფჰაუზენი 1:4

რეკლამა სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08;
Fax: 94 33 80

# მექრთამე ყოფილა!

## ბაირონ მორენოს მსაჯობა აუკრძალეს



*ბაირონ მორენოს ეტყობა, იტალიის ნაკრების ცოდვამ უწია. გასული მსოფლიოს ჩემპიონატიდან იტალიის ნაკრების ფაქტობრივად გამგდები ეკვადორელი მსაჯი, მექრთამეობისთვის მოკვეთეს.*

*იტალიელთათვის ეს გულისმომფხანი ამბავი ეკვადორის პროფესიონალ არბიტრთა ასოციაციის პრეზიდენტმა ხორხე ბენავილისმა დაადასტურა. მორენოს კარიერამ დაღმასვლა სწორედ იტალია-კორეას მერვედფინალიდან დაიწყო, ამ ცოტა ხნის წინ კი სახელგატეხილ არბიტრს ქრთამის აღებაზეც წაასწრეს და კარიერაც იძულებით დაასრულებინეს.*

# ორი ცუდი ამბავი

## გაზი რუმინეთში

**ბუქარესტის** „დინამოს" ახალგაზრდული გუნდი გაზით მოიწამლა. რუმინული ბუსტენის ვილაში, სადაც წარსულში სახელოვანი კარპატული კლუბის ახალბედები თავიანთ მწვრთნელთან ერთად იმყოფებოდნენ, გათბობის სისტემის გაუმართაობის გამო ტრაგედია დატრიალდა, ასფიქსიის შედეგად გუშინ გამთენიისას მწვრთნელი კონსტანტინ პოპესკუ და ექიმი დივიუ რუტესეანუ დაიღუპნენ, ხოლო უმძიმეს მდგომარეობაში მყოფი 7 მოთამაშე დაუყოვნებლივ გადაიყვანეს ადგილობრივ ჰოსპიტალში, სადაც მათ პირველადი დახმარება აღმოუჩინეს. იქაური სამედიცინო პერსონალის სათანადო მცდელობის წყალობით, ფეხბურთელები გადარჩნენ.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბუსტენის დინამოსეულ აპარტამენტში გაზის გათბობა გაუმართავი იყო.

## მაშხალა ისრაელში

**თელ ავივში** „მაკაბისა" და „ჰაპოელის" დერბის დაწყების წინ გასროლილმა მაშხალამ სერიოზულად დააშავა გულშემატკივარი. პოლიციის პრეს-მდივნის განცხადებით ის საავადმყოფოშია და მისი მდგომარეობა კრიტიკულია.

თელ ავივის „იჩილოვის საავადმყოფოს" წარმომადგენელმა თქვა, რომ დაშავებულ ქომაგს ოპერაცია გაუკეთეს. მას მრავალი სერიოზული ჭრილობა ჰქონია. დადგინდა, რომ ვაჟია და „ჰაპოელის" ქომაგი.

„მაკაბიმ" 18 ათასი მაყურებლის წინაშე ეს თამაში შთამბეჭდავად, 3:0 მოიგო. მატჩი „ეროვნულ სტადიონზე" ჩატარდა. ისრაელის ფეხბურთში, საზოგადოდ, ძალადობა იშვიათობაა, მაგრამ თელ ავივის დერბის დროს ქომაგთა შორის ინციდენტები მაინც ხდება.

# ბელგია

## იუპილერლიგა. XXII ტური

**გენკი 1:1 სტანდარდი**

1:0 რუსელი (35), 1:1 ვალასიაკი (41)

**ანდერლეხტი 2:1 ლოკერენი**

1:0 ვილჰელმსონი (60), 1:1 დუშ სანტუში (66), 2:1 მიხალ ჟევლაკოვი (79)

**ანტვერპენი 3:1 შარლერუა**

0:1 ოლუფადე (23), 1:1 ევენსი (43), 2:1 გოოტსი (41), 3:1 დ. გომესი (64)

**ბევერენი 0:3 ვესტერლო**

0:1 დოსუნმუ (51), 0:2 პაასი (57), 0:3 დოსუნმუ (89)

**ლიერსი 0:2 მონსი**

0:1 ი. ნიემი (52), 0:2 კასტო (73)

**სენტ ტრუიდენი 2:1 ჰეუსდენი**

1:0 მბონაბუკია (21), 1:1 ულარე (56), 2:1 მბონაბუკია (80)

**გენტი 0:1 ბრიუგე**

0:1 სიმონსი (84)

**სერკლ ბრიუგე 1:1 მუსკრონი**

0:1 მარჩინ ჟევლაკოვი (43), 1:1 არისი (75)

***ლუვიე — ბეერსხოტი***

*დღეს გაიმართება*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ანდერლეხტი | 22 | 20 | 1 | 1 | 57:18 | 61 |
| სტანდარდი | 22 | 12 | 7 | 3 | 41:20 | 43 |
| ბრიუგე | 22 | 12 | 4 | 6 | 46:23 | 40 |
| მუსკრონი | 22 | 10 | 9 | 3 | 44:28 | 39 |
| ვესტერლო | 22 | 10 | 7 | 5 | 30:25 | 37 |
| გენკი | 22 | 10 | 6 | 6 | 42:30 | 36 |
| სენტ ტრუიდენი | 22 | 8 | 7 | 7 | 26:31 | 31 |
| ბეერსხოტი | 21 | 7 | 7 | 7 | 20:24 | 28 |
| გენტი | 22 | 6 | 9 | 7 | 22:22 | 27 |
| ბევერენი | 22 | 8 | 2 | 12 | 29:37 | 26 |
| ლუვიე | 21 | 5 | 10 | 6 | 27:30 | 25 |
| სერკლი | 22 | 5 | 9 | 8 | 20:34 | 24 |
| ლიერსი | 22 | 4 | 11 | 7 | 22:27 | 23 |
| მონსი | 22 | 4 | 9 | 9 | 22:31 | 21 |
| ლოკერენი | 22 | 4 | 7 | 11 | 23:35 | 19 |
| ჰეუსდენი | 22 | 4 | 6 | 12 | 21:37 | 18 |
| შარლერუა | 22 | 3 | 7 | 12 | 19:31 | 16 |
| ანტვერპენი | 22 | 4 | 4 | 14 | 17:45 | 16 |

## II კლასი. XIV ტური

გეელი — ტუბეკე 1:1; ოსტენდე — ეუპენი 1:1; პატრო — დაინცე 1:3; ვირტონი — დესელი 2:1; რუზელარე — რონსე 1:0; აალსტი — ბრიუსელი 3:1; ვიზეტი — დენდერლეუ 2:1; ვიგორი — ტინენი 2:2; ვარეგემი — სპორტინგი 2:0

# ჰოლანდია

## I დივიზიონი. XXI ტური

**ბრედა 0:0 როდა**

**პსვ ეინდჰოვენი 1:0 ტვენტე**

1:0 კეჟმანი (90)

**ჰერენვენი 1:1 ტილბურგი**

1:0 სეიპი (16), 1:1 კალუვე (89)

**ვიტესი 1:2 როზენდალი**

0:1 დე გრააფი (44), 0:2 დ. ჰესპი (67), 1:2 პაულუ რინკი (80პ)

**დენ ჰააგი 2:2 ფეიენოორდი**

1:0 რ. კასტელინი (19), 1:1 ვან პერსი (37), 1:2 ბუფელი (45), 2:2 ვან დერ გუნი (83)

**ვოლენდამი 0:2 აიაქსი**

0:1 ანასტასიუ (12), 0:2 გალაშეკი (87პ)

**ვალვაიკი 2:0 ზვოლე**

1:0 ბულარუზი (20), 2:0 მოლოკი (30)

**ნაიმეგენი 4:0 უტრეხტი**

1:0 ნედზელანი (13), 2:0 სიმრი (32), 3:0 ვან დერ დულენი (62), 4:0 ნედზელანი (74)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აიაქსი | 20 | 17 | 1 | 2 | 50:18 | 52 |
| პსვ | 21 | 15 | 4 | 2 | 56:16 | 49 |
| ალკმაარი | 21 | 12 | 3 | 6 | 41:21 | 39 |
| ფეიენოორდი | 22 | 11 | 6 | 5 | 40:31 | 39 |
| ტილბურგი | 22 | 9 | 7 | 6 | 33:31 | 34 |
| ტვენტე | 21 | 10 | 2 | 9 | 38:34 | 32 |
| როდა | 20 | 8 | 7 | 5 | 36:24 | 31 |
| ჰერენვენი | 20 | 9 | 4 | 7 | 25:24 | 31 |
| როზენდალი | 21 | 8 | 6 | 7 | 24:26 | 30 |
| ვალვაიკი | 22 | 7 | 6 | 9 | 30:27 | 27 |
| უტრეხტი | 21 | 7 | 6 | 8 | 26:29 | 27 |
| ბრედა | 20 | 7 | 5 | 8 | 33:31 | 26 |
| ნაიმეგენი | 21 | 8 | 1 | 12 | 26:33 | 25 |
| გრონინგენი | 20 | 6 | 5 | 9 | 25:31 | 23 |
| დენ ჰააგი | 21 | 4 | 5 | 12 | 18:43 | 17 |
| ვოლენდამი | 21 | 4 | 4 | 13 | 20:56 | 16 |
| ვიტესი | 21 | 2 | 9 | 10 | 24:36 | 15 |
| ზვოლე | 21 | 1 | 5 | 15 | 11:45 | 8 |

## II დივიზიონი. XXII ტური

სპარტა — დენ ბოსხი 2:2; იგლსი — კამბური 3:0; აპელდორნი — ჰერაკლესი 0:1; ჰელმონდი — ვეენდამი 1:1; ჰაარლემი — მაასტრიხტი 2:0; ვენლო — ექსელსიორი 4:2; სიტარდი — გრააფსხაპი 1:1; ემენი — ეინდჰოვენი 2:0; ტელსტარი — ოსი 1:3

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰელმონდი | 21 | 13 | 5 | 3 | 44:22 | 44 |
| დენ ბოსხი | 22 | 13 | 4 | 5 | 52:29 | 43 |
| ექსელსიორი | 22 | 13 | 4 | 5 | 39:24 | 43 |
| სპარტა | 22 | 13 | 3 | 6 | 50:25 | 42 |
| ჰერაკლესი | 21 | 11 | 6 | 4 | 42:24 | 39 |
| ვენლო | 22 | 12 | 2 | 8 | 45:37 | 38 |
| გრააფსხაპი | 22 | 10 | 7 | 5 | 35:26 | 37 |
| ემენი | 21 | 10 | 6 | 5 | 34:28 | 36 |
| ტელსტარი | 22 | 11 | 3 | 8 | 40:37 | 36 |
| იგლსი | 21 | 8 | 5 | 8 | 49:39 | 29 |
| ოსი | 22 | 8 | 5 | 9 | 38:39 | 29 |
| ვეენდამი | 22 | 7 | 6 | 9 | 29:45 | 27 |
| აპელდორნი | 22 | 5 | 8 | 9 | 33:31 | 23 |
| ჰაარლემი | 22 | 6 | 4 | 12 | 25:39 | 22 |
| კამბური | 22 | 5 | 4 | 13 | 21:44 | 19 |
| სიტარდი | 21 | 3 | 8 | 10 | 27:47 | 17 |
| დორდრეხტი | 21 | 2 | 10 | 9 | 20:32 | 16 |
| მაასტრიხტი | 22 | 3 | 6 | 13 | 21:53 | 15 |
| ეინდჰოვენი | 22 | 1 | 8 | 13 | 22:45 | 11 |

# ჩეხეთი

## გამბრინუს ლიგა. XVII ტური

ლიბერეცი — ბანიკი 0:2; სინოტი — ბრნო 0:0; ოპავა — სპარტა 3:4; სლავია — ბლშანი 2:0; ჟიჟკოვი — პლზენი 0:0; პრჟიბრამი — ტეპლიცე 1:0; ბუდეიოვიცე — ზლინი 2:0. *სიგმა — იაბლონეცი დღეს გაიმართება*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბანიკი | 17 | 11 | 6 | 0 | 35:12 | 39 |
| სპარტა | 17 | 9 | 5 | 3 | 31:15 | 32 |
| სლავია | 17 | 9 | 3 | 5 | 21:10 | 30 |
| სიგმა | 16 | 8 | 3 | 5 | 29:16 | 27 |
| ზლინი | 16 | 8 | 3 | 5 | 19:16 | 27 |
| ლიბერეცი | 17 | 7 | 5 | 5 | 18:14 | 26 |
| სინოტი | 17 | 7 | 5 | 5 | 24:21 | 26 |
| ბუდეიოვიცე | 16 | 6 | 4 | 6 | 19:20 | 22 |
| ბრნო | 17 | 5 | 7 | 5 | 19:22 | 22 |
| ტეპლიცე | 16 | 5 | 6 | 5 | 17:18 | 21 |
| ოპავა | 17 | 6 | 2 | 9 | 22:33 | 20 |
| პრჟიბრამი | 16 | 5 | 3 | 8 | 21:20 | 18 |
| იაბლონეცი | 16 | 3 | 8 | 5 | 14:22 | 17 |
| პლზენი | 17 | 3 | 5 | 9 | 13:27 | 14 |
| ჟიჟკოვი | 17 | 3 | 4 | 10 | 8:22 | 13 |
| ბლშანი | 17 | 2 | 3 | 12 | 16:38 | 9 |

# ამხანაგური მატჩები. 18 თებერვალი

## ესპანეთი — [illegible]

### ესპანეთი

*მეკარეები: იკერ კასილიასი (რეალი), სანტიაგო კანისარესი (ვალენსია);*

*მცველები: კარლეს პუიოლი (ბარსელონა), ივან ელგერა, მიჩელ სალგადო, რაულ ბრავო (სამივე რეალი), კარლოს მარჩენა (ვალენსია);*

*ნახევარმცველები: ხოსება ეჩებერია (ბილბაო), ხოაკინ სანჩესი (ბეტისი), ხუან კარლოს ვალერონი (დეპორტივო), ხაბი ალონსო (სოსიედადი), რუბენ ბარახა, ვისენტე ფერნანდესი, დავიდ ალბელდა (სამივე ვალენსია), ხავი ერნანდესი (ბარსელონა);*

*თავდამსხმელები: რაულ გონსალესი (რეალი), რაულ ტამუდო (ესპანიოლი), ალბერტ ლუკე (დეპორტივო)*

## პორტუგალია — ინგლისი

### პორტუგალია

*მეკარეები: რიკარდუ პერეირა (სპორტინგი), კიმ სილვა (ბრაგა);*

*მცველები: მიგელ მონტეირუ (ბენფიკა), ჟორჟე ანდრადე (დეპორტივო, ესპანეთი), ფერნანდუ კოუტუ (ლაციო, იტალია), ბეტუ სევერუ, რუი ჟორჟე (ორივე სპორტინგი), ნუნუ ვალენტე, პაულუ ფერეირა, რიკარდუ კარვალიუ (სამივე პორტუ);*

*ნახევარმცველები: მანუელ რუი კოშტა (მილანი, იტალია), ლუიშ ფიგუ (რეალი, ესპანეთი), არმანდუ პეტი, ტიაგო მენდეში, სიმაო საბროსა (სამივე ბენფიკა), ფრანსისკო კოშტინია, დეკო სოუზა (ორივე პორტუ), უგო ვიანა (ნიუკასლი, ინგლისი);*

*თავდამსხმელები: პედრუ პაულეტა (პსჟ, საფრანგეთი), ლუიშ ბოა მორტე (ფულემი, ინგლისი), კრისტიანო რონალდო (მანჩესტერ იუნაიტედი, ინგლისი), უგო ალმეიდა (ლეირია)*

### ინგლისი

*მეკარეები: დევიდ ჯეიმსი (მანჩესტერ სიტი), პოლ რობინსონი (ლიდსი), კრის კირკლანდი (ლივერპული);*

*მცველები: დენი მილსი, გარეთ საუთგეიტი (ორივე მიდლსბრო), ჯეიმი კარაგერი (ლივერპული), ეშლი კოული, სოლ კემპბელი (ორივე არსენალი), უეინ ბრიჯი, ჯონ ტერი (ორივე ჩელსი), ფილ ნევილი (მანჩესტერ იუნაიტედი);*

*ნახევარმცველები: დევიდ ბექემი (რეალი, ესპანეთი), ოუენ ჰარგრივსი (ბაიერნი, გერმანია), ფრენკ ლამპარდი, ჯო კოული (ორივე ჩელსი), ნიკი ბათი, პოლ სქოულზი (ორივე მანჩესტერ იუნაიტედი), ჯერმენ ჯენასი, კირონ დაიერი (ორივე ნიუკასლი);*

*თავდამსხმელები: მაიკლ ოუენი, ემილ ჰესკი (ორივე ლივერპული), უეინ რუნი (ევერტონი), ალან სმიტი (ლიდსი), დარიუს ვასელი (ასტონ ვილა)*

## ბელგია — საფრანგეთი

### ბელგია

*მეკარეები: გერტ დე ფლიგელი (ტილბურგი, ჰოლანდა), ფრედერიკ ერპოელი (გენტი);*

*მცველები: ოლივიე დე კოკი, ტიმი სიმონსი, პეტერ ვან დერ ჰიდენი (სამივე ბრიუგე), ერიკ დეფლანდრე (ლიონი, საფრანგეთი), ოლივიე დეშახტი, ვენსან კომპანი (ორივე ანდერლეხტი), დანიელ ვან ბუიტენი (მანჩესტერ სიტი, ინგლისი), ჟილ ვან დამი (აიაქსია, ჰოლანდია);*

*ნახევარმცველები: რობერტო ბისკონტი (სტანდარდი), ვალტერ ბასეჯიო (ანდერლეხტი), თომას ბუფელი (ფეიენოორდი, ჰოლანდია), ფილიპ კლემანი (ბრიუგე), ტომ სოტერსი (როდა, ჰოლანდია);*

*თავდამსხმელები: ლუიჯი პიერონი, მბო მპენზა (ორივე მუსკრონი), ემილ მპენზა, ჯონათან ვალასიაკი (ორივე სტანდარდი), უესლი სონკი (აიაქსი, ჰოლანდია)*

### საფრანგეთი

*მეკარეები: ფაბიენ ბარტეზი (მარსელი), გრეგორი კუპე (ლიონი);*

*მცველები: ჟან-ალენ ბუმსონგი (ოსერი), მარსელ დესაი, უილიამ გალასი (ორივე ჩელსი, ინგლისი), ბიქსენტ ლიზარაზუ, ვილი სანიოლი (ორივე ბაიერნი, გერმანია), მიკაელ სილვესტრი (მანჩესტერ იუნაიტედი, ინგლისი), ლილიან ტურამი (იუვენტუსი, იტალია);*

*ნახევარმცველები: ოლივიე დაკური (რომა, იტალია), კლოდ მაკელელე (ჩელსი, ინგლისი), რობერ პირესი, პატრიკ ვიეირა (ორივე არსენალი, ინგლისი), ჟერომ როტენი (მონაკო), ზინედინ ზიდანი (რეალი, ესპანეთი);*

*თავდამსხმელები: ტიერი ანრი (არსენალი, ინგლისი), დავიდ ტრეზეგე (იუვენტუსი, იტალია), ლუი საჰა (მანჩესტერ იუნაიტედი, ინგლისი), სიდნეი გოვუ, პეგი ლუინდულა (ორივე ლიონი)*

## იტალია — ჩეხეთი

### იტალია

*მეკარეები: ჯანლუიჯი ბუფონი (იუვენტუსი), ფრანჩესკო ტოლდო (ინტერი);*

*მცველები: დანიელე ადანი (ინტერი), სტეფანო ბეტარინი (სამპდორია), მატეო ფერარი (პარმა), ნიკოლა ლეგროტალიე (იუვენტუსი), ალესანდრო ნესტა, ჯუზეპე პანკარო (ორივე მილანი), მასიმო ოდო (ლაციო), კრისტიან პანუჩი (რომა);*

*ნახევარმცველები: სიმონე ბარონე (პარმა), სტეფანო ფიორე (ლაციო), კარლო ნერვო (ბოლონია), სიმონე პეროტა (კიევო), ანდრეა პირლო (მილანი), სერჯო ვოლპი (სამპდორია), ფრანჩესკო ტოტი (რომა), ალესანდრო დელ პიერო (იუვენტუსი);*

*თავდამსხმელები: კრისტიან ვიერი (ინტერი), ბერნარდო კორადი (ლაციო), ანტონიო კასანო (რომა), ანტონიო დი ნატალე (ემპოლი)*

ევროპის ერთა თასი. პირველი ტური

# საქართველო 14:19 პორტუგალია

15 თებერვალი. თბილისი. «ლოკომოტივი»



[illegible] ფოტო

ბესიკ უდესიანი პორტუგალიელებს მიარღვევს

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველო — პორტუგალია

მსაჯი: ანტონიო ლომბარდი (იტალია)

| საქართველო | # | პორტუგალია |
|---|---|---|
| ბესიკ ხამაშურიძე | 15 | გონსალუ მელეირუ |
| მალხაზ ურჯუკაშვილი | 14 | ენტონი ეგილარი |
| თედო ზიბზიბაძე | 13 | დიოგუ მეტეუში |
| კახა ალანია | 12 | ფრედერიკო სოუსა |
| ირაკლი მაჩხანელი | 11 | დევიდ მეტეუში |
| ბობა კვინიხიძე | 10 | ფილიპე გრენიუ |
| ბიძინა სამხარაძე | 9 | ლუიშ პისარა (კაპ) |
| ბესიკ უდესიანი | 8 | ენტონი კუნია |
| რატი ურუშაძე | 7 | პაულუ მურინელუ |
| ზვიად მაისურაძე | 6 | ვესკუ უვე |
| მამუკა გორგოძე | 5 | მარსელუ დორეი |
| ილია ზედგინიძე (კაპ) | 4 | ლურენსუ ენდრადე |
| ავთანდილ კოპალიანი | 3 | ჟუაკინ ფერეირა |
| ლევან ღვაბერიძე | 2 | პაულუ სანტუში |
| დავით ხინჩაგაშვილი | 1 | რუი კორდეირუ |

### შეცვლაზე შემოვიდნენ

16 გიორგი კუთარაშვილი (ხინჩაგაშვილი), 17 მიხეილ სუჯაშვილი (კოპალიანი), 18 ზურაბ მჭედლიშვილი (გორგოძე)

17 ენტონიუ სერმენტუ (სანტუში), 21 პედრუ ლეალი (მურინელუ)

### სინბინი

მაისურაძე, მჭედლიშვილი

მურინელუ

### ქულები

2 ლელო: კოპალიანი (28), ღვაბერიძე (67); 2 გარდასახვა: ურჯუკაშვილი, კვინიხიძე

1 ლელო: ეგილარი (19); 1 გარდასახვა: მელეირუ; 3 საჯარიმო: მელეირუ (11, 40, 59); 1 არეკნი: მელეირუ (80)

# პორტუგალია ჩვენი ბრალია

## ძველი ქართული ფიქრები: მალე მაგარი ვიქნები

მოდით, ხალხო, ცოტა ხნით მაინც მოვიშოროთ ეს ოხერი ასწლოვანი თავადური ფიქრები, რომ მომავალი ჩვენია. მოდით, აწმყოს მივხედოთ, თორემ გადადებული საქმე მეტოქისაა. ჩვენი კი ჯერ მხოლოდ წაგებებია.

მორიგი მატჩი, მორიგი მარცხი, უკვე ზედიზედ მეექვსე. ქომაგთათვის პასუხის გამცემთაგან კი კვლავ და კვლავ ვისმენთ საუბარს ქართულ პოტენციალზე. პოტენციალზე ერთს ვიტყვი, ამ წილხვედრ ქვეყანაში იმდენი მდინარე მოჩქეფს, ბარისახოდან ბოგდანოვკამდე გაჩახჩახებულები უნდა ვიყოთ. ვართ? უფრო მეტიც, ლვინის და ბორჯომის მდინარეებიც მოქუხს. ვინ გვეტყვის, სად იკარგება ქართული ნიჭის და პოტენციის ამაზონი?

მიშა ბურძგლამ ნამატჩევს ბრძანა, ფიზიკურად არა გვიშავდა, პატარ-პატარა ტაქტიკური შეცდომები გვქონდა, მეტოქემ ორგანიზებულობით გვაჯობაო. სრული სიმართლეა. ისიც თქვა, ბევრი მოთამაშე და ჩვენც მწვრთნელებიც ახალბედები ვართო. კეთილი, გადაბრუნდა ქართული რაგბის ურემი (მერამდენედ?) და გამოჩნდა გზა. სხვა რა გზაა, უნდა დაველოდოთ, როდის შეაკეთებენ.

დიდი ხნის წინ ერთი დიდი სტრატეგოსი ამბობდა — ერთი ქართველი მამლუქი ორ ფრანგ ჯარისკაცს ჯობს, მაგრამ ასი მამლუქი ფრანგთა ასეულის ნახევარიც ვერააო. გენერალისიმუსი არ გვჭირდება, ერთ ისეთ „მაიორზეც“ ყაბულს ვართ, 15 კარგი ჯარისკაცისგან, 15-ჯარისკაციან რაზმს რომ ჩამოაყალიბებს, არა და კიდევ ბევრი წელი ვერ გაიშლება ხაზი და პრობლემა იქნება ბურთის ამოტანა, მორბენლისთვის სვლაში ზუსტი პასის მიცემა და სხვა ამისთანა ანა-ბანა.

ის კი კარგად ვიცით, რომ ძალა ერთობაშია და ახალი ქართული შერკინება რამდენჯერაც ერთსულოვნად მიაწვა, იმდენჯერ დაახევინა მეტოქეს. მაგრამ ხუთი სალელოვე მოლიდან ბორჯღალოსნებმა მხოლოდ ორი გამოიყენეს. ისე, კარგი იქნებოდა, რაგბის კავშირს რომელიმე არხზე (ცოტაა თუ?) პირდაპირი რეპორტაჟი მოეწყო, იქნებ ეკრანზე გამეორებისას მაინც შეემჩნია ვინმეს, ზედ მეტოქის სალელოე ხაზზე მოტრიალე ბორჯღალოსნებს რა საბაბით ართმევდა ბურთს მსაჯი.

პორტუგალიამ კი ერთადერთი და ისიც საეჭვო ლელო დადო, მაგრამ წამგებიანი თამაშიდან მაინც მოგებული გამოვიდა.

საკამათო აზრია, მაგრამ მაინც ვფიქრობთ, რომ ბორჯღალოსნებს უნდა მოეგოთ უფერული და კნაჭა პორტუგალიელებისთვის. ჩვენს მორკინალებს მაინც და მაინც არ ეტყობოდათ, ნაკრებში ახალბედები რომ იყვნენ, საიმე ხაზი მშვენივრად ართმევდა სამუშაოს თავს. განსაკუთრებით მესამე ხაზი. ნაკრების „ვეტერანი ახალბედები“ ბესიკ უდესიანი და რატი ურუშაძე აშკარად გამოირჩეოდნენ. არა უშავდა ზვიად მაისურაძესაც. ეგაა, მან პირველი ტაიმის ბოლოს ათწუთიანი გაძევება აიკიდა სწორედ მაშინ, როცა 14 კაცით დარჩენილი პორტუგალია საკუთარ ლელოზე იყო მიჯაჭვული და 7:13 ანგარიშზე წინ გასვლის რეალური შანსი გვქონდა. პორტუგალიამ მოიგერია ის შეტევა და ტაიმიც ასე მორჩა.

იტალიელმა მსაჯმა კიდევ ერთი ყვითელი ბარათი „გამოიმეტა“ ჩვენთვის. უკვე თამაშის ბოლოს 75-ე წუთზე გაასინბინა მოედანზე ორიოდე წუთის წინ შესული ბებერი ხარი და ბორჯღალოსანთა ექსკაპიტანი ზურა მჭედლიშვილი. ბოლო წუთებზე კარში არეკნის მიმღებმა ბორჯღალოსნებმა თამაში შეტევაში დაამთავრეს. შეიძლება ასეც ითქვას, ჩვენს შერკინებას დრო აღარ ეყო პორტუგალიელთა კიდევ ერთხელ სათრევად....

მაგრამ დრო ხომ ძალიან ბევრი იყო თავიდან. საქართველოს ნაკრები შერკინებით და ხანდახან ხაზითაც გაცილებით ეფექტურად უტევდა, ვიდრე პორტუგალია, მაგრამ სულ მდევრის როლში იყო. არადა 80 წუთი სულ სხვანაირად შეიძლება წარმართულიყო. პორტუგალიამ არეული შეტევებით დაიწყო და რამდენჯერმე დაკარგა ბურთი. ჩვენმა ფორვარდებმა მალევე შეიგრძნეს მეტოქეზე უპირატესობა და დაწყებიდან რამდენიმე წუთში მეთოდურად და ეტაპობრივად ბარე 50 მეტრით დაახევინეს. აქ თითქმის ბოლომდე მიტანილი ბურთი ჯგლერთაში დაიკარგა და პორტუგალიელებმა ფეხით გამოიტანეს, მაგრამ უხეიროდ. ბურთი მოედანში დარჩა და ხელმეორედ აგორებულმა მოლმა დაახლოებით 22-მეტრიან ხაზიდან ჯარიმის დარტყმის უფლება მოგვიტანა. ბობა კვინიხიძემ საკმაოდ ხელსაყრელი საჯარიმო ააცილა და დაიკარგა ანგარიშის გახსნის ურეალურესი შანსი.

სამაგიეროდ, მეტოქემ რამდენიმე წუთში საჯარიმოც გაიტანა და ოდნავ მოგვიანებით რალაც მანქანებით ლელოც დადო. ამის მერე ლამის ტაიმნახევარი სტუმრები მაინც და მაინც სახიფათოდ ვერ უტევდნენ, მაგრამ საკუთარ ნახევარზე დაჯარიმებულ ქართველებს ჯარიმებით დისტანციაზე ამყოფებდნენ. ბორჯღალოსნების მეორე ლელოს შემდეგ 14:16 ანგარიშზე კი მათ მასპინძელთა რამდენიმე შეტევას გაუძლეს და ბოლო თუ ბოლოსწინა წუთზე გონსალუ მელეირუმ იოლი არეკნით ანგარიშს წერტილი დაუსვა.

კიდევ ერთხელ ვიმეორებთ, ეს იყო მოსაგები თამაში, საქართველომ პორტუგალიაზე ჯიგრით და ლამაზად, მაგრამ არა გონივრულად ითამაშა.

ბორჯღალოსნებს კი ერთ კვირაში ესპანეთში გასვლა აქვთ. ალბათ არც ეს იქნება ახალი ქართული ნაკრებისთვის გასეირნება. ესპანეთი შარშანდელი გათამაშების მაჩანჩალა კია, მაგრამ მოედანზე ალბათ არ იჩანჩალებს. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ არ უნდა ვიყოთ ამის იმედად.

**ირაკლი ფირაშვილი**

## ნამატჩევს



**ტომაშ მორაიში**, პორტუგალიის მთავარი მწვრთნელი: მშვენიერი თამაში გამოვიდა. ჩვენთვის ეს გამარჯვება მნიშვნელოვანია, რადგან დღემდე თბილისში მატჩი არ მოგვეგო. საქართველო დიდ სარაგბო ქვეყნებში გარევას იწყებს და მისი ძლევა ორმაგად სასიხარულოა. ამ შეხვედრით მომავალი მსოფლიოს ჩემპიონატისთვის მზადება დავიწყეთ. ბევრი ახალი მოთამაშე გამოჩნდა როგორც ჩვენს, ისე თქვენს ნაკრებებში. მივესალმები ახალ ქართველ მწვრთნელებსაც და წარმატებას ვუსურვებ. დღეს საქართველომ კარგი რაგბი აჩვენა, ჰქონდა მოგების არაერთი შანსიც, მაგრამ ყველაზე ფანტასტიკური მაინც ტრიბუნების მხარდაჭერა იყო. ასეთ მაყურებელს პორტუგალიაში ვერც ვინატრებთ.

— რა დააკლდა საქართველოს ნაკრებს მოსაგებად?

— თქვენს გუნდს მნიშვნელოვანი შეცდომები არ დაუშვია. უბრალოდ, ჩვენი დაცვა იდგა კარგად და შედეგზეც ამან იმოქმედა.

— რის ხარჯზე დაიწყო პორტუგალიურმა რაგბიმ პროგრესი?

— პირველ რიგში იმით, რომ აქცენტი პორტუგალიაში მოთამაშე მორაგბეებზე და ადგილობრივ მწვრთნელებზე გაკეთდა. რაც შეეხება სათამაშო ტაქტიკას, განსაკუთრებით ფიზიკური მომზადება და დაცვაში თამაში დავხვეწეთ.

**მიხეილ ბურძგლა**, საქართველოს ნაკრების მენეჯერი: ახალი გუნდის ჩამოყალიბება იწყება და ცოტა ძნელია, ასეთ დროს გამარჯვებაზეც გქონდეს დიდი პრეტენზია. დღევანდელ გუნდში ბევრი დებიუტანტი გვყავდა. ისინი საქმეში აუცილებლად უნდა გვენახა. ამას ჩვენი ტაქტიკური ხარვეზებიც დაერთო და... ახლა მთავარია, თამაში კიდევ ერთხელ ვნახოთ და კარგად გავაანალიზოთ. ჩვენც დებიუტანტები ვართ და გვაქვს პოტენცია, უკეთესი გუნდი გავაკეთოთ.

— დღეს საქართველოს ნაკრებმა თავისზე ძლიერ გუნდთან წააგო თუ მეტოქეს გასაღები ვერ მოუძებნა?

— პორტუგალიელები ინდივიდუალურად ჩვენზე ძლიერები არ იყვნენ, მაგრამ უკეთესი ორგანიზებულობითა და მობილურობით გვაჯობეს.

— ერთ კვირაში ესპანეთში ვთამაშობთ. ცვლილებები თუ იქნება?

— არაა გამორიცხული. უახლოეს დღეებში გადავწყვეტთ.

— მაინც რა ვერ გააკეთეს ბიჭებმა?

— ტექნიკური წუნი ბევრი იყო. თუნდაც ბურთის გავარდნა ავილოთ. ვახერხებდით ლერძზე უპირატესობის მოპოვებას, მაგრამ შემდეგ სისწრაფეში ველარ ვასწრებდით. ხამაშურიძემ სიჩქარეში ბურთის ალება ერთხელაც ვერ შეძლო. სხვები კი, ვინც დაიჭერდა, ყველა ცდილობდა, თავადვე შეეტია. ეს, რა თქმა უნდა, ნაკლებად მომგებიანი იყო. რაც მთავარია, დისციპლინა არ იდგა საჭირო დონეზე. პირველი ტაიმის შემდეგ ბიჭებს ვუთხარი, თუ თამაშის მოგება გვინდა, არ უნდა დავჯარიმდეთ მეთქი, მაგრამ, სამწუხაროდ, ბევრი ჯარიმა ძალიან დასანან დროს მივილეთ.

— რა რეზერვებს ხედავთ, რომ თაობათა ცვლის პროცესი ნაკლებად მტკივნეული იყოს?

— ლეგიონერთა გარეშე ძალიან გაგვიჭირდება. მარტო ახალგაზრდებით ფონს ვერ გავალთ.



## ექვსი ერი 2004

# წითელმა დრაკონმა გაიღვიძა

14 თებერვალი. კარდიფი

**უელსი 23:10 შოტლანდია**

**უელსი:** გ. ტომასი, რ. უილიამსი, პარკერი, ჰარისი, შ. უილიამსი, ს. ჯონსი, კუპერი (პილი); დეფ. ჯონსი (ჯ. ტომასი), მ. უილიამსი, შარვისი (კაპ) (დეფ. ჯონსი), ლევველინი (ოუენი), კოკბეინი, ა. ჯონსი, გ. ჯენკინსი, მ. დევისი (ბენეტი), დანკ. ჯონსი

3ლ: რ. უილიამსი (2), დანკ. ჯონსი; 1გ: ს. ჯონსი, 2ს: ს. ჯონსი

**შოტლანდია:** ჰინშლვუდი (ვებსტერი), დანიელი, ფილიპი, ლენი (პარქსი), ჰენდერსონი, პატერსონი (კაპ), კიუსიტერი (ბლერი); ტეილორი, ჰოგი (ვაიტი), მათერი, გრიმსი, მიურეი, დუგლასი (კერი), ბალოკი (რასელი), სმიტი

1ლ: ტეილორი; 1გ: პატერსონი: 1ა: პატერსონი

უკანასკნელი შვიდი წლის განმავლობაში უელსელებმა ეს პირველად შეძლეს, ექვსი ერის გათამაშება გამარჯვებით დაეწყოთ. შარშანდელი ბოლოადგილოსნები სქოთთა წინააღმდეგ აღმაფრენით გაირჯნენ, საიდანაც კი მოუხერხდათ, ბურთი ხელდახელ ჩაათამაშეს და ჯამში სამ ლელოსაც გამორჩნენ, რომელთაგან ორი გარემარბმა რის უილიამსმა, ერთი კი კვაჭმა ადამ ჯონსმა მიითვალეს. ფეხი მარჯვედ აქნია და გუნდს რვა ქულა არგო სტივენ ჯონსმა, ვისი სანაქებო თამაშიც ავსტრალიის მსოფლიო ჩემპიონატზე ზელანდიელებსა და ინგლისელებთან წაგებულ შეხვედრებშიც ეგებ ჯერაც არ დაგვიწყებიათ. ძალზედ იმედგაცრუებული დარჩა დამარცხებულთა ახალი მწვრთნელი, ავსტრალიელი მეტ უილიამსი. ეს ნაღდად არ იყო ის, რისი ნახვაც მინდოდაო, ამბობდა ის ნამატჩევს.

# მამალმა ირლანდიას მეორედ დაჰყივლა

14 თებერვალი. პარიზი

**საფრანგეთი 35:17 ირლანდია**

**საფრანგეთი:** ბრუსკი, კლერკი (ელორგა), ჟოზიონი, ტრაი (ლიბენბერგი), დომინისი, მიშალაკი, ელისალდე (იაშვილი); არინორდოკი, მანი (ლივრემო), ბესენი, პაპე (ორადუ), პელუ (კაპ), დე ვილერი, სერვა (ბრუ), მარკონე (კრენკა)

4ლ: კლერკი, პაპე, ჟოზიონი, ელისალდე; 3გ: მიშალაკი; 3ს: მიშალაკი

**ირლანდია:** დემფსი, შ. ჰორგანი, დარსი, მაგსი, ჰოუი (ა. ჰორგანი), ოგარა, სტრინგერი; ფოლი, გლისონი (კოსტელო), ს. ისტერბი, ოკელი (ოკალაჰანი), ოკონელი (კაპ), ჰეიესი, ბირნი (შიანი), კორიგანი

2ლ: ფოლი, ჰოუი; 2გ: ოგარა; 1ს: ოგარა

ფრანგებმა მატჩი ოდნავ მოშვებულად კი დაიწყეს, მაგრამ მერე და მერე მატჩი მაინც მათვის სასურველ კალაპოტში ჩაბრუნდა. თავი იჩინა იმან, რომ სტუმრები ტრავმირებული სამეოთხედელების, ბრაიან ოდრისკოლისა და გორდან მერფის გარეშე თამაშობდნენ და ასევე იმანაც, რომ მათ რიგს უკვე აღარ ადუღაბებს ლეგენდარული კაპიტანი კიტ ვუდი.

ფრანგთა იერიშებს უნარიანად აკვალიანებდა მოფარფატე ნახევარმცველი ფრედერიკ მიშალაკი, რომელმაც ჯამში 15 ფეხქულაც დააგროვა. მას მხარს უბამდნენ სახიფათოდ მოთარეშე შუამარბი დამიან ტრაი და ბასრი ბოლოკაცი ნიკოლა ბრუსკი. ირლანდიელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ განსხვავებით ავსტრალიური მეოთხედფინალისგან, სადაც ისინი ფრანგთა მიერ 21:43 იძლივნენ, მათ შერკინებას მეტოქის შერკინებისთვის ტოლი არ დაუდია. მეორე ნახევარში ისინი მასპინძლებს თერთმეტი ქულითაც წამოეწივნენ, როცა 10:28-ზე გარემარბმა ტაირონ ჰოუვმა მათი მეორე ლელო გაიტანა. თუმცა საბოლოო სიტყვის თქმა ჯიშად მორაგბე ჟან-ბატისტ ელისალდეს ხვედრი იყო — ფაბიან გალთიეს ნაცვალმა, ვის მამა-პაპასაც თავ-თავიანთ დროზე ასევე უმაღლიათ, მოლიდან ციმციმ გამოტანილი ბურთი ფრანგთა მეოთხე ლელოდ გარდაქმნა. სხვათა შორის, მატჩს სტად დე ფრანსზე საფრანგეთის სარაგბო ნაკრებისთვის სარეკორდო, 79 500-კაციანი მილეთი ესწრებოდა.

# ინგლისმა ია და ვარდი კრიფა

15 თებერვალი. რომი

**იტალია 9:50 ინგლისი**

**იტალია:** მასი, მაცუკატო (მირკო ბერგამასკო), სტოიკა, მ. დალანი (დე მარინი), დ. დალანი, ვაკარუა, გრიფენი; პარისე, პერსიკო (ორლანდო), დეროსი (კაპ), ბორტოლამი, დელაპე (ჩეჩინატო), კასტროჯოვანი (პერუჯინი), ონგარო (ფესტუჩია), ლო ჩიჩერო

2ს: ვაკარუა; 1ა: ვაკარუა

**ინგლისი:** ბალშოუ (რობინსონი), ლიუსი, გრინვუდი, რობინსონი (პოლი), კოენი, გრეისონი (ბარკლი), გომარსალი (დოუსონი); დალალიო (კაპ), ჰილი, უორსლი (ჯონსი), კეი, გრივკოკი (შოუ), ვიკერი (ლეონარდი), ტომპსონი (რეგანი), ვუდმენი

7ლ: ბალშოუ, რობინსონი (3), ლიუსი, გრეისონი, ჯონსი; 3გ: გრეისონი; 3ს: გრეისონი

REUTERS რომიდან



ჯეისონ რობინსონმა იტალიელებს გაუარ-გამოუარა

მსოფლიოს და ექვსი ერის ჩემპიონმა ინგლისმა სხვა ფავორიტებზე ერთი დღით გვიან და გრგვინვით დაიწყო ოფიციალური სეზონი. ევროპის ზეექვსეულში უსუსტესი ერი იტალია, რა თქმა უნდა, სიძლიერის ზუსტი საზომი ვერაა, მაგრამ მაინც შეიძლება ითქვას, რომ კლაივ ვუდვორდის ექსპერიმენტმა გაამართლა. „ვარდების“ მწვრთნელმა 174-სანტიმეტრიანი მოუხელთებელი გარემარბი ჯეისონ რობინსონი სადღაც ხორცსაკეპთან ახლოს, შიდა შუამარბად დააყენა და ამანაც ია და ვარდი კრიფა მეტოქის ნახევარზე. რობინსონმა პირველივე ტაიმში ორი ლელო გაუტანა იტალიელებს და თავისი მონაგარი მეორე ტაიმში ჰეთ თრიკამდე დაამრგვალა.

მატჩის გმირი, თავისთავად, შორს არ უძებნიათ, მუღლატ ჯეისონს ქება ჯერ კიდევ მოედნის კიდესთან შეასხეს, მაგრამ ამან ნაცხელგულევ კომენტარებში თავის წილი ჰალალი მადლი მოახსენა მუშა მოთამაშეებს, ანუ მორკინალებს — სამი ლელო ერთ თამაშში, ცხადია, სიხარულის უშრეტი წყაროა, მაგრამ ეს სულ იმ ბიჭების დამსახურებაა, ჩვენთვის, მორბენლებისთვის ბურთებს რომ მოიპოვებენო. კაციც ესა ყოფილა!

## ევროპის ერთა თასი 2004

14 თებერვალი. ბუქარესტი

**რუმინეთი 55:11 ჩეხეთი**

14 თებერვალი. კრასნოდარი

**რუსეთი 36:6 ესპანეთი**

| | თ | მ | წ | სხ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| რუმინეთი | 1 | 1 | 0 | +44 | 2 |
| რუსეთი | 1 | 1 | 0 | +30 | 2 |
| პორტუგალია | 1 | 1 | 0 | +5 | 2 |
| საქართველო | 1 | 0 | 1 | −5 | 0 |
| ესპანეთი | 1 | 0 | 1 | −30 | 0 |
| ჩეხეთი | 1 | 0 | 1 | −44 | 0 |

# მორაგბეებო ყველა კუთხისა, შეერთდით!

**წლების** განმავლობაში დაგროვილი ქართული რაგბის პრობლემები მასში მოტრიალე ხალხს ერთი დღით გააერთიანებს. მიზეზებზე სასაუბროდ და მათი გადასაჭრელი გზების საძიებლად რაგბის მხარდამჭერთა ლიგამ, სარაგბო კლუბებმა, ვეტერან მორაგბეთა კავშირმა და ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესში მყოფმა მსაჯთა კორპუსმა სადღესიოდ ფართომასშტაბიანი კონფერენციის ჩატარება გადაწყვიტეს.

როგორც შევიტყვეთ, ბოლო ყრილობისა და გასული არჩევნების თაობაზე საუბარს კონფერენციაზე არ აპირებენ, დღის წესრიგში ბევრად სერიოზული პრობლემები შეუტანიათ.

კონფერენცია ფიზკულტურის აკადემიაში დღეს, 11 საათზე დაიწყება.



# ამერიკა ამერიკელებს

## სან ხოსე იანკებმა [illegible]

**SIEBEL OPEN**

სან ხოსე. ჰარდი

საპრიზო 380 ათასი $

**მეოთხედფინალი**

**ენდი როდიკი** (1, აშშ) — იოახიმ იოჰანსონი (შვედეთი) 6:3, 7:6 (9:7); **ანდრე აგასი** (2, აშშ) — ჟან-მაიკლ გემბილი (აშშ) 7:6 (7:4), 7:5; **მარდი ფიში** (3, აშშ) — ჰიუნგ-ტაიკ ლი (სამხრეთ კორეა) 6:2, 6:3; **რობერტ კენდრიკი** (აშშ) — სირილ სოლნიე (საფრანგეთი) 7:6 (8:6), 4:6, 6:3

**ნახევარფინალი**

**როდიკი** — კენდრიკი 7:6 (7:3), 6:2; **ფიში** — **აგასი** 5:7, 6:4, 6:2

თუკი ენდი როდიკის ფინალში გასვლას არავინ გაუკვირვებია, მარდი ფიშის მიერ ანდრე აგასის ბერტყვა ნაღდად მოულოდნელობა იყო.

23 წლის ფიში თავისზე ათი წლით უფროს თვისტომს პირველად შეხვდა და 11 ეისის სანაცვლოდ პირადსარეკორდო 29 ეისით დააშამათა.

ის და როდიკი ერთმანეთს ახლა მეოთხედ შეხვდებიან და ეს მათი მეორე საფინალო დაპირისპირება იქნება. წინა ფინალში, რაიც შარშანდელ ცინცინატობაზე შედგა, როდიკმა იმარჯვა. სულ კი ის ფიშს 2:1 უგებს.

სხვათა შორის, რაგინდარა ფინალში ენდიბოი აშშ-ის შარშანდელი ღია პირველობის შემდეგ აღარ გასულა.

სრულიად ამერიკული ნახევარფინალი კი სანხოსეურ ტურნირზე ბოლოჯერ 1995-ში აღინიშნა — მაშინ აგასისთან ერთად ტიტულისთვის მალივაი ვაშინგტონი, ჯიმ კურიე და მაიკლ ჩანგი იბრძოდნენ.

ხოლო სულ ბოლოჯერ ასეთი რამ, რომ უკანასკნელი ოთხეული მხოლოდ ამერიკელ მეჩოგნეებს შეედგინათ, შარშანდელ მემფისობაზე იყო. ალღუმს იქ უკვე როდიკი უძლვებოდა, გვერდს კი მას ტაილორ დენტი, ვინს სპედია და ბრაიან ვაალი უმშვენებდნენ.

**INDESIT ATP**

მილანი. ხალიჩა

საპრიზო 380 ათასი ევრო

**მეოთხედფინალი**

**გრეგორი კარა** (საფრანგეთი) — მარტინ ფერკერკი (2, ჰოლანდია) 6:3, 7:6 (7:3); **მარიო ანჩიჩი** (ხორვატია) — ტომი რობრედო (3, ესპანეთი) 6:3, 6:4; **ტომას იოჰანსონი** (შვედეთი) — კაროლ კუჩერა (სლოვაკეთი) 7:6 (7:2), 7:6 (7:2); **ანტონი დიუპუა** (საფრანგეთი) — მიხაილ იუჟნი (რუსეთი) 7:6 (7:5), 7:6 (7:5)

**ნახევარფინალი**

**ანჩიჩი** — იოჰანსონი 6:3, 6:4; **დიუპუა** — კარა 6:4, 6:4

გორან ივანიშევიჩის თანასპლიტელ მარიო ანჩიჩს ამ კვირამდე საეიტიპიო მეოთხედფინალის გაღმა ერთხელაც ვერ გადაებიჯებინა. მაგრამ თავად გორანის იქ ყოფნა [illegible] 19 წლისას უბრალოდ უკვე გამარჯვების დრო დაუდგა, ამ მილანობაზე მან კარიერის პირველ ფინალში გასვლა შეძლო.

ტურნირის 1996-97 წლების ჩემპიონმა ივანიშევიჩმა, მოგეხსენებათ, ჩოგანი უკვე მეორე წრეში, ესპანელ ტომი რობრედოსთან დააშალითა. ანჩიჩმა თვისტომ-კერპის მაოტარზეც იყარა ჯავრი და ნახევარფინალში უკვე ტომას იოჰანსონს, ავსტრალიის ღია პირველობის შარშანწინდელ გამარჯვებულს აჯობა. რაც მთავარია, ფინალამდე ის ისე მივიდა, მეტოქეთათვის ერთი სეტიც არ დაუთმია.

ფინალში ის 30 წლის ფრანგ დიუპუას შეხვდება, ვინაც რაგინდარა ტურნირის გადამწყვეტ შეხლაში მხოლოდ ერთხელ, 2001 წლის მიუნხენობაზე გარჯილა და იქაც ირჟი ნოვაკთან დამარცხებულა.

**OPEN GAZ DE FRANCE**

პარიზი. ხალიჩა

საპრიზო 585 ათასი ევრო

**მეოთხედფინალი**

**კიმ კლაისტერსი** (1, ბელგია) — სილვია ფარინა ელია (7, იტალია) 3:6, 7:5, 6:3; **ტატიანა გოლოვინი** (საფრანგეთი) — ელენა დემენტიევა (2, რუსეთი) 6:4, 6:4; **დინარა საფინა** (რუსეთი) — ფრანჩესკა სკიავონე (5, იტალია) 6:2, 4:6, 6:4; **მარი პირსი** (საფრანგეთი) — ელენა ბოვინა (რუსეთი) 6:3, 6:4

**ნახევარფინალი**

**კლაისტერსი** — საფინა 6:1, 6:1; **პირსი** — გოლოვინი 6:4, 6:0

ფინალში მოსახვედრად გამოცდილ მარი პირსსა და კიმ კლაისტერსს გამოუცდელ, მაგრამ ძალზედ კადნიერ ნინველებთან — დინარა საფინასა და ტატიანა გოლოვინთან ბუქნაობა მოუხდათ.

კიმს მეოთხედფინალში იტალიელი ფარინა ელიას დამარცხება რომ გაუჭირდა, ბევრმა იფიქრა — ემანდ მარატას დამ არ ააყირავოსო. მაგრამ ამგვარი მოლოდინის წინააღმდეგ, სამგზის სლემფინალისტმა ბელგოგომ ნორჩი რუსთათარი სულ რაღაც 43 წუთში მოაშთო.

ფინალში კიმს, ცხადია, გაცილებით ოფლიანი შრომა მოელის. ეგ მით უფრო, რომ ორგზის სლემტიტულოსანსა და 29 წლის მარი პირსს 2000 წლის როლანგაროსობის შემდეგ ერთი ტიტულიც ველარსად მოუგია და თითქმის ოთხწლიანი ტიტულყაბზობის შეწყვეტას შეძენილი სამშობლოს დედაქალაქში ეცდება.

ნახევარფინალში კი ის 40 წუთში გაუსწორდა 13 წლის უმცროს შეძენილ თვისტომ ტატიანა გოლოვინს, ვინაც საყოველთაო ყურადღება ავსტრალიის ღია პირველობის მეოთხე წრეში მოხვედრით დაიმსახურა.

**ლევან ძელაურაძე**

REUTERS პარიზიდან



დინარა საფინა 43 წუთში მოაშთო კიმ კლაისტერსმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს ჩემპიონატი

14 თებერვალი. ვერის ბაღი

**დინამო 94:73 რუსთავი**

17:23 26:17 26:21 25:12

დინამო: გამყრელიძე (2), ტუღუში (22), ხოშტარია, კეიდია (13), მუშკუდიანი (4); ლოსაბერიძე (19), ჩუბინიძე (11), ბეჟანიშვილი (8), ჟლენტი (8), აბულაძე (7)
რუსთავი: არწივიძე, ჩაჩუა (11), ჯიმშელეიშვილი (10), ტყეშელაშვილი (7), ბერუაშვილი (9), გაბისონია (11), დანელიანი (16), ლიპარტელიანი (9)
მსაჯები: მაკა კუპატაძე, ხათუნა გაბედავა
კომისარი: როლანდ ხომერიკი

**მაკაბი 92:82 სსუ**

22:36 22:12 24:13 24:21

მაკაბი: ბადრიძე (14), წოწელია (29), ვაშაკიძე (12), ფიცხელაური, სუხიშვილი (11); ნინოშვილი (22), კონჯარია (4), ოთიურიძე
სსუ: კანკია (23), სორდია (30), ზანგურაშვილი (26), ურიდია, ქვილითაია; პატარაია (3), ფარლალავა, კორძაძე
მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, დავით ბერეკაშვილი
კომისარი: როლანდ გელოვანი

15 თებერვალი. ვერის ბაღი

**სტუ 99:88 თსუ**

27:26 27:24 24:24 21:14

სტუ: ნიკოლაძე (18), ხეცურიანი (8), მარკოიშვილი (19), შანიძე (23), ჯაფარიძე (19); ოგანესიანი (9), მიქაძე (3), ლაფანაშვილი
თსუ: თორთლაძე (14), მაისურაძე (9), აბრამიძე (12), ნაცვლიშვილი (18), ორმოცაძე (19); შენგელია (6), საყვარელიძე (4), კოკოლიშვილი (2), მარხვაშვილი (3), ვეფხვაძე (1)
მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, დავით ბერეკაშვილი
კომისარი: მურმან ქურიძე

# რაც გვინახავს, ისევ ვნახეთ

## თსუ კვლავ ტექნიკურად დამარცხდა

**გუშინ** თსუ-ს ახალ მთავარ მწვრთნელ მამუკა ტურაშვილს შანსი ჰქონდა, კარგი დებიუტი მოეწყო. ის ზედ სტუდენტური დერბის თსუ—სტუ-ს წინ ჩაუდგა სახელმწიფო უნივერსიტეტელებს სათავეში და ამ პრინციპული მატჩის მოგებით გულშემატკივრებთან ერთად ხელმძღვანელობის გულის მოგებაც შეეძლო. თუმც თსუ-მ ვერც ამჯერად ისარგებლა თავისი „ფარული" პოტენციალით, ძველებურად უფერულად ითამაშა და, როგორც ხდება ხოლმე, პრინციპულ მეტოქესთან დამარცხდა.

თუმც თსუ-ს თამაშში ამჯერად აშკარად შეინიშნებოდა დადებითი მომენტები, ტურაშვილის გუნდი უფრო შეუპოვრად იბრძოდა და გამარჯვების შანსიც ბოლო წუთებამდე შეინარჩუნა.

წინასამატჩო პრესკონფერენციაზე ითქვა, რომ კახა შენგელია და ნუგზარ კოკოლიშვილი სიცხის გამო სავარაუდოდ ვერ დაეხმარებოდნენ თსუ-ელებს, მაგრამ ორივე მომჯიბინდა და ისე გამოვიდა, რომ ნაკლულად ტექნიკოსები დარჩნენ. ზვიად ბაბიაშვილს ისევ აწუხებს რუსთავში ამოვარდნილი მხარი, ალეკო დავითულიანი კი ფეხმა არ გაუშვა მოედანზე.

მიუხედავად იმისა, რომ შენგელია ჯანზე იყო, ტურაშვილმა სიტყვა არ გატეხა და, როგორც პრესკონფერენციაზე თქვა, აქცენტი დაბლებზე გააკეთა. თსუ-ს არც ნომინალური ცენტრი ჰყავდა ხუთეულში და არც თავდამსხმელი. ტექნიკოსებმა კი „დინამოდან" გადაყვანილი ირაკლი ჯაფარიძე დააყენეს ფარქვეშ, რომელმაც პირველ მეოთხედში ბლომად ქულები აკეთა. თუ ჯაფარიძეს ვერ მეურვეობდა, შეტევაში მაინც ყოჩაღობდა გამოცდილი ამროსი ორმოცაძე და როცა მოედანზე შემოსულმა დავით საყვარელიძემაც იჩუბინა, თსუ-მ პირველი მეოთხედის მიწურულს 4-ქულიანი უპირატესობა მოიპოვა. მცირე შესვენებამდე 2 წუთით ადრე მოედანზე გამოვიდა ტექნიკოსთა ახმახი ცენტრი არმენ ოგანესიანი და სტუ-ელებმა ასე გამოიტყუეს ფიცარნაგზე კახა შენგელია, ვინც ხელგაშლით მობურთალი ორმოცაძე შეცვალა. ჯაფარიძე-ოგანესიანის ტანდემი ერთგვარი სატყუარა გამოდგა, რაკი ტექნიკოსებმა სწორედ ამ დროს წამოიწყეს სწრაფი გარღვევები და გიორგი ნიკოლაძის წყალობით საწყისი მეოთხედიც მათი იყო — 27:26.

გემო რომ გაუგეს, მთლად კონტრშეტევებზე გადავიდნენ ტექნიკოსები. ამ საქმის ოსტატმა შიო ხეცურიანმა ორწუთიან მონაკვეთში 7 ქულა მიჯრით მიითვალა, მას ლუკა შანიძემაც წააშველა ხელი და სტუ ჯერ მოსწყდა მეტოქეს, მეოთხედის შუაწელში 13-ქულიანი ლიდერობაც მოიხელთა — 47:34.

ასეთ ვითარებაში თსუ ხშირად ირევა ხოლმე, თუმც ამჯერად დროზე გამოფხიზლდნენ ტურაშვილის შეგირდები და ტექნიკოსებს მცირე უზუსტობები არ აპატიეს. თორთლაძისა და ორმოცაძის შორ სროლებს ნუგზარ კოკოლიშვილმა საჯარიმოები მიაყოლა და თსუ 2 ქულით მიუახლოვდა მეტოქეს, ტაიმი კი 50:54 წააგო.

ეპიზოდების ზედმეტი აღწერით არ გადაგღლით და გეტყვით, რომ მესამე მეოთხედი მეორეს გაჭრილი ვაშლივით ჰგავდა. განსხვავება ის იყო, რომ თუ ტექნიკოსები მეორე ათწუთეულში თითქმის სულ სწრაფი გარღვევებით იხვეჭდნენ ქულებს, მესამეში ხელი ფარქვეშ მოტრიალე ოგანესიანმაც გამოიღო. პერიმეტრიდან შანიძემაც გაისწორა მიზანი და 27-ე წუთისთვის სტუ-ს 13-ქულიანი ლიდერობა აღდგა.

ეს „13" მართლა რა თარსი რიცხვი ყოფილაო, ტექნიკოსებმა უნდა თქვან, წინა მეოთხედის დარად, მათ ახლაც ხელიდან გაუფრინდათ ქულათა ეს მარაგი. თსუ-მ ამჯერად მედგარი დაცვით მოახერხა ჩამორჩენის შემცირება. ტურაშვილის ბიჭები მწყობრად იდგნენ ზონაში, ბურთის ჩამგდებად კი მამუკა აბრამიძე გამოადგათ.

მესამე მეოთხედი თსუ-მ 4-ქულიანი დეფიციტით განაახლა. აბრამიძეს ხელი ჯერაც არ გაჰფუჭებოდა, ნაცვლიშვილიც გაძვრაგამოძვრა სტუ-ს სამწამიანში და ქულაძუნწი შენგელიას ორქულიანის შემდეგ ანგარიში სირენამდე 5 წუთით ადრე გათანაბრდა — 82:82.

ვერ ვიტყვით, თსუ-მ საქმე მოთავებულად ჩათვალაო, მაგრამ ისე გამოჩნდა, თითქოს 13-ქულიანი ჩამორჩენის გაბათილება ყოფილიყოს მთავარი ამოცანა. თამაშს ბოლომდე უნდოდა მიყვანა, რაც უკეთ ტექნიკოსებმა მოახერხეს. გიორგი მარკოიშვილმა დიდად მოინდომა, წამებში 5 ქულა გამოაგვირისტა და სტუ 3 წუთით ადრე 91:85 დაწინაურდა. თსუ-მ, თითქოს 3-ქულიანების გარდა ვერაფერი გვიშველისო, შორ სროლებზე გადავიდა და ისე მოიწადინა, რომ ერთ შეტევაში 5 სამქულიანი ესროლა, მაგრამ ერთიც ვერ ჩააგდო. ბოლოს აბრამიძემ 2 ქულა მიითვალა, სხვაობა 7 ქულამდე შეამცირა, მაგრამ თსუ-ელებს მომცრო ტექნიკოსი გიორგი ნიკოლაძე გამოეპარათ, რომელმაც სწრაფი გარღვევით სირენამდე წუთით ადრე სტუ მიუწვდომელი გახადა მეტოქესათვის.



გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

რუსთაველი მიხეილ ბერუაშვილი დინამოელ კოტე ტუღუშს გაურბის

გუშინწინდელ მატჩებშიც გვარიანი ქიშპობა გახურდა, თუმც „დინამომაც" და „მაკაბიმაც" სრულიად ლოგიკური გამარჯვებები მიითვალეს. ჩემპიონები გაახალგაზრდავებულ რუსთაველებს ხვდებოდნენ და მთელი პირველი ტაიმი აგებდნენ. ქვემოქართლელებს ბედი სწყალობდათ თუ რა იყო, გარდი-გარდმო ყრიდნენ სამქულიანებს და დინამოელთა ხორვატი მეთაური დრაჟენ ბრაიკოვიჩიც გვარიანად ანერვიულეს.

თუმც სამიანებით ხომ სნაიპერებით დახუნძლულ „დინამოსთან" ვერაფერს გახდები, ცნობილი ჭეშმარიტებაა და როცა ბრაიკოვიჩელებმაც გაისწორეს მიზანი, ყველაფერი ცხადი გახდა. „დინამომ" მესამე მეოთხედში ჯერ დააჰიპნოზა „რუსთავი", გადამწყვეტ ათწუთეულში კი საბოლოოდ „მოგუდა."

სამიანების ჭახაჭუხი იყო სსუ — „მაკაბიშიც" და პირველ ტაიმში ამ საქმის დიდოსტატებად სოხუმელები მოგვევლინნენ. სორდიას, ზანგურაშვილს, კანკიას მიზანი იშვიათად ღალატობდათ და ვალერი ალთაბაევის ტაქტიკურად დამოძღვრილ სოხუმელებსაც თავიდან არ უჭირდათ, ერთხანს 16 ქულითაც იგებდნენ, თუმც ნელნელა მაკაბელებმა ყრუ ზონას თავი ანებეს და უფრო საგულდაგულად პერიმეტრს აკონტროლებდნენ. შედეგი ის იყო, რომ სოხუმელების სამქულიანებმა ჩაილურის წყალი დალია და საბოლოოდ უფრო ძლიერმა „მაკაბიმ" გაიმარჯვა.

**ირაკლი პერტაია**

**სატურნირო ვითარება**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 18 | 15 | 3 | +430 | 33 |
| ბასკო | 17 | 15 | 2 | +449 | 32 |
| სტუ | 17 | 13 | 4 | +322 | 30 |
| თსუ | 18 | 11 | 7 | +111 | 29 |
| რუსთავი | 18 | 9 | 9 | +84 | 27 |
| მაკაბი | 18 | 6 | 12 | -138 | 24 |
| სსუ | 17 | 2 | 15 | -469 | 19 |
| ქუთაისი | 19 | 0 | 19 | -789 | 19 |





REUTERS ხოფიადან

გელა სალირაშვილს (მარჯვნივ) ოქრო ბულგარელმა ნიკოლაი პასლარმა წაართვა

# სალირაშვილი ღირსი ყოფილა

## ათენში თავისუფლებს წონა დააკლდებათ

თავისუფალი სტილის მოჭიდავეთათვის ათენის ოლიმპიადის საგზურებისთვის ბრძოლა ამ უქმეებზე, სოფიაში ჩატარებული საერთაშორისო ტურნირით დასრულდა. შეგახსენებთ, რომ შარშანდელი ნიუიორკული მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ ულიცენზიოდ ორი წონაღა იყო დარჩენილი.

ბესიკ გუჩაშვილმა (55კგ) და გელა სალირაშვილმა (74კგ) პირველი წლევანდელი ტურნირი (ბრატისლავა) თებერვლის დასაწყისში უშედეგოდ მოიარეს. იქ საგზურს საუკეთესო ხუთეულში მოხვედრა იძლეოდა, ხოლო სოფიაში აუცილებელი იყო ნახევარფინალში გასვლა. გუშინ მიზანს სალირაშვილმა მიაღწია და ბულგარეთიდან ვერცხლის მედლით ბრუნდება. გუჩაშვილის წონა კი შვიდიდან ერთადერთია, რომელშიც ოლიმპიადაზე ჩვენს ნაკრებს წევრი არ ეყოლება.

თავისუფალთა საათენო შემადგენლობა ასეთია: დავით პოღოსიანი (60კგ), ოთარ თუშიშვილი (66კგ), გელა სალირაშვილი (74კგ), რევაზ მინდორაშვილი (84კგ), ელდარ კურტანიძე (96კგ) და ალექსი მოდებაძე (მძიმე)

**ოთარ მაღლაკელიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

*„ვუჩვენოთ მაყურებელს ის, რის ხილვასაც ისინი ჩვენგან ელიან" — პირტიტველა ვარსკვლავის ლებრონ ჯეიმსის ეს ფრაზა იმ დიდი შოუს ლოზუნგად შეგვიძლია გამოვაცხადოთ, რომელიც ამ უქმეებზე ლოს ანჯელესის „სტეიპლზ სენთერში" გაიმართა. ამერიკული კალათბურთი ხომ ისედაც სანახაობაა, მაგრამ ყოველი თებერვლის მეორე უქმეებზე ნბა-ს თვალსაჩინოებანი განსაკუთრებით მოინდომებენ და სპორტის ამ სახეობის გურმანებს დიდ წარმოდგენას უჩვენებენ ხოლმე. გამონაკლისი არც წლეულს ყოფილა, ლოს ანჯელესმა ამ უქმეებზე ავი თვალისთვის არდასანახ მრავალ კონკურსს და ყველა ვარსკვლავის მატჩებს უმასპინძლა*



ამარე სტუდემაიერმა მცირე ოლ სტარი პირად ბენეფისად აქცია

NBA ALL★STAR 04 LA 2004 LOS ANGELES

## 2004 NBA ALL★STAR GAME

## ბავშვებმა ხალისით ითამაშეს

ნბა-ს ნიჭიერ ახალწვეულთა ნაკადი არასდროს აკლდა და არც ეს წელია იმ ძველ 80-ანებზე უსაშველოდ ჩამორჩენილი, ლიგაში მაიკლ ჯორდანები, პატრიკ იუინგები და ჰაკიმ ოლაჯუონები რომ მოდიოდნენ. ის კი არა, 18 წლის ვუნდერბიჭუნა ლებრონ ჯეიმსზე ამერიკელები თამამად იძახიან, ჯორდანი მობრუნდაო და ეს ნაღდად არ გახლავთ ჰაერზე ნასროლი სიტყვები. ლებრონი მთავარი მოქმედი პერსონაჟი და ასე ვთქვათ, „სეფე-ჯამბაზი" იყო ახალწვეულთა იმ ოლ სტარისა, ასე რომ გამოკვება „სტეიპიზ სენთერის" ბომონდური პუბლიკა.

თუმც საღამოს გმირად მაინც ამარე სტუდემაიერი, შარშანდელი სეზონის სუპერახალბედა და ამ მატჩის ბომბარდირი გამოაცხადეს და არა მხოლოდ იმიტომ, რომ ფინიქსელმა ჯეიმსზე 3 ქულით მეტი მოიხვეჭა. მეორეწლიანთა მისმა გუნდმა 142:118 მოუგო პირველწლიანებს.

„ის დიდებული მოთამაშეა — თქვა სტუდემაიერზე ლებრონ ჯეიმსმა — მე მისებრ ათლეტური და გონებაბასრი მოთამაშე ჯერ არ მინახავს."

აქ უადგილოა იმ ჩატენვების, დრიბლინგის, ნაირგვარი „პრანჭვა-გრეხების" ზედმიწევნით აღწერა, რითაც გაძეძგილი იყო ეს მატჩი. სტატისტიკოსებმა მოიწადინეს და საერთო ჯამში 48 ჩატენილი ბურთი დათვალეს. დაცვა, როგორც ასეთი, ამ მატჩში არ ყოფილა, არც სროლისას უშლიდნენ მეტოქენი ერთმანეთს ხელს. გუნდი რომ შეტევას წამოიწყებდა, მოწინააღმდეგე გაშეშებული უყურებდა, აბა რას მოიფიქრებენ, მერე ჩვენ რომ უკეთესი გავაკეთოთო.

ვინმეს გამორჩევაც უადგილოა, თავი ყველამ გამოიდო, ხოლო ვინც ნაღდად მოხიბლა ხალხი — სტუდემაიერმა და ჯეიმსმა — იმაზე კი გითხარით პაწია სიტყვა.

კინაღამ გამოგვრჩა: ამ მატჩში ჩაგდებული 260 ქულა სარეკორდო იყო ახალბედათა ოლ სტართა შორის, ისევე როგორც ამარე სტუდემაიერის 36 ქულა.

## რიჩარდსონი ძალიან მაღლა აფრინდა და ფრთები დაეწვა



ჯეისონ რიჩარდსონმა ზედმეტი მონდომა და ხელი მოეცარა

თუ კალათბურთის ცქერისას ადამიანს ადრენალინი გამოეყოფა, პირველ რიგში ლაზათიანად ჩატენილი ბურთის ნახვისას. ჰოდა, შაბათ საღამოს მსოფლიოში ადრენალინით ყველაზე გაჟღენთილი შენობა „სტეიპლს სენთერი" იქნებოდა, რაკი იქ ნბა-ს ზამბარბიჭუნებმა ჩატენვებში საჩვენებელი კონკურსი გამართეს.

სულ ოთხი კაცი ილებდა ტურნირში მონაწილეობას — ბოსტონელი რიკი დევისი, ნიკა ცქიტიშვილის გუნდელი კრის ანდერსენი, ფართო მასებისთვის უცნობი ინდიანელი ფრედი ჯონსი და ბოლო ორი წლის საუკეთესო ჩამტენი ჯეისონ რიჩარდსონი „გოლდენ სტეიტიდან".

დევისმა ხალხს ახალი ვერაფერი უჩვენა და პირველივე რაუნდში გავარდა. მას მიჰყვა ანდერსენიც, რომელსაც ტონა ჟელე ედო თავზე და მისმა ავანგარდულმა ზღარბოსნულმა ვარცხნილობამ იქვე ჩამომჯდარი ჯეკ ნიკოლსონის ამრეზილი მზერებიც დაიმსახურა. თმები თმებად, მაგრამ ანდერსონმა ერთი ისეთი ნახტომი გაჭიმა, ფინალური შეხლიდან ლამის ფრედ ჯონსი ამოაგდო.

ფინალში ჯონსს მოცილედ ჰყავდა ჯეისონ რიჩარდსონი, ვინაც ზედიზედ მესამედ ეშურებოდა ტიტულის მოგებას (ასეთი რამ მანამდე არავის მოუხერხებია), მაგრამ ჩემპიონმა გრავიტაციული კანონის საწინააღმდეგო ილეთის შესრულება განიზრახა, ვერ გამოუვიდა და პირველობაც უსახელო ინდიანელ ბიჭუნას დარჩა.



ვოშონ ლენარდს ჭრელი ბურთები წაუვიდა

## თვალი სნაიპერსაც უჭრელდება

### პრედრაგ სტოიაკოვიჩს

ძალიან სურდა გათანაბრებოდა ლეგენდარულ ლარი ბერდსა და სამქულიანების კონკურსის ზედიზედ სამჯერ მომგებ კიდევ ერთ სნაიპერსს კრეიგ ჰოჯისს, მაგრამ უკანასკნელი ჭრელი ბურთი ნაცარში ჩაუვარდა და გამარჯვებაც დენვერელ ვოშონ ლენარდს შერჩა.

ჭრელი ბურთი ცოტა ძნელი ჩასაგდებია და ორ ქულად ფასობს, განსხვავებით ერთქულიან-ერთფეროვანი „სპალდინგებისგან". ეს ჭრელი ბურთები კი, სულ პანტა-პუნტით ყარა ლენარდმა და სწორედ ამის ხარჯზე აჯობა სტოიაკოვიჩს, თორემ პეჯამ საერთო დათვლით დენვერელზე მეტი ბურთი გაატარა რკინის რკალს შორის.

ტურნირში ასევე გამოდიოდნენ ჰიუსტონელი კუტინო მობლი, დეტროიტელი ჩონსი ბილაფსი, სიეტლელი რაშარდ ლუისი და ფილადელფიელი ახალბედა კაილი კორვერი. სწორედ კორვერმა ისახელა თავი ფინალისტთა შემდეგ, მას ალბათ დაეხმარა თანაგუნდელ ალენ აივერსონის ოვაციური ქომაგობა, „ჭინკა" ჩვეული ტაკიმასხარობით ვაი-ვიშობდა, მიდი კაილი, მიდიო...



ბაირონ დევისი უსულო წინაღობებთან

## დევისი უჩაუქესია

### ვითომმოწინააღმდეგე

სვეტების მოტყუებაში, პასების მრგვალ სამიზნეში შეძვრენაში და, რა თქმა უნდა, სროლაში — ანუ ყველაფერ იმაში, რასაც უნდა ფლობდეს ხეირიანი გამთამაშებელი, გამარჯვება ერგო ნიუორლეანელ ბაირონ დევისს, ვინაც მოწინააღმდეგებზე უსწრაფესად მოახერხა ამ ამოცანათა შესრულება.

**ირაკლი პერტაია**





14 თებერვალს იტალიის ქალაქ რიმინის სასტუმროს ოთახში მკვდარი იპოვეს 34 წლის ველოვარსკვლავი, 1998 წელს ტურ დე ფრანსის და ჯირო დიტალიის მომგები მარკო პანტანი. „პირატად" წოდებული იტალიელი მრბოლის სიკვდილის მიზეზი ჯერ არ დაუდგენიათ



## რეგულარული ჩემპიონატი

13 თებერვალი

ბუფალო 8:3 ლოს ანჯელესი
1:1 3:2 4:0

ნეშვილი 5:3 ვაშინგტონი
2:1 2:0 1:1

მინესოტა 3:0 ედმონტონი
2:0 1:0 0:0

ვანკუვერი 1:4 ატლანტა
0:0 1:3 0:1

ფინიქსი 2:5 აილენდერსი
2:0 0:2 0:3

კალგარი 2:1 ანაჰაიმი
1:0 1:1 0:0

14 თებერვალი

დეტროიტი 2:5 კოლორადო
1:0 1:2 0:3

ნიუ ჯერსი 4:1 კაროლინა
2:0 1:1 1:0

ტორონტო 4:6 ბუფალო
0:0 3:2 1:4

ფილადელფია 6:2 რეინჯერსი
2:0 4:1 0:1

ოტავა 5:2 მონრეალი
1:0 1:1 3:1

ჩიკაგო 2:1 ბოსტონი
0:0 0:1 1:0 1:0

ვანკუვერი 1:2 ანაჰაიმი
0:0 0:1 1:1

ფინიქსი 3:2 დალასი
2:0 1:1 0:1

სენტ ლუისი 3:2 პიტსბურგი
2:0 0:1 0:1 1:0

ტამპა 3:2 ფლორიდა
1:1 2:0 0:1

კოლუმბუსი 1:2 სან ხოსე
1:1 0:0 0:0 0:1



ვანკუვერელი ჰენრიკ სედინი ატლანტელ პასი ნურმინენს კარში შეუვარდა



REUTERS პარიზიდან

# კიმი შპაგატში

კიმ კლაისტერსი რომ მაგარია, ისედაც ვიცით. პარიზის ღია ტურნირზე მას შპაგატშიაც მიუსწრეს ფოტოგრაფებმა. კიმმა გვარიანი ბრძოლის შემდეგ დაამარცხა იტალიელი ფარინა ელია (3-6, 7-5, 6-4) და ნახევარფინალში გავიდა.

# საგანგებო სტუმარი

ავსტრალიაში სარაგბო ლიგის სეზონი საქველმოქმედო თამაშით გაიხსნება ხოლმე — ერთმანეთს ტრადიციულად სიდნეის კლუბები „რებითოზ“ და „სენტ ჯორჯ ილავარა დრაგონზი“ ხვდებიან. ამ ჯერზე საგანგებო სტუმრად ჩოგბურთის ლეგენდა მარტინა ნავრატილოვა ყოფილა. კაი ძალით დაურტყამს ბურთი.



REUTERS სიდნეიდან

# დეპუტატი და პრემიერი

კ-1 იაპონიაში პოპულარული სარინგო ჩხუბია, რომელიც კარატეს, კიკბოქსინგისა და ტაეკვანდოს ილეთებს ეყრდნობა. სისხლი ამ სპორტში ჩვეულებრივი ამბავია. მაგრამ ხორვატმა მირკო კროკოპ ფილიპოვიჩმა იმგვარი სახელი დაიგდო ამ ჩხუბით იაპონიაში, რომ ხორვატიის პარლამენტის წევრიც კი შეიქნა. რა გასაკვირია, რომ ამ კროკოპს ხალისით ესაუბრება იაპონელთა პრემიერი იუნიშირო კოიძუმი.



REUTERS ტოკიოდან

# ომის შემდეგ



REUTERS სეულიდან

1945 წელს იაპონურმა ჯარმა კორეის მიწა დატოვა. ჰოდა, მას შემდეგ პირველადაა, რომ სამხრეთ კორეაში სუმო იმართება. შეჯიბრი სანახვენებელია და მასში გამწვრთნელი კორეელი ბიჭებიც ჩაბმულან. ტაკანო ნამი დგომას ასწავლის პატარა ბიჭებს. ტოსანო უმი (მარჯვნივ) და ტომით კორეელი კასუგაო კი ბიჭს აბურთავებენ.



REUTERS სეულიდან


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით ერაძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, თენგიზ ფოფხაძე, ზურაბ წერეთელი, მირიან ხანიშვილი



რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge